

Brot
für die Welt

CSI  CSI
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
Civil Society Institute

მონაწილეობითი ბიუჯეტირება

საერთაშორისო გამოცდილება და
საქართველოში დანერგვის
პრაქტიკის კვლევა

თბილისი
2018

კვლევა მომზადდა პროექტის “ადგილობრივი განვითარების
აქტორების მდგრადი კავშირის შექმნა საქართველოში” ფარგლებში
“პური სამყაროს” (Bread for the World) მხარდაჭერით.
მისი მიზანია სამიზნე რეგიონებში საზოგადოების მონაწილეობის
გაძლიერება და თვითმმართველობის აქტორებს შორის
თანამშრომლობის სტიმულირება

მონაწილეობითი ბიუჯეტირება

საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოში
დანერგვის პრაქტიკის კვლევა

დავით ყიფიანი

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მოწვეული ექსპერტი

2018 წელი

კვლევა მომზადდა პროექტის “ადგილობრივი განვითარების აქტორების მდგრადი კავშირის
შექმნა საქართველოში“ ფარგლებში “პური სამყაროს”(Bread for the World) მხარდაჭერით.

მისი მიზანია სამიზნე რეგიონებში საზოგადოების მონაწილეობის გაძლიერება და
თვითმმართველობის აქტორებს შორის თანამშრომლობის სტიმულირება.

სარჩევი

1. შესავალი.....	3
2. მონაწილეობითი ბიუჯეტირების საფუძვლები	5
2.1. მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელები	5
2.2. მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვის საეთაშორისო პრაქტიკა	6
3. ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე მოქალაქეთა თანამონაწილეობის საკითხებში საქართველოში მოქმედი მარეგულირებელი ჩარჩო დოკუმენტები	40
3.1. საქართველოს საკანონმდებლო ბაზა.....	40
3.2. საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები	42
4. საქართველოში ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის ინსტრუმენტები	46
4.1. თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის ფორმები	46
4.2. განსაზღვრული ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის დამატებითი ფორმები.....	49
5. მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვის საქართველოს პრაქტიკა.....	52
5.1. მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტი „სამოქალაქო ბიუჯეტი“	54
5.2. ბათუმის, ქუთაისისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტი VOLIS.....	58
5.3. დასკვნები და რეკომენდაციები.....	66
6. მონაწილეობითი ბიუჯეტირების საქართველოში დანერგვის ასპექტები	69
6.1. მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვის სპეციფიკა.....	69
6.2. მონაწილეობითი ბიუჯეტირების სამოქმედო პრინციპები და მოთხოვნები	73
6.3. მონაწილეობითი ბიუჯეტირების სავარაუდო მოდელები	74
6.4. მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელის შერჩევის პროცედურა	77
6.5. მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელის ძირითადი აქტორები	81
6.6. მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელის სამუშაო პროცედურები	84
7. დანართები	89
8. ბიბლიოგრაფია	130

ილუსტრაციები

ილუსტრაცია 1 - მონაწილეობითი ბიუჯეტების ტიპები	6
ილუსტრაცია 2 - მსოფლიოში 2018 წლისათვის მონაწილეობითი ბიუჯეტების ფარგლებში განკარგული ფინანსური სახსრების მოცულობა	8
ილუსტრაცია 3 - პორტო ალევრეს მონაწილეობითი ბიუჯეტების სამუშაოთა ციკლი.....	11
ილუსტრაცია 4 - პორტო ალევრეს მონაწილეობითი ბიუჯეტების პროცესის ძირითადი აქტორები.....	12
ილუსტრაცია 5- ქალაქ კიევის საზოგადოებრივი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელებაში ჩართული აქტორები	27
ილუსტრაცია 6 - აშშ-ში მუნიციპალიტეტებში დანერგილი მონაწილეობითი ბიუჯეტების პროექტების 2009-2016 წ.წ.-ში ზრდის ტემპი	30
ილუსტრაცია 7 - ქალაქ ჩიკაგოს მუნიციპალიტეტის 49 ოლქის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელებაში ჩართული აქტორები	37
ილუსტრაცია 8 - 2015-2018 წ.წ.-ში მარნეულის მუნიციპალიტეტში მოქალაქეების მიერ	52
ილუსტრაცია 9 - ქ. გორის მუნიციპალიტეტში 2018-2019 წლის სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში შერჩეული საპროექტო ინიციატივები	55
ილუსტრაცია 10 - ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტში 2018-2019 წლის სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში შერჩეული საპროექტო ინიციატივები	62
ილუსტრაცია 11 - ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2018-2019 წლის სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში შერჩეული საპროექტო ინიციატივები	63
ილუსტრაცია 12 - მონაწილეობითი ბიუჯეტების მოდელის შერჩევასა და ლოგიკური სქემა	77

ცხრილები

ცხრილი 1 - 1989-2008 წლებში ბრაზილიაში ქალაქების რაოდენობა, სადაც დანერგილი იქნა მონაწილეობითი ბიუჯეტების პროცესი (პროცენტებში)	7
---	---

1. შესავალი

მონაწილეობითი ბიუჯეტირების¹ (Participatory Budgeting) პროცესი წარმოადგენს კარგი მართვლობის (Good Governance) განხორციელების ერთ-ერთ ინოვაციური მოდელს, რომელიც ხელს უწყობს ინკლუზიური დემოკრატია, იწვევს საჯარო სექტორის მოდერნიზაციას, ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდას და წარმოადგენს მასსა და მოსახლეობას შორის დემოკრატიულ დიალოგისა და გადაწყვეტილების მიღების ეფექტიან პროცესს. იგი წარმოადგენს მონაწილეობითი დემოკრატია² ერთ-ერთ მოდელს, რომლის ფარგლებშიც მოსახლეობა ღებს გადაწყვეტილებას თუ რისთვის უნდა გამოყოს მუნიციპალური და სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრები და შემდგომ შეამოწმოს გამოყოფილი რესურსების გამოყენების ეფექტურობა. საჯარო ბიუჯეტირების პროცესისადმი ამგვარი მიდგომა საშუალებას აძლევს მოქალაქეებს იდენტიფიცირება მოახდინონ, განიხილონ და დაადგინონ საჯარო ხარჯებით დასაფინანსებელი პროექტების პრიორიტეტულობა, აგრეთვე აღჭურვავენ მათ ქმედით უფლებამოსილებით, რათა მიიღონ რეალური გადაწყვეტილება, თუ როგორ დაიხარჯება ფული (1).

მონაწილეობითი დემოკრატია ეს მოდელი აგრეთვე ხშირად გამოიყენება, რათა უზრუნველყოფილი იქნას საჯარო პოლიტიკის განსაზღვრისას საზოგადოების იმ ნაწილის ჩართულობა (დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობა, სხვა ქვეყნის მოქალაქეები, და ახალგაზრდები), რომელიც ტრადიციული სახის პოლიტიკურ პროცესებიდან ან აღმოჩნდნენ გარიყულნი ანდა არ გამოირჩევიან სამოქალაქო აქტიურობით. არაერთი მაგალითი აჩვენებს, რომ ამ ადგილობრივ დონეზე საჯარო მართვლობის ამგვარი სისტემა დაწერგვა იწვევს ხარჯების უფრო სამართლიან გადანაწილებას, ხელისუფლების გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, ზრდის საზოგადოების (განსაკუთრებით მარგინალურ ან ღარიბ მოსახლეობის) ჩართულობის დონესა, აგრეთვე დემოკრატიული და სამოქალაქო ცნობიერებას (2).

უბირანტან დე სუზა (Ubiratan de Souza), ქალაქ პორტო ალეგრიში მონაწილეობითი ბიუჯეტირების შემუშავებისა და დანერგვის პროცესის ერთ-ერთი ავტორი, ამგვარად განმარტებას მონაწილეობითი ბიუჯეტირებას (3):

„მონაწილეობითი ბიუჯეტირება არის ნებაყოფლობითი, უნივერსალური და უშუალო (პირდაპირი) დემოკრატია პროცესი, რომლის საშუალებითაც ხალხს აწარმოებს დიალოგს და გადაწყვეტილების იღებს ბიუჯეტისა და სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ. მოქალაქეები არ შემოიფარგლონ მხოლოდ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრთა არჩევნებით, არამედ აგრეთვე უშუალოდ იღებენ მონაწილეობას საბიუჯეტო პრიორიტეტების დადგენის პროცესში და სახელმწიფო ხელისუფლების კონტროლში. ისინი აღარ არიან ტრადიციული პოლიტიკის ინსტრუმენტები, არამედ გახდნენ სახელმწიფო მმართვე-

¹ პრაქტიკაში აგრეთვე ხშირად გამოიყენება ტერმინი - თანამონაწილეობითი ბიუჯეტირება.

² მონაწილეობითი დემოკრატია (Participatory democracy) აქცენტს აკეთებს პოლიტიკური და სახელმწიფო მართვის პროცესებში მოქალაქეთა უშუალო (პირდაპირ) და ფართო მონაწილეობაზე, ტრადიციული წარმომადგენლობითი დემოკრატიაგან (Representative democracy) განსხვავებით იგი უზრუნველყოფს მოქალაქეთა ჩართულობის მრავალი ტიპის ფორმებს გამოყენებასა და პოლიტიკურ პროცესებში აქტიურ წარმომადგენლობის ხელშეწყობას. ინფორმაცია იხილე ბმულზე:

https://en.wikipedia.org/wiki/Participatory_democracy

ლობის მუდმივ პროტაგონისტებად. მონაწილეობითი ბიუჯეტირება თავისთავში აერთიანებს უშუალო და წარმომადგენლობით დემოკრატიებს, რომელის წარმატებაც უნდა შენარჩუნებული და დაფასებული იქნეს.“

პორტო ალეგრი იყო მსოფლიოში პირველი ქალაქი, სადაც 1992 წელს დაინერგა და დღემდე ეფექტურად ფუნქციონირებს მონაწილეობითი ბიუჯეტირების სისტემა. დაინერგილი მოდელი წარმოადგენს ჰიბრიდული დემოკრატიის ერთ-ერთ ფორმას. იგი აერთიანებს უშუალო (პირდაპირ) და მონაწილეობითი დემოკრატიის პროცესებს. არსებულ სხვა მოდელებში, მათი და კიდევ სხვა ფაქტორების კომბინაციაც იძლევა მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელების არსებულ მრავალფეროვნებას, რითიც ასე ხიბლავს მოდერნიზმისკენ და ეფექტიანი ცვლილებებზე ორიენტირებულ ხელისუფლებას, როცა ის იღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას რომ თანამემამულეებს შესთავაზოს მართველობის ეს მოდელი.

2. მონაწილეობითი ბიუჯეტირების საფუძვლები

საჯარო მმართველობისა და მოქალაქეთა მონაწილეობის თანამედროვე მიდგომები და პრინციპები ეყრდნობა საბაზისო ღირებულებებსა და მიდგომებს, რასაც წარმოადგენს საზოგადოების დემოკრატიულობა, სოციალური სამართლიანობა, ეფექტურობა და საჯარო მართვის ინოვაციური მიდგომები. დღესდღეობით მოქალაქეთა ცხოვრებაზე ხელისუფლება გავლენას ახდენს უფრო ფართო ასპექტებში, ვიდრე ეს ხდებოდა თუნდაც ასი წლის წინ. იგი გავიდა საჯარო მმართველობის კლასიკური ფორმებიდან, როგორცაა კანონიერების, წესრიგის, ძირითადი ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და გადასახადების აკრეფის უზრუნველყოფა და ცდილობს გავლენა იქონიეო ხალხის ცხოვრების ყველა ძირითადად ასპექტზე.

ამ გლობალური პროცესის ფარგლებში, რიგითი მოქალაქესაც გაუჩნდა წუხილი და ინტერესი, როგორც სრულიად მთელს ქვეყნის, აგრეთვე ერთ ადმინისტრაციული ერთეულის (მუნიციპალიტეტის) ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა სოციალურ სამართლიანობისა და მმართველობის ეფექტურობის შესახებ.

საჯარო მმართველობის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტური სისტემას წარმოადგენს ე.წ **კარგი მმართველობის (Good Governance) სისტემა**³, რომელიც არის გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების ინოვაციურ პროცესს. მას არ ახორციელებენ, რათა მიღწეული იქნეს "სწორი გადაწყვეტილება", არამედ მისი მიზანია რომ უზრუნველყოფილი იქნას მაქსიმალურად საუკეთესო გადაწყვეტილების შემუშავება და შემდგომ ეფექტურად განხორციელდეს კიდევაც დასახული ამოცანები.

კარგი მმართველობის სისტემის ცხოვრებაში რეალიზაციის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო კონცეფციას წარმოადგენს მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელი, რომელიც ემყარება რწმენას, რომ გადაწყვეტილების პროცესში ეფექტური თანამშრომლობის გზით, სამოქალაქო საზოგადოება და საჯარო მოხელეები ერთობლივად ეფექტურად განსაზღვრავენ საჯარო ხარჯების პრიორიტეტულობას, რაც თავისი მხრივ შეამცირებს სოციალურ კონფლიქტებსა და ხელს შეუწყობს საზოგადოების მხრიდან მიღებული გადაწყვეტილებების ფართო მიმღეობას.

2.1. მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელები

მსოფლიოში მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელების ტიპების მრავალფეროვნება განპირობებულია მისი ბაზისური მახასიათებლებით.

დანერგილი მოდელების უმეტესობა ეფუძნება:

- **ტერიტორიულ მახასიათებელი**
მონაწილეობითი ბიუჯეტირება, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება როგორც კონკრეტულ ტერიტორიაზე მიმდრეული ფინანსურ და მმართველობით ინსტრუმენტად. თვითმართველობის სისტემასთან მიმართებაში **ტერიტორიულ** ბაზისის მიეკუთვნება: სამეზობლო, უბანის, ქალაქის ანდა სულაც რეგიონალურ მასშტაბი.
- **თემატური მახასიათებელი**
ტერიტორიულის ალტერნატივას წარმოადგენს **თემატური** მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელი, რომელიც ეფუძნება პრიორიტეტულად ჩამოყალიბებულ საკითხების კონტექსტს, ისეთი როგორც არის: ტრანსპორტი, გარემო, საცხოვრისი, განათლება, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება და სხვა.


³ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ დანართი 3

პრობლემები და თემები თემატური მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელის ფარგლებში დროთა განმავლობაში შესაძლებელია შეიცვლოს, ხოლო მიღებული გადაწყვეტილებები, უმეტესწილად, მოიცავენ მთლიანად ქალაქისა და დასახლებული პუნქტის.

• პროცესის აქტორის მახასიათებელი

პროცესის აქტორზე (საზოგადოების კონკრეტულ ფენებზე) დაფუძნებული მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელის ფარგლებში საბიუჯეტო რესურსები განკუთვნილია მოწყვლადი და დაუცველ, ანდა სულაც რომელიმე სოციალურ ჯგუფისათვის (როგორცაა: ახალგაზრდობა, ქალები, ხანდაზმულები, მიგრანტები, სექსუალური და რელიგიური უმცირესობები და სხვა).

რეალურ პრაქტიკაში კი ყველაზე ხშირად გამოიყენება ტერიტორიული და თემატური ტიპის კომბინაციის მქონე მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელები.



ილუსტრაცია 1 - მონაწილეობითი ბიუჯეტირების ტიპები

2012 წელს შემუშავებული იქნა მონაწილეობითი ბიუჯეტირების ტიპოლოგია (4), რომლითაც აღიწერება არსებულ ყველა მოდელს და გამოყოფილი იქნა მონაწილეობითი ბიუჯეტირების შემდეგი ექვსი მოდელი:

1. მონაწილეობითი დემოკრატიის (Participatory Democracy) მოდელი
2. სამეზობლო (სიახლოვის) დემოკრატიის (Proximity Democracy) მოდელი
3. მონაწილეობითი მოდერნიზაციის (Participatory Modernization) მოდელი
4. დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის (Multi-Stakeholder Participation) მოდელი
5. ნეო-კორპორატივიზმის (Neo-Corporatism) მოდელი
6. სათემო განვითარების (Community Development) მოდელი

ყოველი ეს მოდელი განსხვავდება ერთმანეთისაგან ტერიტორიული, თემატური და პროცესის აქტორების ტიპებისა და მათი ჩართულობის მახასიათებლის მიხედვით.

2.2. მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვის საეთაშორისო პრაქტიკა

მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვის წარმატებულობა-წარუმატებლობა არ არის დამოკიდებული არც დასახლებული პუნქტში მოსახლეობის ოდენობაზე და არც მისი ბიუჯეტის ზომაზე.

მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტირება შესაძლებელია დაინერგოს ნებისმიერი ზომის დასახლებულ პუნქტში. ასე მაგალითად:

- სოფელში, სადაც რამდენიმე ასეული მოსახლე ცხოვრობს - კურალუარა დე კარანგას (ბოლივია);
- ქალაქის ერთ რაიონებში/უბანში (Urban Districts) - ჩიკაგოს 49-ე რაიონი (აშშ);
- საშუალო ზომის ქალაქებში (100,000-ზე ნაკლები მოსახლე) - ილო (პერუ);
- მილიონიანი ქალაქებში - როსარიო (არგენტინა);
- ძალიან დიდ (რამდენიმე მილიონიანი) ქალაქებში - პარიზი, ბერლინი, ლონდონი.

უმეტესწილად, მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვა ხდება მუნიციპალურ დონეზე. თუმცა ამჟამად არსებობს რამდენიმე ქვეყნის გამოცდილებაც, სადაც დანერგვა განხორციელდა სუბ-ეროვნულ დონეზე. ასე მაგალითად:

- შტატის დონეზე - რიო გრანდე დო სულ (Rio Grande do Sul), ბრაზილია;
- დეპარტამენტის დონეზე - კოლუმბიაში ელ ტოლიმას (El Tolima) დეპარტამენტი;
- პროვინციის დონეზე - პერუში, ჩუკამპას (Chucampas) პროვინცია.

პრაქტიკა აგრეთვე აჩვენებს, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვის წარმატებულობა ანდა წარუმატებლობა არ არის დამოკიდებული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების ოდენობაზე. მისი დანერგვა შეიძლება, როგორც ძალიან ღარიბ ქალაქებში/დასახლებულ პუნქტებში, სადაც ძალზედ შეზღუდულია საჯარო რესურსების ხელმისაწვდომობა, აგრეთვე ძალიან მდიდარ მუნიციპალიტეტებშიც. მაგალითად მონაწილეობითი ბიუჯეტირება დაინერგა აფრიკის რიგ ქალაქებში, რომელთა წლიური ბიუჯეტის ერთ სულ მოსახლეზე გადათვლით 3 აშშ დოლარზე, აგრეთვე ევროპისა და ბრაზილიის ქალაქებში, სადაც იგივე მახასიათებელი 500-დან 1000 აშშ დოლარის შორის მერყეობს.

მსოფლიოში მონაწილეობითი ბიუჯეტირების გავრცელებას და დანერგვის ტემპებს კარგად ასახავს ცხრილი 1, სადაც მოცემულია 1989-2008 წლებში ბრაზილიაში ქალაქების რაოდენობა, სადაც დანერგილი იქნა მონაწილეობითი ბიუჯეტირება. ცხრილიდან ჩანს რომ ყოველ 3 წელიწადში ასეთი ქალაქების რიცხვი ორმაგდებოდა.

წლები	ქალაქების რაოდენობა (პროცენტებში)
1989-1992	4,3%
1993-1996	9%
1997-2000	18%
2001-2004	40%
2005-2008	41%

ცხრილი 1 - 1989-2008 წლებში ბრაზილიაში ქალაქების რაოდენობა, სადაც დანერგილი იქნა მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესი (პროცენტებში)

შედეგად 1989 წლიდან დღემდე მსოფლიოს 1,500 ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმარება ხდება მონაწილეობითი ბიუჯეტირებით. ფართო გავრცელება ჰპოვა ლათინურ ამერიკაში (ბრაზილია და პერუ), და ევროპაში (ესპანეთი და სკანდინავიის ქვეყნებში). ამასთანავე **Error! Reference source not found.**-იდან ჩანს, რამხელა ფინანსური რესურსების განკარგვა ხდება მონაწილეობითი ბიუჯეტირების გამოყენებით. ასე მაგალითად: მხოლოდ პარიზში 2014 წელს 500 მილიონი აშშ დოლარი იქნა განკარგული.



ილუსტრაცია 2 - მსოფლიოში 2018 წლისათვის მონაწილეობითი ბიუჯეტების ფარგლებში განკარგული ფინანსური სახსრების მოცულობა⁴

არსებულ პრაქტიკის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ყველაზე ფართო გამოიყენება მონაწილეობითი ბიუჯეტების 3 ტიპი - მონაწილეობითი დემოკრატიის, სამეზობლო დემოკრატიისა და სათემო განვითარების მოდელები, რაც განპირობებულია მათი სოციალური სამართლიანობაზე ფოკუსირებით და პროცესებში უშალო (პირდაპირი) დემოკრატიის ინსტრუმენტების ფართო გამოყენებით.

2.2.1. მონაწილეობითი ბიუჯეტების ბრაზილიური მოდელი (ქალაქ პორტო ალეგრეს მოდელის მაგალითზე)

ბრაზილია მონაწილეობითი ბიუჯეტების მოდელის დანერგვის ერთ-ერთი ნოვატორია, სადაც უმეტესწილად დანერგილია მონაწილეობითი დემოკრატიის (Participatory Democracy) მოდელი. ხოლო ქალაქი პორტო ალეგრე (Porto Alegre) კი პირველი მუნიციპალიტეტია სადაც 1989 წლიდან დაიწყო დღემდე უწყვეტად ფუნქციონირებს ავთენტური მოდელი.

ბრაზილია მონაწილეობითი ბიუჯეტების დანერგილი მოდელის განხილვისას გასათვალისწინებელია რიგი გარემოებები:

1. ბრაზილია არის ფედერალური რესპუბლიკა, სადაც უზრუნველყოფილია ეფექტიანი დეცენტრალიზაცია;
2. ფართო ავტონომიით სარგებლობენ არამარტო შტატები, რამედ მუნიციპალიტეტებიც;
3. 80 მილიონიან ქვეყანაში მოსახლეობის 85%-მდე კონცენტრირებულია ქალაქებში;
4. ბრაზილიის პოლიტიკაში ბოლო 30 წელია დომინირებენ მემარცხენე პლატფორმაზე მდგომი პოლიტიკური პარტიები;
5. მიუხედავად სწრაფად მზარდი ეკონომიკისა თვალში საცემია ძალიან ღარიბი და ძალიან მდიდარ მოსახლეობისა შორის განსხვავება.

ამ ფაქტორთა ერთობლიობამ უზრუნველყო, რომ ბრაზილიის პრაქტიკულად ყველა დიდი ქალაქში (არამარტო ქალაქში არამედ ზოგიერთ შტატში) დანერგილია რამდენიმე მოდელი. თუმცა უმეტესწილად ყველა მათგანი წარმოადგენს პორტო

⁴ წყარო: The Participatory Budgeting Project, www.participatorybudgeting.org/pb-map/

ალეგრიში დანერგილი მოდელის (მონაწილეობითი დემოკრატიის) ადაპტაციას.

მონაწილეობითი ბიუჯეტების პროექტები წლებია წარმატებით ფუნქციონირებს მთელ რიგ მუნიციპალიტეტებში, მათ შორის:

1. ქალაქი პორტო ალეგრე (Porto Alegre) მოსახლეობა 1.3 მილიონი და მისი თანმდევი ქალაქი გრავატაი (Gravatai) მოსახლეობა 230,000;
2. ქალაქი კაშიას დუ სულ (Caxias do Sul) მოსახლეობა 360,000;
3. მეგაპოლისი ბელო ორეზონტი (Belo Horizonte) მოსახლეობა 2.1 მილიონი;
4. ინდუსტრიული ქალაქი სანტო ენდრი (Santo Andre) მოსახლეობა 650,000;
5. შტატი რიო გრენჯე დუ სულ (Rio Grande do Sul) მოსახლეობა 10.2 მილიონი.

შემდგომში ამ თავში განხილული იქნება ქალაქი პორტო ალეგრეში დანერგილი საბაზო მოდელი, რომელიც ცალსახად აღწერს იმ მიდგომებსა და პროცედურებს, რაც ხასიათებს ბრაზილიაში მოქმედ მონაწილეობით ბიუჯეტების მოდელს.

ქალაქი პორტო ალეგრეში ყოველწლიურად 50,000 მონაწილეობს მონაწილეობითი ბიუჯეტების პროექტში, და მათი გადაწყვეტილებით ქალაქის ბიუჯეტის 20% ნაწილდება.

საკანონმდებლო ჩარჩო

მონაწილეობითი ბიუჯეტების მოდელის დანერგვა უზრუნველყოფილი იქნა 1988 წლის მიღებულმა ბრაზილიის კონსტიტუციამ, სადაც მუნიციპალიტეტი განსაზღვრა, როგორც ფედერალური სტატუსს მქონე სუბიექტი, რომელიც წარმოადგენს ადგილობრივ დონეზე მოქმედ პოლიტიკურ ორგანოს და გააჩნია ადმინისტრაციული და ფინანსური ავტონომია. გარდა ამისა, კონსტიტუციით უზრუნველყოფილი იქნა "ნახევრად პირდაპირი დემოკრატიის"⁵ გარკვეული პრინციპები, რომლის მეშვეობითაც მოხდა წარმომადგენლობითი მმართველობის დაბალანსება სამოქალაქო ჩართულობის ინიციატივით.

მონაწილეობითი ბიუჯეტების ბრაზილიური მოდელი მთლიანად ეფუძნება კონსტიტუციაში ჩამოყალიბებულ ადგილობრივი ხელისუფლების წესდებას, სახელწოდებით „Lei Organica“, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების რეალური დამოუკიდებლობის ფონზე, უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის ფართო ჩართულობას. ამავდროულად, ბრაზილიური კანონმდებლობა არ განსაზღვრავს რაიმე სახის მეთოდებს, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა მუნიციპალიტეტების მიერ ამ ვალდებულების აღსრულება. აღნიშნული გარემოება მუნიციპალიტეტს საშუალებას აძლევს, საკუთარი ხედვიდან გამომდინარე, მოახდინონ მონაწილეობითი პროცედურების ინიცირება, რომლებიც უკეთ არიან ადაპტირებული ადგილობრივ კონტექსტთან და უზრუნველყოფენ ჩართულობის მაღლ სტანდარტს. თუმცა იმავე საკანონმდებლო ჩარჩოდან გამომდინარე, აგრეთვე არ არსებობს რაიმე გარანტია

⁵ ნახევრად პირდაპირი დემოკრატია (Semi-direct democracy) არის დემოკრატიის ტიპი, რომელიც აერთიანებს პირდაპირი დემოკრატიისა და წარმომადგენლობითი ხელისუფლების მექანიზმებს. მის პირობებში, მმართველობითი გადაწყვეტილებას შემუშავებას და განხორციელებას უზრუნველყოფს ყველა დონეზე აღმასრულებელი ხელისუფლება, თუმცა მოქალაქეებს გააჩნიათ მთავრობებისა და კანონების კონტროლის შესაძლებლობა უშუალო დემოკრატიის სხვადასხვა მეთოდების მეშვეობით, როგორცაა არის: სავალდებულო რეფერენდუმი, სამოქალაქო ინიციატივები, მანდატის გაუქმება, პლემბისციტი და საზოგადოებრივი კონსულტაციები.

იმისა, რომ არჩევნების შედეგად, ანდა დომინანტი პოლიტიკური პარტიის მიზნებიდან გამომდინარე, ადგილობრივი ხელისუფლების ადმინისტრაციის ცვლილებების შემთხვევაში მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცეს იქნება უწყვეტი

ბრაზილიურ მოდელში იურიდიული თვალსაზრისით მონაწილეობითი ბიუჯეტირება გულისხმობს მოსახლეობისათვის ადგილობრივი ხელისუფლების ადმინისტრაციის (მერიის) მიერ რიგი უფლებამოსილების, რომლებიც დაკავშირებულია ბიუჯეტის შემუშავების პროცესთან, ფორმალურ დელეგირებას. ამავდროულად, ადგილობრივი ხელისუფლების საკანონმდებლო შტოს (საკრებულოს) მხრიდან მსგავსი უფლებამოსილების დელეგაცია არ ხდება და იგი რჩება იმ ორგანოდ, რომელიც ამტკიცებს მერიის მიერ მომზადებულ მუნიციპალურ ბიუჯეტს და წარუდგენს ფინანსთა სამინისტროს.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცედურები

მონაწილეობითი ბიუჯეტირების თითოეულ ფაზაში ჩართულია როგორც მოსახელობა, ასევე მის მიერ არჩეული ფორუმის დელეგატები, მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს წევრები და მუნიციპალიტეტის ასამბლეის (საკრებულოს) წევრებიც (იხ. დანართი 7). სხვა მოდელისაგან განსხვავებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს წევრები, მერია ტექნიკურ და ექსპერტულ ფუნქციას ასრულებს, ხოლო მუნიციპალიტეტის ასამბლეა (საკრებულო) კი მხოლოდ მოსახლეობის მიერ შემუშავებულ პრიორიტეტებს ამტკიცებს.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების გეგმარების პროცესი შესდგება 2 ნაბიჯისაგან:

ნაბიჯი 1 - ბიუჯეტის შესრულების ანგარიში (Prestação de Contas)

მუნიციპალიტეტი ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა წარმოადგენს წინა წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის. ფაქტობრივად, ანგარიშის წარდგენის ვალდებულება ფორმალურად არ არის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის შემადგენელი ნაწილი, თუმცა პორტო ალეგრეს მოდელში ფაქტობრივად სავალდებულოა.

ანგარიშში უნდა წარმოჩენილი იყოს წინა წელს თუ რა პროექტები იქნა დაგეგმილი და რა შედეგები იქნა მიღწეული მათი განხორციელების შედეგად, წარდგენილი იყოს მომავალი წლის შემოსავლებისა და ხარჯების შეფასებები და განსაზღვრული დაგეგმილი კაპიტალური ინვესტიციების ოდენობა. ამ დოკუმენტის დაყრდნობით მოხდება შემდეგი წლის მუნიციპალური ბიუჯეტის გეგმარება.

ნაბიჯი 2 - მონაწილეობითი ბიუჯეტირების სამუშაოთა ციკლი

მონაწილეობითი ბიუჯეტირების სამუშაოთა ციკლი (5) უზრუნველყოფს პროცესში მოსახლეობის უშუალო ჩართულობითა და კენჭისყრის გზით საბიუჯეტო პრიორიტეტების შერჩევას, აგრეთვე ფორუმებში და საბჭოებში დელეგატების (წარმომადგენელთა) არჩევას. ბიუჯეტის განაწილების ყველა ეტაპზე პროცესის გამჭვირვალობისა და შედეგების ობიექტურობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ღია კენჭისყრის სისტემა და შეფასების რაოდენობრივი კრიტერიუმები.



ილუსტრაცია 3 - პორტო ალეგრეს მონაწილეობითი ბიუჯეტირების სამუშაოთა ციკლი

თავის მხრივ სამუშაოთა ციკლი იყოფა 7 ფორმალიზებულ ფაზად და პროცესი მიმდინარეობს 9 თვის განმავლობაში: ყოველი წლის მარტიდან დეკემბრის ჩათვლით (იხ: **Error! Reference source not found.**).


მუნიციპალიტეტის ტერიტორია იყოფა 17 ზონებად, რომელსაც უწოდებენ რეგიონს (Regiões), რომლებიც თავის მხრივ სუბ-რეგიონებად (Microrregiões), რათა უზრუნველყოფილი იქნეს ადგილობრივ დონეზე მოსახელობის მაქსიმალური ჩართულობა და მუნიციპალური ინვესტიციების განაწილების ყოველწლიური პროცესში თითოეული სუბ-რეგიონს გარანტირებულად გააჩნდეს საკუთარი ხმა.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის ფარგლებში ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს **მუნიციპალიტეტის საინვესტიციო და სერვისების გეგმა (Plano de Investimentos e Serviços)**. გეგმაში აღწერილია თუ მუნიციპალიტეტის რომელ რეგიონში, რა საქმიანობაზე (დასაშვებია როგორც კაპიტალური და ინფრასტრუქტურული მშენებლობა, ასევე მუნიციპალურ სერვისები და სოციალური, კულტურული და სპორტული ღონისძიებები) და ბიუჯეტის რა ოდენობის თანხები უნდა დაიხარჯოს, ასევე მითითებულია თუ ვის მიერ იქნა წარმოდგენილი აღნიშნული საპროექტო განაცხადი

გეგმაში ტერიტორიულად მიზმულ საპროექტო განცხადებთან ერთად წარმოდგენილია აგრეთვე თემატიკური საპროექტო განცხადებები, რომელიც მთლიანდ მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება:

1. საგზაო მოწყობა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი
2. ჯანმრთელობა და სოციალური დახმარება
3. განათლება, სპორტი და დასვენება
4. ქალაქ მოწყობა, საცხოვრისის, ქალაქისა და გარემოსდაცვითი განვითარება
5. კულტურა
6. ეკონომიკური განვითარება და გადასახადები

საპროექტო განაცხადი გაკეთების უფლება გააჩნია, როგორც მოქალაქეებს, ასევე არასამთავრობო, სათემო და პროფესიულ გაერთიანებებს, აგრეთვე მუნიციპალურ და სხვა საჯარო დაწესებულებებს.



ილუსტრაცია 4 - პორტო ალეგრეს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის ძირითადი აქტორები

მონაწილეობითი ბიუჯეტირების სამუშაოთა ციკლში ჩართულია შემდეგი ძირითადი აქტორები:

1. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა

მოსახლეობის პროცესში უშუალო ჩართულობა გამოიხატება სუბ-რეგიონალური, რეგიონალური და თემატური ასამბლეებში მონაწილეობით, რეგიონალური და თემატური ფორუმების დელეგატებისა და მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს წევრების არჩევის კენჭისყრის პროცესში ჩართულობაში. პროცესის მონაწილეთა ქვეშ მოიაზრება როგორც ბრაზილიის მოქალაქე, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 14 წელი.

2. სუბ-რეგიონალური, რეგიონალური და თემატური სახალხო ასამბლეები (Assembleia Regional ou Temática)

სახალხო ასამბლეები წარმოადგენს მონაწილეობითი ბიუჯეტირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის ქვაკუთხედს. რეგიონსა და სუბ-რეგიონის სახალხო ასამბლეები ღიაა ყველა მაცხოვრებლისათვის. ასამბლეის შეხვედრების წარმოადგენს უშუალო დემოკრატიული და ინკლუზიური ჩართულობის ეფექტიან კომპონენტს. სუბ-რეგიონის სახალხო ასამბლეები როგორც წესი კონსულტაციებში ჩართულობით და პირდაპირი და ღია კენჭისყრის პროცესში უშუალო ჩართულობის ხელმისაწვდომობით უზრუნველყოფენ დაბალშემოსავლიან მოქალაქეების, ქალთა, ახალგაზრდებისა და მარგინალური ჯგუფების წახალისებას რათა მაქსიმალურად ჩართონ ბიუჯეტირების პროცესში, რადგან ასეთი ჯგუფები სხვადასხვა მიზეზთა გამო ხშირად თავს იკავებენ საცხოვრებელიდან შორ მანძილზე დაშორებულ დანიშნული სახალხო ასამბლეებში მონაწილეობისაგან,

განსაკუთრებით ეს თავს იჩენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სოფლის ტიპის დასახელებების შემთხვევაში.

რეგიონალურ სახალხო ასამბლეებზე ჯერ ერთი ხდება სუბ-რეგიონალურ ასამბლეებზე გამოთქმული მოსაზრებების შეჯერება და მორეს ერთიგ - იმ საკითგების განხილვა, რომელიც ეხება მთლიანდ მუნიციპალიტეტის განვითარებას ანდა ფარავს რამდენიმე სუბ-რეგიონის წახილებს.

ცალკე ხდება ფორმირება თემატური ჯგუფების (თემები შეესაბამება მუნიციპალიტეტის საინვესტიციო და სერვისების გეგმაში ასახულ თემებს), რომელშიც ერთიანდებიან, როგორც მოსახელობა, ასევე სხვადასხვა არასამთავრობო, სათემო და პროფესიულ გაერთიანებებს წარომადგენლები.

რეგიონალური და თემატური ასამბლეაზე მოქალაქეები აირჩევენ სექტორული პრიორიტეტებს, განსაზღვრავენ თემატური პრიორიტეტებსა და ახდენენ საჯარო სამუშაოთა და სერვისების ამსახველი შემდეგი წელის დასაფინანსებელ საპროექტო განაცხადების ინიცირებას. შედეგად, თითოეული თემისთვის მიცემული საერთო რაოდენობის ხმების მიხედვით საჯარო რესურსები გამოყოფა კონკრეტული სექტორებისთვის, ხოლო სამი უმაღლესი ქულებით შეფასებული თემატური პრიორიტეტი განისაზღვრება მთლიანი იურისდიქციისთვის.

გარდა ამის ასამბლეაზე მოსახელობის მიერ ხდება:

1. წინა წლის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა.
2. გასული წლის საინვესტიციო და სერვისების გეგმის განხორციელების შედეგების შესწავლა;
3. მუნიციპალური საპროგნოზო ბიუჯეტის პრეზენტაცია.
4. თემატური პრიორიტეტების განხილვა.

3. რეგიონალური და თემატური ფორუმები (Regional and Theme Forums);

რეგიონალური და თემატური ფორუმები მონაწილეობით პროცესის ფარგლებში უზრუნველყოფენ:

1. მერიის მიერ შემუშავებული ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯების საპროგნოზო ნიშნულების განხილვას;
2. თითოეულ თემატური პრიორიტეტის ქვეშ ასამბლეებზე წარდგენილი საჯარო სამუშაოებისა და სერვისების მოთხოვნების მიმოხილვასა და მათ პრიორიტეტიზაციას;
3. ასამბლეებზე წარდგენილი საჯარო სამუშაოებისა და სერვისების მოთხოვნების შესაფასებლად დელეგატების გასვლითი ვიზიტების გზით ახორციელებენ ადგილზე საჭიროებების შესწავლას.

ფორუმების დელეგატები აირჩევა ყველა დონისა და თემატური სახალხო ასამბლეის მიერ შემდეგი წესით: 1 დელეგატი აირჩევა ასამბლეის ჩატარების დღეს წარმოდგენილ ყოველ 10 დამსწრეზე. დელეგატების ზუსტი რაოდენობა განისაზღვრება პროპორციულობის კრიტერიუმით, თითოეული საზოგადოებრივ ჯგუფის (ასოციაცია, კოოპერატივი ან სეგმენტი), რეგიონალური ან თემატური ასამბლეის მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით.

4. ქალაქის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭო (Conselho do Orçamento Participativo - COP)

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში ქალაქის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს გააჩნია. იგი აერთიანებს როგორც მოსახელობის მიერ პირდაპირ არჩეულ წევრებს, ასევე მოქალაქეთა ლობისტურ გაერთიანებას და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანიზაციის სტრუქტურულ ერთეულების წარმომადგენლებს. საბჭო წარმოადგენს ნახევრად პირდაპირი დემოკრატიის პრინციპებზე შექმნი საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს და იგი უფლებამოსილია რათა:

1. იმსჯელოს საკითხებზე, აგრეთვე შეაფასოს და თავისი შეხედულისამებრ მთლიანად ან ნაწილობრივ შეიტანოს ცვლილება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების (მერიის) მიერ შემუშავებულ და მუნიციპალიტეტის ასამბლეისათვის (საკრებულოსთვის) განსახილველად გადასაცემი შემდგ დოკუმენტებში:
 - მუნიციპალიტეტის განვითარების მრავალწლიანი გეგმაში (Plano Plurianual - PPA);
 - მუნიციპალური ბიუჯეტის შესახებ კანონში (Lei de Diretrizes Orçamentárias - LDO და ბიუჯეტის ფორმირების მეთოდოლოგიაში;
 - შემდეგი წლის ბიუჯეტის პროექტში;
 - რეგიონული და თემატური ფორუმების გადაწყვეტილების გათვალისწინებით მუნიციპალური საინვესტიციო და მომსახურების გეგმაში;
 - მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების (მერიის) მიერ ქალაქის განვითარებაზე მიმართულ სამუშაოთა საპროექტო და საინვესტიციო შემოთავაზებებში;
 - მუნიციპალური სპეციალური ფონდებიდან რესურსების გამოყენება, მათ შორის: მუნიციპალური ფონდი, ფონდი PIMES და სხვა ფინანსების წყარო.
 - საგადასახადო და შემოსავლების პოლიტიკაში (Poder Público Municipal.);
2. იმსჯელოს და შეაფასოს წინა წლის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო და მომსახურების გეგმის განხორციელება მისი სტატუსის შესაბამისად (განხორციელდა, მიმდინარე, საორიენტაციოდ დასრულება და არარეალიზებულია), აგრეთვე წინა წლის ბიუჯეტისა და მუნიციპალიტეტის საინვესტიციო და მომსახურების გეგმის აღსრულების მონიტორინგის შედეგები;
3. გადაწყვიტოს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის განხორციელების უზრუნველსაყოფად გადაწყვიტოს საკადრო საკითხები, მათ შორის:
 - შეარჩიოს 8 მრჩეველი, რომელიც მოახდენს საბჭოს მუშაობის კოორდინაციას;
 - შეარჩევს ექვს დირექტორს, სამ თავმჯდომარესა და სამ მოადგილეს, რომლებიც წარმომადგენენ საბჭოს და მოახდენენ საბჭოს შიგნით არსებულ თემატურ კომისიების კოორდინაციას;

- მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭოს ეთიკის კომიტეტში სამუშაოდ შეარჩევს ყოველი რეგიონალური და თემატური ფორუმიდან თითო-თითოს და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ხელისუფლებიდან - სამ წარმომადგენელს, რომელიც განიხილავენ პროცესში წარმოქმნი ყველა დონის სადო საკითხებს.

4. რეგიონებისა და/ან ადმინისტრაციული ერთეულის დაყოფის, აგრეთვე თემატური ჯგუფების შექმნის საჭიროების შესასწავლად შექმნას სპეციალური კომისია;
5. და სხვა საკითხები, რომელიც დაკავშირებულია მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის ეფექტიანია ჩატარებასთან.

ქალაქის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს ფორმირება ხდება, როგორც სახალხო ასამბლეაზე კენჭისყრით, ასევე პროცესში მონაწილე სუბიექტების პირდაპირი დანიშვნის გზით, შემდეგი პრინციპების დაცვით:

- საბჭოს ორ-ორი წევრი და მათი ორ-ორი შემცვლელი არჩევა ყველა რეგიონალური და თემატური ასამბლეიდან, რომლებსაც არჩევისათვის მოეთხოვებათ სახალხო ასამბლეების ჩატარებისას პირადი მაღალი აქტივობა და პროცესებში მაქსიმალური ჩართულობა;
- პორტო ალეგრის მაცხოვრებელთა ასოციაციის კავშირის (UAMPA - União das Associações de Moradores de Porto Alegre) მიერ ინიშნება ერთი საბჭოს წევრი და ერთი მისი შემცვლელი;
- ორი მუდმივი წარმომადგენელი და ორი მისი შემცვლელი ინიშნება უშუალოდ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, საიდანაც ერთი მუდმივი წარმომადგენელი და მისი ერთი შემცვლელი ინსტიტუციური ურთიერთობების მუნიციპალური დეპარტამენტისა (SMRI - Secretaria Municipal de Relações Institucionais) და ერთი ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური დეპარტამენტს (SMDE - Secretaria Municipal de Desenvolvimento Econômico) წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ მერის ქვოტით დანიშნული მუდმივ წევრებს მხოლოდ სათათბირო ხმის უფლება გაჩნიათ და საბჭოს კენჭისყრაში არ იღებენ მონაწილეობას.

5. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო (მერია) (Executivo Municipal)

მუნიციპალიტეტი აღმასრულებელი ორგანო (მერია) მონაწილეობით ბიუჯეტირების პროცესში ძირითადად ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

- უზრუნველყოფს პროცესების ლოგისტიკური, საინფორმაციო, საექსპერტო და ტექნიკური მხარდაჭერას. მერია უზრუნველყოფს ქალაქის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური მხარდაჭერით, მათ შორის: შენობებით, სტენოგრამის წარმოებით, ხმის აპარატურისა და საკომუნიკაციო საშუალებებითა და სხვა;
- უზრუნველყოფს სახალხო ასამბლეების, რეგიონალურ და თემატურ ფორუმებისა და მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს წევრებისა და მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულებისა და მისადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებ შორის ეფექტიან კომუნიკაციასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას;
- ქალაქის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოში ნიშნავს მისი სტრუქტურული ერთეულებიდან (SMRI, SMDE) თავის წარმომადგენლებს

- შეიმუშავებს და წარადგენს პროცესის ძირითად სამოქმედო დოკუმენტების, მათ შორის მუნიციპალური ინვესტიციების და სერვისების გეგმას, მუნიციპალიტეტის განვითარების მრავალწლიანი გეგმას, მუნიციპალური ბიუჯეტის შესახებ კანონს და ბიუჯეტის ფორმირების მეთოდოლოგიას; შემდეგი წლის ბიუჯეტის პროექტს და სხვა.
- პროცესში მონაწილე სხვა აქტორებთან ერთად გაჩნია უფლებამოსილება წარადგინოს თავისი ხედვა თუ რა სამუშაოები, სერვისები და ინვესტიციები უნდა განხორციელდეს მუნიციპალიტეტში;

მერია აგრეთვე უზრუნველყოფს ასამბლეებზე წარდგენილი საჯარო სამუშაოებისა და სერვისების მოთხოვნების ტექნიკურ შეაფასებას და საჭიროებისამებრ სხვადასხვა დარგის ტექნიკური სჯარო დაწესებულების პერსონალის ხელმისაწვდომობას.

6. მუნიციპალიტეტის ასამბლეა (საკრებულო) (Assembléa Municipal)

პორტო ალეგრეში დანერგილი მოდელის ფარგლებში მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო ორგანოს - მუნიციპალიტეტის ასამბლეა (საკრებულოს) ფუნქცია მწირია და შემოიფარგლება პროცესზე ზედამხედველობითა და რეგიონალურ და თემატურ ფორუმებზე შეიმუშავებული თემატური და რეგიონალური პრიორიტეტების ნუსხის ფორმალური დამტკიცებით. აგრეთვე რადგან მუნიციპალიტეტის ასამბლეას (საკრებულოს) უფლებამოსილება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცება იგი აგრეთვე ფორმალურად ამტკიცებს ქალაქის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს მიერ შეიმუშავებულ დოკუმენტებს, თუმცა ამ პროცესში მას გააჩნია უფლებამოსილება, რათა საკუთარი მოსაზრებებიდან გამომდინარე მთლიანად ან ნაწილობრივ შეიტანოს ცვლილება წარდგენილ პრიორიტეტებში და დაგეგმილ სამუშაოთა ნუსხაში.

2.2.2. მონაწილეობითი ბიუჯეტირების უკრაინული მოდელი (ქალაქ კიევის მოდელის მაგალითზე)

უკრაინაში მონაწილეობითი ბიუჯეტირების (Громадський бюджет) მოდელის დანერგვა დაიწყო თითქმის 10 წლის წინ. ამ პროცესის გადმოსახედიდან უკრაინა გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

1. უკრაინა არის უნიტარული რესპუბლიკა, სადაც ფუნქციონირებს 3 დონიანი ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელთაც გააჩნია საკუთარი კომპეტენციები, ფინანსური და მატერიალური რესურსები;
2. კანონმდებლობა ხელს უწყობს შეზღუდული კომპეტენციების, ფინანსური და მატერიალური რესურსების განკარგვის უფლების მქონე მოსახლეობის ფორმალური გაერთიანებების შექმნას. რომელიც უზრუნველყოფს ადგილებზე პირდაპირი დემოკრატიის განხორციელებას;
3. 48 მილიონიან ქვეყანაში ქალაქებში ცხოვრობს მთელი მოსახლეობის 67,2%, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში კი 32,8%⁶
4. უკრაინაში ძალზედ მაღალია კორუფციის დონე⁷;
5. დონორი ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები ფინანსურად და მეთოდ-

⁶ Population of Ukraine, http://ukrexport.gov.ua/eng/about_ukraine/population/ukr/179.html

⁷ World Corruption Perceptions Index 2016, Transparency International, https://www.transparency.org/news/feature/corruption_perceptions_index_2016

დოლოგიურად ხელს უწყობენ ქვეყანაში კორუფციასთან ბრძოლისა და პირდაპირი დემოკრატიის სხვადასხვა ინსტრუმენტების დანერგვის პროცესს.

ამ ფაქტორთა ერთობლიობამ უზრუნველყო, რომ უკრაინაში ბევრ ქალაქსა ოლქში დანერგილია მონაწილეობითი ბიუჯეტირების რამდენიმე მოდელი. თუმცა უმეტესწილად ყველა მათგანი წარმოადგენს ადაპტაციას.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტები წლებია წარმატებით ფუნქციონირებს მთელ რიგ მუნიციპალიტეტებში, მათ შორის:

1. ქალაქი კიევი (Київ) მოსახლეობა 2.9 მილიონი;
2. ქალაქი ლვოვი (Львів) მოსახლეობა 727,968;
3. ქალაქი დნეპრო (Дніпро) მოსახლეობა 979,046;
4. ქალაქი ჩერნოვიცი (Чернівці) მოსახლეობა 266,366;
5. ქალაქი ხმელნიცკი (Хмельницький) მოსახლეობა 290,100;
6. ქალაქი მელიტოპოლი (Мелітополь) მოსახლეობა 156,984.

შემდგომში ამ თავში განხილული იქნება ქალაქი კიევში დანერგილი საბაზო მოდელი, რომელიც ცალსახად აღწერს იმ მიდგომებსა და პროცედურებს, რაც ხასიათებს უკრაინაში მოქმედ მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელებს.

საკანონმდებლო ჩარჩო

უკრაინაში 1996 წელის მიღებულ კონსტიტუციაში⁸ განისაზღვრა თვითმმართველობის დელეგაცია, როგორც დამოუკიდებელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული (Територіальна Громада), რომელიც წარმოადგენს სოფლების, დასახლების, ქალაქის ტერიტორიაზე მუდმივად მაცხოვრებელთა, ანდა რამდენიმე დასახლებული პუნქტის მცხოვრებთა ნებაყოფლობითი გაერთიანებას და თვითმმართველობის უფლებას განახორციელონ პირდაპირი დემოკრატიის მექანიზმების მეშვეობით.

ადგილობრივ თვითმმართველობის შექმნის საფუძვლებს წამოადგენს კანონი უკრაინაში ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ (Закон України Про Місцеве Самоврядування в Україні)⁹, რომელიც განსაზღვრავს თვითმმართველობის სტრუქტურას, მისი ერთეულების უფლება-მოვალეობებსა და მოქალაქეთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის ფორმებს.

თავად სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტის დეფინიცია და შესაბამისი მეთოდებს აღწერას უკრაინაში მოქმედი კანონმდებლობა არ იძლევა. თუმცა, მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვის თვალსაზრისით ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონით განსაზღვრული მოსახლეობის მონაწილეობის სხვადასხვა ფორმებთან (საჩივრებისა და წინადადებების შეტანის მექანიზმი, ღია პოლიტიკის შექმნა, საჯარო მოსმენა, საჯარო პეტიციები) ერთად მუნიციპალიტეტის ხელისუფლებას საშუალებას აძლევს მოახდინონ თავიანთი კომპეტენციების, ფინანსებისა და მუნიციპალური საკუთრების მართვის უფლების დელეგირება თვითმმართველობის ქვედა დონზე არსებულ მოსახლეობის თვითორგანიზებულ ჯგუფებთან, რომლებიც კანონში მოიხსენება როგორც მოსახლეობის თვითორგანიზაციის ორგანო

⁸ Конституція України, <http://zakon.rada.gov.ua/laws/show/254%D0%BA/96-вр>

⁹ Закон України Про Місцеве Самоврядування в Україні, #280/97-ВР, რედაქცია 10.06.2018, <http://zakon.rada.gov.ua/laws/show/280/97-вр>

(Органи Самоорганізації Населення), ამ ორგანოს შექმნის ინიციატივა გაჩნია ნებისმიერი სოფლის, დასახლებისა (დაბისა) და ქალაქის შესაბამის ტერიტორიაზე დროებით ანდა მუდმივად მაცხოვრებლებს. რომელთა ცალსახად გამოხატული ნების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საბჭო უფლებამოსილია შექმნას სახლის-/სახლების (ბინათმესაკუთრეთა), ქუჩის, კვარტალური და სხვა სახის მოსახლეობის თვითორგანიზების ფორმალური ორგანოები, რომელთაც გადასცემს საკუთარ კომპეტენციებს, ფინანსებისა და ქონების ნაწილს. მოსახლეობის თვითორგანიზაციის ორგანო წარმოადგენს პირდაპირი დემოკრატიის ფორმას.

საზოგადოებრივი ბიუჯეტის პროცედურები

უკრაინაში საზოგადოებრივი ბიუჯეტის დანერგილი მოდელი, მასში მონაწილე აქტორები, სამუშაო პროცედურები და მიდგომები განხილული იქნება ქალაქ კიევში მოქმედი სამოქალაქო ბიუჯეტის მაგალითზე (მოდელის კროსფუნქციონალური მოდელი იხილე დანართი 8-ში).

1. საზოგადოებრივი ბიუჯეტის ფორმირების ყველა პროცედურებში გამოიყენება საზოგადოებრივი ბიუჯეტის ელექტრონული სისტემა (Електронна система ГБ) (შემდგომში - „ელექტრონული სისტემა“), რომელიც ინტეგრირებული არის მუნიციპალიტეტში არსებული მართვი ელექტრონული სისტემებთან, დაფუნქციონებულია ღია კოდის (Open Source) პოლიტიკაზე;
2. პროცესებში მოსახლეობის მაქსიმალურად მოზიდვისათვის საპროექტო წინადადების გაგზავნა შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის გამოყენებით, ხოლო დოკუმენტური სახით წარედგინება კი საზოგადოებრივი ბიუჯეტის მხარდაჭერის პუნქტებში, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის რაიონულ სერვის ცენტრებში. მხარდაჭერის პუნქტების მეშვეობით ასევე ხდება საზოგადოებრივი ბიუჯეტის პროცედურების შესახებ ინფორმაციის და საპროექტო წინადადების სააპლიკაციო ფორმების გავრცელებაც.
3. საინფორმაციო სისტემაში მომხმარებლების იდენტიფიცირების მიზნით გამოიყენება მოქალაქის ერთიანი ელექტრონული ხელმოწერის სისტემა (ЕЦП) და მოქალაქეთა საჯარო და ადმინისტრაციული მომსახურებებთან წვდომის უზრუნველყოფად მოქალაქეთა ვერიფიკაციის საბანკო ინტერნეტ სერვისი (BankID).
4. საზოგადოებრივი ბიუჯეტის ზოგად ხელმძღვანელობას უწევს და კონფლიქტური სიტუაციებში არბიტრის ფუნქცია გააჩნია საზოგადოებრივი ბიუჯეტის კომისიას;
5. საზოგადოებრივი ბიუჯეტის რაიონული და საქალაქო სამუშაო ჯგუფები ახორციელებენ ბიუჯეტირების პროცესების უშუალო მართვას;
6. საპროექტო წინადადებების წარდგენის, მომხრეთა მოზიდვისა და სამუშაოთა მონიტორინგის უფლება გააჩნია საზოგადოებრივი პროექტის გუნდებს;
7. საპროექტო წინადადებების საბოლოო სია ეფუძნება მოსახლეობის კენჭისყრით გამოვლენილი სარეიტინგო ქულას;

საზოგადოებრივი ბიუჯეტის შემუშავების სამუშაოები მიმდინარეობს 7 თვე - ყოველი წლის ივნისიდან დეკემბრის ჩათვლით და ლოგიკურად იყოფა 3 ფაზად, რომელშიც ჩართული არიან როგორც მოქალაქეები, ასევე არასამთავრობო და მუნიციპალური ორგანიზაციები.

1. გეგმარების ფაზა

საზოგადოებრივი ბიუჯეტის გეგმარების ფაზაში ხორციელდება პროცესების განმახორციელებელ ძირითად სუბიექტებს ფორმირება, გასული წლის ბიუჯე-

ტის ფორმირების სამუშაოთა პარამეტრების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ახლებურად ჩამოყალიბება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის ჩასატარებლად სამუშაოთა გეგმარება.

საზოგადოებრივი ბიუჯეტის გეგმარების ფაზა მიმდინარეობს ყოველი წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით და ხორციელდება შემდეგი სამუშაოები:

1.1. საზოგადოებრივი ბიუჯეტის კომისიის ფორმირება

საზოგადოებრივი ბიუჯეტის კომისია წარმოადგენს საზოგადოებრივი ბიუჯეტის შემუშავების საკითხში პოლიტიკის შემუშავებელ, მაკონტროლებელ და საჩივრების განმხილველ ორგანოს.

კომისიის წევრებს წარმოადგენენ არასამთავრობო და ჰუმანიტარული ორგანიზაციები და ღია კონკურსის გზით ყოველწლიურად ხდება მისი ფორმირება. კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს თავად საზოგადოებრივი ბიუჯეტის კომისია, ხოლო საზოგადოებრივი ბიუჯეტის საქალაქო სამუშაო ჯგუფის ახორციელებს ტექნიკურ მხარდაჭერას.

1.2. საზოგადოებრივი ბიუჯეტის რაიონული და საქალაქო სამუშაო ჯგუფების ფორმირება

საზოგადოებრივი ბიუჯეტის საქალაქო და რაიონული სამუშაო ჯგუფი წარმოადგენს საზოგადოებრივი ბიუჯეტის პროცედურების დაგეგმვაზე და სამუშაოთა განხორციელებაზე, აგრეთვე მოსახლეობისა და საზოგადოებრივი პროექტის გუნდებთან კომუნიკაციაზე და საინფორმაციო-საკონსულტაციო მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი ორგანოს.

სამუშაო ჯგუფების ფორმირებაზე პასუხისმგებელია კიევის მერიის შესაბამის სტრუქტურული ერთეულები.

1.3. საქალაქო ბიუჯეტის პროცესების ძირითადი პარამეტრების შემუშავება და დამტკიცება

ბიუჯეტის ფორმირების სამუშაოთა პარამეტრების დადგენაზე პასუხისმგებელია საზოგადოებრივი ბიუჯეტის საქალაქო სამუშაო ჯგუფთან თანამშრომლობით საზოგადოებრივი ბიუჯეტის კომისია და ასახავს შემდეგ საკითხებს:

- დროში გაწერილი საქალაქო ბიუჯეტის ფორმირების სამუშაო გეგმა;
- საპროექტო წინადადებების მიმართულებები/თემატიკა და განხორციელების ზღვრული ვადები;
- საპროექტო წინადადებების მინიმალური და მაქსიმალური ღირებულება და პროექტის ხარჯთაღრიცხვის სავალდებულო რეზერვის ოდენობა;
- მინიმალური მხარდამჭერთა ოდენობა, რათა საპროექტო წინადადება მიმართული იქნეს საჯარო განხილვებზე და საექსპერტო შეფარებაზე.
- მინიმალური მხარდამჭერთა ოდენობა, რათა საპროექტო წინადადება შეყვანილი იქნეს პროექტების სიაში, საიდანაც გამოვლენილი იქნება გამარჯვებული პროექტები;
- საზოგადოებრივი ბიუჯეტის კომისიის მუშაობაში ჩასართავად კანდიდატი ორგანიზაციისთვის კენჭისყრისას მინიმალური ხმათა ოდენობა;

1.4. საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის გეგმის შემუშავება

საზოგადოებრივი ბიუჯეტის კომისია საზოგადოებრივი ბიუჯეტის საქალაქო სამუშაო ჯგუფთან კონსულტაციებით შეიმუშავებს საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის გეგმის რომელიც მიმართულია მოსახელობაში საზოგადოებრივი ბიუჯეტის არისა და პროცედურების შესახებ ცნობადობის გაზრდაზე, აგრეთვე წახალისებს მოსახელობას რათა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ბიუჯეტის ფორმირების ყველა ეტაპზე.

გეგმარების ფაზაში დაგეგმილი სამუშაოთა ტექნიკურ და საინფორმაციო მხარდაჭერას უზრუნველყოფს მერიის ელექტრონული დემოკრატიის განვითარების საპროექტო ოფისი (Проектний Офіс з Розвитку е-Демократії - ПО еДем).

2. საპროექტო წინადადების შერჩევის ფაზა

საპროექტო წინადადების შერჩევის ფაზაში დაგეგმილი სამუშაოთა სათანადო განხორციელებას უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი ბიუჯეტის საქალაქო და რაიონული სამუშაო ჯგუფები, ხოლო მონიტორინგსა და კონფლიქტური სიტუაციების განმუხტვას კი საზოგადოებრივი ბიუჯეტის კომისია.

საზოგადოებრივი ბიუჯეტის ფორმირების პროცედურები შეიძლება დაიყოს შემდეგ საქმიანობად:

2.1. საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიების ჩატარება

საპროექტო წინადადებების წარდგენის წინ ხდება საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიების ჩატარება, რომლის მიზნებიც, პროცედურებიც და გეგმაც გაწერილია საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის გეგმაში. ამავე კამპანიის ფარგლებში საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება საჯარო მოსმენებიც ჩატარებაც. საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის ჩატარებაზე პასუხისმგებლები არიან კიევის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო (მერია) და მისი რაიონული ორგანოები, მათი ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსების გამოყენებით. ასევე შესაძლებელია კამპანიის ზოგიერთი სამუშაოთა დაფინანსება საზოგადოებრივი ბიუჯეტის განხორციელებაზე გამოყოფილ ფონდიდანაც.

2.2. საზოგადოებრივი პროექტის გუნდების ფორმირება

საზოგადოებრივი პროექტის გუნდების ფორმირება წარმოადგენს საზოგადოებრივი ბიუჯეტის შემუშავების უმნიშვნელოვანეს საქმიანობას, რადგან მხოლოდ ამ ჯგუფების მიერ ხდება საპროექტო წინადადებების შემუშავება, მხარდამჭერებისა და პარტნიორების მოზიდვა, პროექტების საზოგადოებაში პოპულარიზაცია და შესრულებული სამუშაოთა კონტროლი და ხარისხის შეფასება.

საზოგადოებრივი პროექტის გუნდის დამოუკიდებლად განსაზღვრავს შიდა მართვისა და წევრთა ურთიერთობების წესებს. გუნდი ფორმირდება კიევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაცხოვრებელ უკრაინის მოქალაქეებისაგან. აგრეთვე შეიძლება გუნდის პარტნიორის სტატუსის გაერთიანდეს ნებისმიერი იურიდიული პირები და არარეგისტრირებული საზოგადოებრივი გაერთიანებები, ხოლო ერთნაირი საკითხებზე მუშაობის შემთხვევაში კი შესაძლებელია საზოგადოებრივი პროექტის რამდენიმე

მე გუნდების გაერთიანება, რომელთა შორის საქმიანი ურთიერთობები განისაზღვრება მათი ურთიერთშეთანხმებით.

საზოგადოებრივი პროექტის გუნდის წევრებს გააჩნიათ უფლება, რომ არჩეული იყვნენ როგორც საზოგადოებრივი ბიუჯეტის კომისიაში, ასევე საზოგადოებრივი ბიუჯეტის საქალაქო და რაიონული სამუშაო ჯგუფებში, თუმცა დამტკიცებული პროცედურებისა და ეთიკის კოდექსის მიხედვით დაწესებულია მკაცრი შეზღუდვები რომ არ მოხდეს ინტერესთა კონფლიქტი. დამატებით აკრძალულია რომ გუნდის წევრები გახდენ საპროექტო წინადადებების ექსპერტიზაზე პასუხისმგებელი პირებიც.

საზოგადოებრივი პროექტის გუნდის ფორმირების შემდეგ იგი რეგისტრირდება ელექტრონულ სისტემაში, სადაც მიეთითება მათი ყველა წევრის შესახებ ინფორმაცია, დაუშვებელია გუნდში შედიოდეს ანონიმი წევრი.

2.3. საპროექტო განაცხადების შემუშავება და მხარდამჭერთა ხმების მოძიება

საზოგადოებრივი ბიუჯეტის დადგენილი წესების დაცვით საზოგადოებრივი პროექტის გუნდის შეიმუშავებს საპროექტო განაცხადების, რომელსაც ელექტრონული სისტემით საშუალებით წარადგენს საზოგადოებრივი პროექტის გუნდის ლიდერი. საპროექტო განაცხადება აგრეთვე შეიძლება იქნეს წარდგენილი ელექტრონული ფოსტისა და მატერიალური სახით საზოგადოებრივი ბიუჯეტის მხარდაჭერის პუნქტებში, რომელსაც ელექტრონულ სისტემაში შეყვანას უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ბიუჯეტის რაიონული სამუშაო ჯგუფი.

საპროექტო განაცხადში გარდა სავალდებულო ინფორმაციისა საჭიროა რომ მიეთითოს პროექტით დაგეგმილი სამუშაოთა ლოკალიზაცია: საქალაქო ან რაიონული. თუ შერჩეული იქნება საქალაქო დონე, უნდა მიეთითოს დადგენილი ჩამონათვალიდან მიმართულება/თემატიკა და ის მუნიციპალური აღმასრულებელი ორგანოს სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი, რომლის კომპეტენციაში შედის მისი განხორციელებაც, ანდა განახორციელოს საპროექტო წინადადების შინაარსობრივი ექსპერტიზა.

საპროექტო განაცხადის ტექნიკურ კონტროლს უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ბიუჯეტის რაიონული სამუშაო ჯგუფი, რომლის დასკვნებზეც დაყრდნობით საზოგადოებრივი პროექტის გუნდის დადგენილ ვადებში შეუძლია აღმოფხვრას შეცდომები, რომლის შემდეგაც მოხდება საპროექტო განაცხადის ელექტრონული სისტემის განთავსება და მხარდამჭერთა ხმების შეგროვება. იმისათვის რომ საპროექტო განაცხადი გადავიდეს შემდეგ ეტაპზე სავალდებულოა, რომ ელექტრონული სისტემის გამოყენებით განაცხადმა დააგროვოს საზოგადოებრივი ბიუჯეტის კომისიის მიერ განსაზღვრული მხარდამჭერთა მინიმალური ოდენობა¹⁰.

2.4. საჯარო კენჭისყრისთვის სიების ფორმირება და საჩივრების განხილვა

საჯარო კენჭისყრისთვის სიების ფორმირებისათვის ყოველი საპროექტო განაცხადი, რომელმაც დააგროვა სათანადო ოდენობის მხარდამჭერები, მიემართება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოში შემავალ სტრუქ-

¹⁰ 2019 წლის საზოგადოებრივი ბიუჯეტის ფორმირების პროცედურებით მინიმალური ზღვარი შედგენდა 20 მხარდამჭერს.

ტურულ ერთეულში შინაარსობრივი ექსპერტიზისათვის. საზოგადოებრივი პროექტის გუნდის მიერ განაცხადში უნდა მიუთითოს სტრუქტურული ერთეულები, რომელთაც მათი სამუშაო სფეროს, უფლება-მოვალეობებიდან გამომდინარე გააჩნიათ შესაბამისი ექსპერტული კომპეტენცია. თუ აღნიშნული ინფორმაცია არ არის მითითებული საზოგადოებრივი ბიუჯეტის საქალაქო და რაიონული სამუშაო ჯგუფები, თავსი სამოქმედო არიდან და განაცხადის თემატიკიდან გამომდინარე, თავად განსაზღვრავენ მათ.

კანონმდებლობასთან და მუნიციპალიტეტის არსებული ტექნიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შინაარსობრივი ექსპერტიზის შედეგად საპროექტო განაცხადზე უარყოფითი დასკვნა გამოიტანება თუ:

1. წარმოდგენილი საპროექტო წინადადება არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტისა ანდა რაიონის აღმასრულებელი ორგანოს კომპეტენციას;
2. წარმოდგენილი საპროექტო წინადადება ეწინააღმდეგება უკრაინის კანონმდებლობას;
3. პროექტის ფარგლებში იგეგმება მხოლოდ საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავება;
4. პროექტის დაუსრულებელი სახე გააჩნია, და დასასრულებლად საჭიროებს კიდევ სხვა სამუშაოების ჩატარებას;
5. პროექტი ეწინააღმდეგება ანდა დუბლირებას ახდენს შესაბამის საბიუჯეტო წელს დაგეგმილ მუნიციპალური პროექტებს;
6. პროექტის განხორციელება იგეგმება კერძო საკუთრების ტერიტორიაზე;
7. თუ პროექტი განხორციელებისა ან/და ექსპლოატაციის ეტაპზე არ იქნება ფინანსურად ეფექტიანი შემდეგი პარამეტრების გათვალისწინებით:
 - აღნიშნული პროექტი განხორციელებისა და ექსპლოატაციის ეტაპებზე საჭიროებს მეტ დანახარჯებს ვიდრე საბიუჯეტო დაფინანსებით განხორციელებული არსებული სხვა პროექტები;
 - პროგნოზის მიხედვით პროექტის დასრულების შემდეგ მოვლა-პატრონობაზე ყოველწლიურად დახარჯული ფინანსები ჯამში აჭარბებენ პროექტის განხორციელებაზე დაგეგმილი სამუშაოებზე ხარჯებს

საზოგადოებრივი ბიუჯეტის საქალაქო და რაიონული სამუშაო ჯგუფები მიერ სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი დადებითი საექსპერტო დასკვნების მქონე საპროექტო წინადადებიდან ფორმირდება შესაბამისად საქალაქო და რაიონული საჯარო კენჭისყრის სიები საზოგადოებრივი პროექტის გუნდებს

თუ შინაარსობრივი ექსპერტიზის შედეგად გამოვლინდა 2 ან რამდენიმე საპროექტო წინადადება, რომლიც ეხება ერთსა და იმავე საკითებს, შესაბამის საზოგადოებრივი პროექტის გუნდებს მართ ხდება წინადადების მიცემ, რათა მოხდეს ამ პროექტების გაერთიანება და თანხმობის შემთხვევაში ხდება გაერთიანებული პროექტის გადამუშავება/გამსხვილება.

იმ საპროექტო წინადადებების საზოგადოებრივი პროექტის გუნდებს აქვთ უფლება შინაარსობრივი ექსპერტიზის დროს გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით მოახდინონ საპროექტო წინადადების გადამუშავება და ხელახლა წარდგენა.

შინაარსობრივი ექსპერტიზის შედეგად დაწუნებული საპროექტო წინადადებების შემთხვევაში მის გუნდებს აქვთ უფლება მიმართონ საზოგადოებრივი ბიუჯეტის კომისიას აპელაციის მოთხოვნით.

2.5. საპროექტო განაცხადების კენჭისყრა და გამარჯვებული საპროექტო განაცხადის გამოვლენა

საპროექტო წინადადებებზე საყოველთაო კენჭისყრა ხორციელდება ელექტრონული სისტემისა და მხარდაჭერის პუნქტებში, და გრძელდება საზოგადოებრივი ბიუჯეტის კომისიის მიერ დადგენილი ვადებში.

კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება აქვს ელექტრონულ სისტემაში ავტორიზებული მოქალაქეების მიერ და ხმას აძლევს არაუმეტეს 5 საპროექტო წინადადებისა.

საპროექტო წინადადებისათვის კენჭისყრის შედეგად დგება რეიტინგი, რომელის მიხედვითაც ხდება გამარჯვებული საპროექტო წინადადებების სიების ფორმირება. პროექტის რეიტინგი ითვლება შემდეგი ფორმულით:

$$R=V/B$$

სადაც, R არის პროექტის საბოლოო რეიტინგი, V - პროექტზე მიღებული ხმათა რაოდენობა, B - პროექტზე დაგეგმილი საბიუჯეტო სახსრების ოდენობა.

გამარჯვებული პროექტების სიის ფორმირებისას ხდება შემდეგი გარემოებების გათვალისწინება;

- საბოლოო სიაში ვერ ხვდება ის საპროექტო წინადადება, რომლებმაც კენჭისყრის შედეგად ვერ დააგროვა საზოგადოებრივი ბიუჯეტის კომისიას მიერ დადგენილი ხმათა მინიმალურ რაოდენობა;
- სიების ფორმირებისას გათვალისწინება ხდება პროპორციულობის პრინციპი, რომლის მიხედვით ერთ საფოსტო მისამართზე არ შეიძლება განხორციელდეს 2-ზე მეტი პროექტი. თუ კენჭისყრის შედეგად ერთ მისამართზე გამოვლინდა 2-ზე მეტი პროექტი, საბოლოო სიაში ხვდება 2 ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე;
- საბოლოო სიაში ვერ შევა ის პროექტები, რომლიც მის რეიტინგიდან და მოთხოვილი ფინანსური სახსრების მოცულობიდან გამომდინარე შესაძლებელია მოხდეს საზოგადოებრივი ბიუჯეტის პროექტზე გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების გადაჭარბება.
- ერთნაირი რეიტინგის მქონე პროექტებიდან სიაში მოხვდება ის პროექტი, კენჭისყრის დასრულების მომენტისათვის რომლის საზოგადოებრივი პროექტის გუნდის კეთილსინდისიერების ჯამური რეიტინგი¹¹ სხვა გუნდებთან შედარებით უფრო მაღალია.

გამარჯვებული პროექტების სიის გამოქვეყნების შემდეგ ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მიმართოს საზოგადოებრივი ბიუჯეტის კომისიას საჩივრით.

¹¹ საზოგადოებრივი პროექტის გუნდის კეთილსინდისიერების ჯამური რეიტინგი ფორმირდება ოპერაციული კონტროლისა და სარეიტინგო ქულების საფუძველზე. რომელიც გამოითვლება საზოგადოებრივი ბიუჯეტის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე.

აპელაციების განხილვის შემდეგ საზოგადოებრივი ბიუჯეტის კომისია აქვეყნებს გამარჯვებული პროექტების სიებს და გადასცემს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს (მერიას) მათ საბიუჯეტო გეგმარების წესებით გაფორმებისათვის და შემდეგი წლის ბიუჯეტის პროექტში შესატანად.

რათა არ იქნეს „დაკარგული“ ქალაქისათვის ყველა საინტერესო იდეა თუ წინადადება, იმ პროექტებთან მიმართებაში, რომელმაც დააგროვა ხმათა მინიმალური ოდენობაზე მეტი, მაგრამ ვერ მოხვდნენ გამარჯვებული პროექტების სიაში, დასაშვებია:

- საზოგადოებრივი ბიუჯეტის რაიონული სამუშაო ჯგუფების მიერ დადგინდეს შემდეგ საბიუჯეტო წელს მათი განხორციელების მიზანშეწონილობა.
- ნებისმიერი იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ მოხდეს პროექტის დაფინანსება¹².
- ყველა იმ პროექტს, რომლის საზოგადოებრივი პროექტის გუნდი არ იქნა მხილებული თაღლითობაში, არის შესაძლებელი რომ კვლავ მიიღოს მონაწილეობა შემდეგ წლის საზოგადოებრივი ბიუჯეტის ციკლში.

3. განხორციელების ფაზა.

განხორციელების ფაზის მიზანია ეფექტიანად და ოპერატიულად მოხდეს გამარჯვებული საპროექტო წინადადებების საფუძველზე სამუშაო გეგმების შემუშავება, მათი განხორციელება, მთელ პროცესის ფარგლებში სამუშაოთა მონიტორინგი და დამდგარი შედეგების და თავად საზოგადოებრივი ბიუჯეტის პროცესების შეფასება.

განხორციელების ფაზის ფარგლებში დაგეგმილ საქმიანობაში ჩართულია როგორც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო (რადა) აღმასრულებელი ორგანო (მერია) და მისი სტრუქტურული ერთეულები, ასევე საზოგადოებრივი ბიუჯეტის კომისია, საზოგადოებრივი ბიუჯეტის საქალაქო და რაიონული სამუშაო ჯგუფები და გამარჯვებული საზოგადოებრივი პროექტის გუნდები.

გამარჯვებული საპროექტო წინადადებების განხორციელების ფაზა თავისი მხრივ იყოფა შემდეგ ძირითად საქმიანობად:

3.1. გამარჯვებული პროექტების დამტკიცება

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს (რადა) ამტკიცებს:

1. გამარჯვებულ საპროექტო წინადადებების შესახებ საზოგადოებრივი ბიუჯეტის კომისიის გადაწყვეტილებას;
2. საზოგადოებრივი ბიუჯეტის რაიონული სამუშაო ჯგუფების წინადადებას შემდეგ საბიუჯეტო წელს რათა დამატებით დაფინანსდეს შერჩეული საპროექტო წინადადებები, რომელთაც დააგროვეს ხმათა მინიმალური ოდენობაზე მეტი, მაგრამ ვერ მოხვდნენ გამარჯვებული პროექტების სიაში;
3. იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ სრულად ანდა ნაწილობრივ დაფინანსებული საპროექტო წინადადებების სიას;

¹² დასაშვებია აგრეთვე გამარჯვებული პროექტის თანადაფინანსებაც.

3.2. განხორციელებული პროექტების მონიტორინგი, შედეგებისა და პროცესების შეფასება;

დამტკიცებული საპროექტო წინადადებები გადაეცემათ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს (მერია) და მისი სტრუქტურული ერთეულებს ხარჯთაღრიცხვის დასაზუსტებლად, დოკუმენტაციის საბიუჯეტო გეგმარების კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად მოსამზადებლად და ბიუჯეტში შესატანად.

საზოგადოებრივი ბიუჯეტის რაიონული სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფს სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებას, თანმდევი ინფორმაციის გავრცელებასა და სამუშაოების დროულად შესრულებას, ხოლო საზოგადოებრივი ბიუჯეტის კომისია კი ახორციელებს პროცესების მონიტორინგს.

პროექტების განხორციელებისას უზრუნველყოფილია გამარჯვებული საზოგადოებრივი პროექტის გუნდების მაქსიმალური ჩართულობა, როგორც გეგმარების (თანხმდება ტექნიკური პარამეტრები), ასევე მომსახურების მიღების მიზნით ტენდერის ჩატარების (თანხმდება სატენდერო დოკუმენტაცია), ასევე ჯგუფს საშუალება აქვს დამოუკიდებლად მოახდინოს სამუშაოთა შეფასება, წარადგინოს შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის შესახებ ალტერნატიული ანგარიში.

საზოგადოებრივი ბიუჯეტის კომისია ამზადებს ყოველკვარტალურ და წლიურ ანგარიშებს რომლის განხილვაზეც იწვევს საზოგადოებრივი პროექტის გუნდებს.

ყოველწლიური ანგარიშის ფარგლებში კომისია აგრეთვე აფასებს საზოგადოებრივი ბიუჯეტის პროცესის ეფექტიანობას და ამზადებს რეკომენდაციებს მარეგულირებელ დოკუმენტებში ცვლილებების შესახებ.

3.3. საზოგადოებრივი პროექტის გუნდისა და აქტიური მონაწილეთა წახალისება.

საზოგადოებრივი ბიუჯეტის პროცესის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს საზოგადოებრივი პროექტის გუნდებს მუშაობის შეფასების პროცედურები ე.წ. საზოგადოებრივი პროექტის გუნდის კეთილსინდისიერების ჯამური რეიტინგი, რომელიც წარმოადგენს აქტიური მონაწილეთა წახალისების ინსტრუმენტს.

რეიტინგი ფორმირდება ოპერაციული კონტროლისა და სარეიტინგო ქულების საფუძველზე, რომელიც გამოითვლება საზოგადოებრივი ბიუჯეტის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე ელექტრონული სისტემის მიერ შემდეგი სისტემით:

- საზოგადოებრივი პროექტის გუნდსა ანდა მის წევრებს ცალ-ცალკე ენიჭებათ ქულები, რომელიც დამოკიდებულია მათ ჩართულობაზე;
- მინიჭებული ქულათა ოდენობა დამოკიდებული არის წარმოდგენილი, მხარდაჭერილი და საბოლოოდ გამარჯვებულ საპროექტო წინადადებების რაოდენობაზე;
- დამატებითი ქულები ეძლევათ საზოგადოებრივი ბიუჯეტის სქალაქო და რაიონული სამუშაო ჯგუფში გუნდსა წევრთა მუშაობის შემთხვევაში;

- საზოგადოებრივი პროექტის გუნდსა ანდა გუნდის წევრებს მიერ გამოვლენილი თაღლითობის შემთხვევაში ჯგუფის მიერ დაგროვილი ქულები განგულდება;


საზოგადოებრივი ბიუჯეტის პროცესის ყოველი წლის ბოლოს საზოგადოებრივი ბიუჯეტის კომისიის მიერ ყველაზე აქტიური საზოგადოებრივი პროექტის გუნდისა და მონაწილე აღინიშნება სპეციალური ჯილდოთი

4. პროცედურის მონაწილე აქტორები

კიევის სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტში ჩართული არიან როგორც მოსახელობა და მერიის სტრუქტურული ერთეულები, ასევე მოსახლეობისაგან შემდგარი სამუშაო ჯგუფები და არასამთავრობო ორგანიზაციები, მისი წარმომადგენლების ჩართულობით.

საზოგადოებრივი ბიუჯეტის ყოველ ფაზაში ჩართულ აქტორებს გააჩნიათ მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი უფლება-მოვალეობები:

- საზოგადოებრივი ბიუჯეტის კომისია წარმოადგენს ძირითად სტრატეგიულ დამგეგმავ, პროცესების მკონტროლებელი და საჩივრების განმხილველი სუბიექტს
- საზოგადოებრივი ბიუჯეტის საქალაქო და რაიონული სამუშაო ჯგუფები წარმოადგენენ საპროექტო წინადადების შერჩევისა, საკონსულტაციო და ყველა თანმდევი ადმინისტრაციული და საინფორმაციო უზრუნველყოფის საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტები;
- საპროექტო წინადადების წარმდგენი სუბიექტებს წარმოადგენენ საზოგადოებრივი პროექტის გუნდები და მათი გაერთიანებები;
- საზოგადოებრივი პროექტის გუნდის მხარდამჭერი სუბიექტების ქვეშ მოიაზრებიან საზოგადოებრივი პროექტის ფინანსური დონორები და სხვა მხარდამჭერი სუბიექტები (ფიზიკური პირები, იურიდიული პირები, არარეგისტრირებული საზოგადოებრივი გაერთიანებები)
- კიევის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურული ერთეულები წარმოადგენენ პროცესების მხარდამჭერ და შინაარსობრივი ექსპერტიზის განმახორციელებელი სუბიექტებს.



ილუსტრაცია 5- ქალაქ კვივის საზოგადოებრივი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელებაში ჩართული აქტორები

საზოგადოებრივი ბიუჯეტის პროცესების განმხორციელებელ ძირითად სუბიექტებს წარმოადგენენ:

1. საზოგადოებრივი ბიუჯეტის კომისია

საზოგადოებრივი ბიუჯეტის კომისია (Громадська Бюджетна Комісія - ГБК) პასუხისმგებელია საზოგადოებრივი ბიუჯეტის შემუშავების სამართლიან, გამჭვირვალე და ეფექტიანად წარმართვაზე. მისი სხდომები საჯაროა და ვებ-ტრანსლაციის გამოყენებით გადაიცემა ელექტრონული სისტემით. იგი წარმოადგენს საზოგადოებრივი ბიუჯეტის პროცესების მაკონტროლებელ ორგანოს. კომისია უფლებამოსილია:

- საზოგადოებრივი ბიუჯეტის პროცესებზე სამოქალაქო კონტროლისა და მონიტორინგის განხორციელებაზე;
- საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის გეგმის შემუშავებაზე;
- საზოგადოებრივი ბიუჯეტის შემუშავების ყველა ეტაპზე სადაო საკითხებისა და საპროექტო წინადადებებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვაზე და გადაწყვეტაზე;
- სამუშაოთა განხორციელებისას მასში ჩართული სუბიექტების მიერ დადგენილი წესებისა და ეთიკური საკითხების დაცვაზე;
- გამარჯვებული საპროექტო წინადადებების სიების დამტკიცებაზე;
- შემდეგი წლის სამუშაო გეგმის შემუშავებაზე;
- პროცედურების დახვეწის მიზნით განხორციელებული სამუშაოთა ანალიზი და წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადებაზე;
- საზოგადოებრივი ბიუჯეტის პროცესებში მონაწილე სუბიექტებისა და პერსონების წახალისებაზე.

საზოგადოებრივი ბიუჯეტის კომისია შესდგება 21 არასამთავრობო და 3უმანიტარული ორგანიზაციების¹³ წარმომადგენლებისაგან. მისი ფორმირება ხდება ყოველწლიურად, ღია და გამჭვირვალე კონკურსის გზით და ელექტრონული სისტემის გამოყენებით. კონკურსში მონაწილე ორგანიზაციები წარადგენენ თავიანთ თავს და ელექტრონული სისტემის საშუალებით ხმას (გარდა საკუთარი თავის) აძლევენ სხვა კომისიის წევრობის კანდიდატ ორგანიზაციებს. ორგანიზაცია რომელიც დააგროვებს წესებით დადგენილ მინიმალურ ხმათა რაოდენობას ითვლება კომისიის წევრად შემდეგ 1 წლის განმავლობაში.

2. საზოგადოებრივი ბიუჯეტის საქალაქო სამუშაო ჯგუფები

საზოგადოებრივი ბიუჯეტის საქალაქო სამუშაო ჯგუფი (Міська Робоча Група з Питань Громадська Бюджетна - МРГ) წარმოადგენს საზოგადოებრივი ბიუჯეტის პროცედურების დაგეგმვაზე და მათი ეფექტიანად და დადგენილი წესების შესაბამისად განხორციელებაზე, ასევე მმართველობითი ფუნქციებით აღჭურვილ პასუხიმგებელი ორგანოს. მისი უფლებამოსილებას წარმოადგენს:

1. საზოგადოებრივი ბიუჯეტის ყველა ეტაპზე სამუშაოთა გეგმარება, ზოგადი მართვა და მხარდაჭერა;
2. საზოგადოებრივი ბიუჯეტის რაიონული სამუშაო ჯგუფების მეთოდოლოგიური და საინფორმაციო-საკონსულტაციო მხარდაჭერა;
3. ელექტრონულ სისტემის მართვა, ყველა სახის გამოსაქვეყნებელი ინფორმაციისა და ნორმატიული აქტების განთავსება და სისწორის კონტროლი;
4. საზოგადოებრივი ბიუჯეტის შესაბამისად შერჩეული საპროექტო განაცხადების საჯარო განხილვებისა და ექსპერტიზის ჩატარების უზრუნველყოფა.

საქალაქო სამუშაო ჯგუფი შედგება არანაკლებ 3 წევრისაგან შესდგება და მისი ზღვრული რაოდენობა დამოკიდებულია იმ საქმიანობაზე რაც არის მასზე დაკისრებული. სამუშაო ჯგუფის ფორმირებაზე პასუხიმგებელია კიევის საქალაქო ადმინისტრაცია (მერია) და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით მასში არ შეიძლება შეყვანილი იქნეს იმ საზოგადოებრივი პროექტის გუნდის ხელმძღვანელი ანდა მენეჯერი, რომელსაც წარადგენილი აქვთ საპროექტო წინადადება ანდა გააჩნიათ მიმდინარე პროექტი.

3. საზოგადოებრივი ბიუჯეტის რაიონული სამუშაო ჯგუფები

საზოგადოებრივი ბიუჯეტის რაიონული სამუშაო ჯგუფები (Районні

¹³ საზოგადოებრივი ბიუჯეტის კომისიის ფორმირებაში მონაწილე არასამთავრობო ანდა 3უმანიტარული ორგანიზაციები უნდა წარმოადგენდნენ რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს, საქმიანობდნენ არანაკლებ 1 წლისა და კიევის მუნიციპალიტეტში განხორციელებული უნდა ქონდეთ არანაკლებ 1 პროექტისა, აგრეთვე არანაკლებ 1 წლის განმავლობაში საჯაროდ ასახავდნენ თავიანთ საქმიანობას ვებსაიტისა ანდა სოციალურ ქსლების მეშვეობით და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მათი ყოველწლიური ფინანსური ანგარიშები.

Робочі Групи з Питань Громадська Бюджетна - РРГ) წარმოადგენს საზოგადოებრივი ბიუჯეტის პროცედურების დადგენილი წესების შესაბამისად დაგეგმილი სამუშაოთა განხორციელებაზე ძირითად პასუხისმგებელ ორგანოს. მისი უფლებამოსილებას წარმოადგენს:

1. მისი პასუხისმგებლობის არეალში საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის წარმოება;
 2. საზოგადოებრივი პროექტის გუნდების საინფორმაციო-საკონსულტაციო მხარდაჭერა;
 3. საპროექტო წინადადების ტექნიკური კონტროლი და ელექტრონულ სისტემაში განთავსება;
 4. საპროექტო წინადადების საზოგადოებრივი განხილვების ორგანიზება;
 5. ექსპერტებთან საზოგადოებრივი პროექტის გუნდების საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება;
 6. მხარდაჭერის პუნქტების ტექნიკური და მეთოდოლოგიური მხარდაჭერა
- საზოგადოებრივი ბიუჯეტის ფორმირების პროცესში იქმნება 11 საზოგადოებრივი ბიუჯეტის რაიონული სამუშაო ჯგუფები, რომლისა სამოქმედო არეალი ემთხვევა კიევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დაყოფას და მისი ფორმირების წესი ანალოგიურია საქალაქო სამუშაო ჯგუფის წესებისა.

4. საზოგადოებრივი პროექტის გუნდები

საზოგადოებრივი პროექტის გუნდები (Команда Громадського Проекту - Команда) საზოგადოებრივი ბიუჯეტის პროცესის მთავარ მამოძრავებელ ძალას, რომელიც ორიენტირებულია საპროექტო წინადადებების შემუშავებაზე, მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელებაზე, მხარდამჭერთა შემოკრებაზე, პროექტების ეფექტიანად განხორციელებაზე და დამდგარ შედეგების შეფასებაზე.

საზოგადოებრივი პროექტის გუნდის უფლებამოსილებას წარმოადგენს:

1. საზოგადოებრივი პროექტის კომისიის მიერ დამტკიცებული წესით მოამზადოს საპროექტო განაცხადი და წარადგინოს განსახილველად საზოგადოებრივი ბიუჯეტის საქალაქო და რაიონული სამუშაო ჯგუფებში, განახორციელოს მონიტორინგი, როგორც ტენდერის დოკუმენტაციის მომზადების, ასევე განხორციელების პროცესში, აგრეთვე დამოუკიდებლად შეაფასოს პროექტის განხორციელების შედეგად დამდგარი შედეგები;
2. პროექტის მომზადების ეტაპზე მიიღოს კონსულტაცია და ინფორმაციული მხარდაჭერა საზოგადოებრივი ბიუჯეტის საქალაქო და რაიონული სამუშაო ჯგუფებისაგან;
3. საპროექტო განაცხადის მხარდასაჭერად მოიზიდოს როგორც მხარდამჭერები, ასევე შესთავაზოს როგორც იურიდიულ ასევე ფიზიკურ პირებს მახდინონ პროექტის როგორც სრულად ასევე ნაწილობრივ დაფინანსება;
4. მიზანშეწონილობის შემთხვევაში გაერთიანდეს სხვა საზოგადოებრივი პროექტის გუნდთან და ერთობლივად შეიმუშავოს და წარადგინოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროექტის;


5. საპროექტო განაცხადის მხარდამჭერების მოსაზიდად და ცნობადობის გაზრდის მიზნით ჩაატაროს საჯარო განხილვები და საინფორმაციო--საგანმანათლებლო კამპანიები;
6. საზოგადოებრივი პროექტის კომისიის მიერ დამტკიცებული წესებისა და ეთიკის კოდექსის დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით საზოგადოებრივი პროექტის გუნდის წევრებს აქვთ უფლება რომ არჩეული იყვნენ საზოგადოებრივი ბიუჯეტის კომისიაში, ასევე საზოგადოებრივი ბიუჯეტის საქალაქო და რაიონული სამუშაო ჯგუფებში;
7. საზოგადოებრივი პროექტის გუნდის დამოუკიდებლად განსაზღვრავს შიდა მართვისა და წევრთა შორის ურთიერთობების წესებს.
8. საზოგადოებრივი პროექტის გუნდისა ან/და გუნდის წევრების მიერ თაღლითობის გამოვლენის შემთხვევაში მთელი გუნდი მის მიერ გაკეთებული საპროექტო წინადადებები დაუყონებლივ იქნება მოხსნილი განხილვიდან და შემდგომში შეზღუდული იქნება მათი მონაწილეობა შემდეგი წლის საზოგადოებრივი ბიუჯეტის პროცესში

გუნდი ფორმირდება ხდება კიევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაცხოვრებელ უკრაინის მოქალაქეებისაგან. აგრეთვე შეიძლება გუნდის პარტნიორის სტატუსის გაერთიანდეს ნებისმიერი იურიდიული პირები და არარეგისტრირებული საზოგადოებრივი გაერთიანებები.

საზოგადოებრივი პროექტის გუნდის ფორმირების შემდეგ იგი რეგისტრირდება ელექტრონულ სისტემაში, სადაც მიეთითება მათი ყველა წევრის შესახებ ინფორმაცია. დაუშვებელია გუნდში შედიოდეს ანონიმი წევრი.

2.2.3. მონაწილეობითი ბიუჯეტირების აშშ-ის (ქალაქ ჩიკაგოს მოდელის მაგალითზე)

2015 წლისათვის აშშ-სა და კანადის 13 ქალაქის 46 იურისდიქციაში (ოლქი, რაიონი და სხვა) დანერგილია მონაწილეობითი ბიუჯეტირების (Participatory Budgeting) პროცედურები, რომლის ფარგლებშიც მოქალაქეების მიერ შეთავაზებულ 350 პროექტის დასაფინანსებლად გამოიყო თითქმის 50 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო თავად პროცესში კი 70 000-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა (6).



ილუსტრაცია 6 - აშშ-ში მუნიციპალიტეტებში დანერგილი მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტების 2009-2016 წ.წ.-ში ზრდის ტემპი

აშშ-ში დანერგილი მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელის განხილვისას მნიშვნელოვანია რომ გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოებები:

1. ადგილობრივი თვითმართველობის დამოუკიდებლობის დონე ძალიან მაღალია;

2. აშშ არის ფედერალური მართვის მოდელის მქონე ქვეყანა, სადაც ფუნქციონირებს მრავალდონიანი ადგილობრივი თვითმართველობა ხოლო. თვითმმართველ ერთეულებს გააჩნიათ ძალიან ფართო ექსკლუზიური კომპეტენციები და დამოუკიდებლად განაგებენ ფინანსური, ადამიანურ და მატერიალური რესურსებს;
3. ფედერალური კანონმდებლობა მინიმალურად არეგულირებს თვითმმართველობის კომპეტენციების, ფინანსური და ქონების განკარგვის უფლებას, ასევე მოსახლეობის ფორმალური და არაფორმალური გაერთიანებების შექმნის საკითხებს;
4. აშშ-ში ძალიან კარგად არის განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება, თავისუფალი მედია, აგრეთვე მაღალია მოქალაქეთა სამოქალაქო კულტურაც ყოველივე ეს უზრუნველყოფს მოქალაქეთა ფედერალურ და ადგილობრივ დონეზე მართვის პროცედურებში ჩართულობასა და გავლენას საბოლოო გადაწყვეტილების შინაარსზე.
5. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ხელისუფლების (ქალაქის საბჭოს) ფორმირება ხორციელდება მაჟორიტარული წესით;
6. აშშ-ში ძალზედ დაბალია კორუფციის დონე¹⁴.

ამ ფაქტორთა ერთობლიობამ უზრუნველყო, რომ აშშ-ში სხვადასხვა დონის თვითმმართველ ერთეულში დანერგილია მონაწილეობითი ბიუჯეტირების სხვადასხვა მოდელი.

შემდგომში აშშ-ი მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგილი მოდელი, მასში მონაწილე აქტორები, სამუშაო პროცედურები და მიდგომები განხილული იქნება ქალაქ ჩიკაგოს მუნიციპალიტეტის 49-ე ოლქში (Chicago 49th Ward) დანერგილი მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტის მაგალითზე

საკანონმდებლო ჩარჩო

აშშ-ში მოქმედი კანონმდებლობა მიუთითებს რომ ყოველი დონის თვითმმართველ ერთეულებს გააჩნიათ ფართე დამოუკიდებლობა რათა კომპეტენციების ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვრონ ფინანსური, ადამიანურ და მატერიალური რესურსებს განკარგვის საკითხები, ხოლო მოსახლეობას უფლება პირდაპირი დემოკრატიის მექანიზმების მეშვეობით არჩეული წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები მუშაობა გააკონტროლოს.

სხვა კანონმდებლობა, რომელიც უშუალოდ განსაზღვრავდა მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელს, მიდგომებს ანდა ფორმებს აშშ-ში არ არსებობს.

მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცედურები

ქალაქ ჩიკაგოს მუნიციპალიტეტის 49-ე ოლქში (Chicago 49th Ward) დანერგილი ხასიათდება შემდეგი ნიშან-თვისებებით:

1. ქალაქისა და ოლქის დონეზე განისაზღვრება მხოლოდ მონაწილეობითი ბიუჯეტის ძირითადი მიდგომები და მიზნები, ხოლო თავად სამუშაო პროცედურები განისაზღვრება იმ დონეზე, რა დონეზეც ხდება მათი შემდგომი აღსრულება;
2. მთელი პროცესი ეყრდნობა მცირე ზომის სამეზობლო (სათემო) და თემატური

¹⁴ World Corruption Perceptions Index 2016, Transparency International, https://www.transparency.org/news/feature/corruption_perceptions_index_2016

კრებებში, აგრეთვე საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრებზე ჩატარებულ განხილვებს, რომელთა ინიცირების ფაზაში და შემდგომ დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ხელისუფლების (ქალაქის საბჭოს) წევრიც.

3. დიდი ყურადღება ექცევა განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ახალგაზრდებისა და მოწყვლადი ჯგუფების ჩართვას;
4. საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრაზე კონსენსუსის წესით მიიღება გადაწყვეტილება თუ რა თემატიკის პროექტი და რა სახით იქნება განხორციელებული;
5. მოსახლეობა პირდაპირი კენჭისყრით იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოების წარმომადგენლთა მიერ შეთავაზებული რომელი პროექტი იქნება განხორციელებული;
6. როგორც სამუშაო პროცესებში, ასევე კენჭისყრაში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს 14 წელს მიღწეული ქალაქ ჩიკაგოს მუნიციპალიტეტის 49-ე ოლქის მაცხოვრებელი, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა და ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის უფლებისა.
7. პროცესში ჩართულია როგორც მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ასევე წარმომადგენლობითი ხელისუფლების წარმომადგენლები, თუმცა მათი როლი პროცესში მხოლოდ შემოიფარგლება ექსპერტიზით, პროცესებისა და გარკვეული საქმიანობის ინიციატორის ფუნქციით, ხოლო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ისინი არ ერევიან;
8. წახალისებულია როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირების მიერ საბიუჯეტო წინადადებების სიიდან გამარჯვებული და უარყოფილი პროექტების სრული და ნაწილობრივი თანადაფინანსება,
9. აშშ-ში ყოველი საბიუჯეტო წელი იწყება ოქტომბრის თვეში, შესაბამისად ბიუჯეტირების ნებისმიერი პროცესები უნდა დასრულდეს არაუგვიანეს მაისისა.
10. აშშ-ში რელიგიური სახის დაწესებულებები (ეკლესიები, სამლოცველო სახლები, საკვირაო სკოლები და სხვა) ეკუთვნის თემს და ის ფართედ გამოიყენება თემისათვის მნიშვნელოვან საქმიანობაში. აგრეთვე ხშირად თემს ეკუთვნის სკოლის, საავადმყოფოს, პოლიციის და სხვა ტიპის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, რომელიც აგრეთვე გამოიყენება მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში.

ქალაქ ჩიკაგოს მუნიციპალიტეტის 49-ე ოლქში (Chicago 49th Ward) დანერგილი პროექტის სამუშაოები ლოგიკურად იყოფა 3 ფაზად (კროსფუნქციონალური მოდელი იხილე დანართი 10 დანართი 8-ში):

1. გეგმარების ფაზა;
2. საპროექტო წინადადების შერჩევის ფაზა;

თითოეულ ფაზაში მაში მოქმედ აქტორებს მკაცრად განსაზღვრული უფლება-მოვალეობები გააჩნიათ და დროში არიან შეზღუდული. თავად მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის ფარგლებში სამუშაოები მიმდინარეობს 8 თვის განმავლობაში: ყოველი საბიუჯეტო წლის ოქტომბრიდან შემდეგი წლის მაისამდე.

1. გეგმარების ფაზა

მონაწილეობითი ბიუჯეტის გეგმარების ფაზაში ხორციელდება პროცესების განმახორციელებელ ძირითად სუბიექტებს ფორმირება, გასული წლის ბიუჯეტის ფორმირების სამუშაოთა პარამეტრების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ახლებურად ჩამოყალიბება და საინფორმაციო კამპანიის ჩასატარებლად სამუშაოთა გეგმარება.

მონაწილეობითი ბიუჯეტის გეგმარების ფაზა მიმდინარეობს ყოველი წლის ოქტომბერ-ნოემბერში და ხორციელდება შემდეგი სამუშაოები:

1.1. საქალაქო ბიუჯეტის პროცესების ინიცირება ძირითადი მიზნების შემუშავება და დამტკიცება

ბიუჯეტის ფორმირების სამუშაოთა მიზნებისა შემუშავებაზე და სამუშაო გეგმის დაზუსტებაზე პასუხიმგებელია მერიის მიერ შერჩეული მონაწილეობითი ბიუჯეტირების საქალაქო ხელმძღვანელი კომიტეტი. გეგმა ასახავს შემდეგ საკითხებს:

- დროში გაწერილი საქალაქო ბიუჯეტის ფორმირების სამუშაო გეგმას;
- საპროექტო წინადადებების წარდგენის ვადები;
- მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტზე გამოყოფილი სავარაუდო ოდენობა;
- და მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტთან დაკავშირებული სხვა საკითხები;

1.2. საინფორმაციო კამპანიის გეგმის შემუშავება

მონაწილეობითი ბიუჯეტირების საქალაქო ხელმძღვანელი კომიტეტი შემუშავებს საინფორმაციო კამპანიის გეგმის რომელიც მიმართულია მოსახელობაში მონაწილეობითი ბიუჯეტის არისა და პროცედურების შესახებ ცნობადობის გაზრდაზე, აგრეთვე წახალისებს მოსახელობას რათა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ბიუჯეტის ფორმირების ყველა ეტაპზე.

1.3. სამეზობლოს და ახალგაზრდული კრებების ფორმირება

სამეზობლოს (Neighborhood Assemblies) და ახალგაზრდული (Youth Assemblies) კრებები მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში საბიუჯეტო თემატიკისა განსაზღვრაზე და საპროექტო წინადადებების ჩამოყალიბებაზე და კენჭისყრის წინ მოსახლეობასთან კომუნიკაციაზე და საინფორმაციო კამპანიის წარმოებაზე პასუხიმგებელი ორგანოს.

სამეზობლოს და ახალგაზრდული კრებებში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს 14 წელს მიღწეული 49-ე ოლქის ნებისმიერმა მაცხოვრებელს, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა და ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის უფლებისა. როგორც წესი სამეზობლოს კრებები ტარდება უბნების მიხედვით, ხოლო ახალგაზრდული კრებები კი საშუალო სკოლის მოწაფეების ჩართულობით.

კრებების ინიცირებაში და შემდგომ განხილვებში მონაწილეობს ქალაქის საბჭოს დეპუტატები, რომლებიც, როგორც წესი მონაწილეობენ 5-დან 10 კრებაში. კრებას უძღვება უმრავლესობით არჩეული თავმჯდომარე.

1.4. საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრების წევრთა არჩევა

საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრებზე (Community Representative Meetings) ხდება მონაწილეობითი ბიუჯეტის თემატიკის ჩამოყალიბება, საპროექტო წინადადებების შემუშავება, მათი ცნობადობის გაზრდის მიზნით საინფორმაციო კამპანიის ჩატარება და მოსახლეობის მიერ კენჭისყრისთვის საპროექტო წინადადებების სიების მომზადება.

საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრების წევრთა არჩევა ხდება სამეზობლოს და ახალგაზრდული კრებების მიერ მათი წევრებიდან ღია კენჭისყრის წესით.

2. საპროექტო წინადადების შერჩევის ფაზა

საპროექტო წინადადების შერჩევის ფაზაში დაგეგმილი სამუშაოთა სათანადო განხორციელებას, მათ მონიტორინგსა საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრების წევრები.

მონაწილეობითი ბიუჯეტის ფორმირების პროცედურები შეიძლება დაიყოს შემდეგ საქმიანობად:

2.1. სამეზობლოს და ახალგაზრდული კრებებზე საპროექტო სფეროებისა და პრობლემური საკითხების წინადადებების შემუშავება

სამეზობლოსა და ახალგაზრდული კრებებზე განიხილება თუ როგორ და რა პროექტებში იქნა დახარჯული წინა წლის ბიუჯეტი, განისაზღვრება პრიორიტეტული საბიუჯეტო სფეროებიც, რომელიც სასურველია რომ დაფინანსდეს შემდეგ საბიუჯეტო წელიწადში, დასახელებული კონკრეტულად თუ რა სერვისები, ანდა ინფრასტრუქტურული ობიექტების დანერგვა/განვითარება იქნება კარგი, რომ განხორციელდეს როგორც მათ უნაბში, ასევე მთლიანად 49 ოლქში და თავად ქალაქშიც.

მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის უზრუნველსაყოფად კრებები ტარდება როგორც მუნიციპალური შენობებში, ასევე რელიგიურ დაწესებულებებში, დაწყებით და საშუალო სკოლის შენობებში, პარკებში და საზოგადოებრივი ცენტრის შენობებში, ხოლო მასალები მომზადებულია როგორც ინგლისურ, ასევე ესპანურ ენაზე.

2.2. საზოგადოებრივი განხილვები და საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარება

შემდეგი 5 თვის მანძილზე საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრებზე ტარდება შემდეგი სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი განხილვები და საკონსულტაციო შეხვედრები. ამ შეხვედრებზე:

- საწყის ეტაპზე მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების (მერიის) სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრების წევრებისათვის ტარდება საგანმანათლებლო სემინარები, სადა განიხილება ეძლევათ შემდეგი უნარ-ჩვევები: საჯარო ბიუჯეტის შედგენა, საპროექტო განაცხადების შედგენა, სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება და ეფექტური კომუნიკაციების წარმოება;
- საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრების წევრები ერთიანდებიან თემატურ და დემოგრაფიულ (ახალგაზრდობა, ეთნიკური ჯგუფები) სამუშაო ჯგუფებში, რათა შეაჯერონ სამეზობლოსა და ახალგაზრდული კრებებზე გამოთქმული პრიორიტეტული საბიუჯეტო სფეროები, როგორც ტერიტორიულად, ასევე თემატურად;
- პრიორიტეტული საბიუჯეტო სფეროების გათვალისწინებით ხდება სამეზობლოს და ახალგაზრდული კრებებზე გამოთქმული საპროექტო წინადადებების განხილვა და შეთანხმებული კრიტერიუმებით მათი გაცხრილვა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში გამსხვილება ანდა გაერთიანება, აგრეთვე ფინანსური და ადამიანური რესურსებისა და დამდგარი შედეგების რეალისტური შეფასება. საჭიროების შემთხვევაში საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრების წევრები მიმართავენ

როგორც მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების (მერი-ის) სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებს, ასევე გარე ექსპერტებსაც პრობლემის აქტუალურობის, ბიუჯეტის რელევანტურობისა და რისკების შესაფასებლად.

- საპროექტო წინადადების დაზუსტების მიზნით ატარებს სამეზობლოს და ახალგაზრდული კრებებზე საჯარო განხილვებს;
- საყოველთაო კენჭისყრაზე გასატანად ამზადებს საპროექტო წინადადების საბოლოო სიებს.
- წინასწარ ხდება შესწავლა არის თუ არა იურიდიული, ასევე ფიზიკური პირების მხრიდან საბიუჯეტო წინადადებების სიიდან პროექტების სრული და ნაწილობრივი თანადაფინანსების მზაობა.

2.3. საინფორმაციო კამპანიის ჩატარება

მონაწილეებით ბიუჯეტირების ერთ-ერთ მთავრ საქმიანობას წარმოადგენს ჩიკაგოს მუნიციპალიტეტის 49-ე ოლქში საინფორმაციო კომპანიის ეფექტიანი ჩატარება.

საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრების წევრები ატარებენ საპროექტო წინადადების საბოლოო სიებში მოხვედრილი პროექტების შესახებ საინფორმაციო კამპანიას. კამპანიები ტარდება როგორც საქალაქო დონეზე, ასევე დაწყებით და საშუალო სკოლის შენობებში, სწავლები პერიოდის მიმდინარეობისას.

დამატებით როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირების მიერ საბიუჯეტო წინადადებების სიიდან გამარჯვებული და უარყოფილი პროექტების სრული და ნაწილობრივი თანადაფინანსების წახალისებულია მიზნით ხდება პოტენციურ დონორებთან უშუალო შეხვედრები და სააგიტაციო კამპანია.

მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირებისა და ჩართულობის მიზნით:

- საინფორმაციო კამპანიის წარმოებისათვის მაქსიმალურად ფართოდ ხდება მოხალისეების, განსაკუთრებით კი მოხალისე-სტუდენტების მოზიდვა, რომელებიც კარ-და-კარ პრინციპით შედიან უშუალო კომუნიკაციაში მოსახლეობასთან;
- ინტენსიურად გამოიყენება ელ-ფოსტა, სმს გზავნილები, ტელევიზია, ბეჭდური და მედია სოციალური ქსელები;
- სააგიტაციო-სარეკლამო სახის ბეჭდური სარეკლამო მასალა განათავსებენ რელიგიურ დაწესებულებებში, საჯარო სივრცეებში, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში, მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერებებზე, სკოლებში და თანხმობის შემთხვევაში კომერციული დაწესებულებებში;
- საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრების, სამეზობლოსა და ახალგაზრდული კრებების წევრები, აგრეთვე ქალაქის საბჭოს წევრები ატარებენ საინფორმაციო-სააგიტაციო შეხვედრებს მოსახლეობასთან;

2.4. საპროექტო წინადადებების საინფორმაციო-სააგიტაციო გამოფენები

ყოველი წლის მარტ-აპრილის პერიოდში საზოგადოების წარმომადგენ-

ლთა შეხვედრების წევრები მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების (მერიის) სტრუქტურულ ერთეულებთან და მონაწილეობითი საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად ტარდება საპროექტო წინადადებების საინფორმაციო-სააგიტაციო გამოფენები.

გამოფენებზე წარმოდგენენ შერჩეულ საპროექტო წინადადებების ამსახველ სრულ დოკუმენტაციას, მასთან დაკავშირებულ ფოტო, ვიდეო და ნაბეჭდ მასალებს, ტარდება პრეზენტაციები და ავტორებთან საჯარო შეხვედრები, სადაც მოსახელობას საშუალება აქვს უშუალოდ დაუსვან კითხვები და გამოთქვან პროექტის შესახებ საკუთარი აზრი.

2.5. საპროექტო წინადადებების კენჭისყრა

საპროექტო წინადადებების კენჭისყრა ტარდება საარჩევნო უბნებზე, თუმცა ჩვეულებრივი სარჩევნო კენჭისყრისაგან განსხვავებით 49-ოლქში ეწყობა სულ სამი კენჭისყრის უბანი. თუმცა დამატებით მაცხოვრებლებს შეუძლიათ:

- კენჭისყრამდე 3 დღით ადრე წინასწარ მისცენ ხმა როგორც საფოსტო გზავნილის საშუალებით, ასევე უშუალოდ კენჭისყრის უბანში;
- ხელმისაწვდომობის გასაზრდელად მაქსიმალურად ფართოდ გამოიყენება ე.წ. მობილური კენჭისყრის უბნები, რომლებიც ოლქის შიგნით წინასწარ განსაზღვრულ ადგილებში გადის.
- ახალგაზრდობის მაქსიმალური ჩართულობისათვის მობილური კენჭისყრის უბნები მიდიან აგრეთვე უშუალოდ საშუალო სკოლებში.

კენჭისყრის შედეგად გამარჯვებულად ითვლება 15 საპროექტო წინადადება, რომელმაც დააგროვა ყველაზე მეტი ხმათა რაოდენობა. გამარჯვებული საპროექტო წინადადების საბოლოო სიას ამტკიცებს საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრების წევრები, რომელსაც მიაწვდის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს (მერიის) სტრუქტურულ ერთეულებს, რათა ასახოს შემდეგი წლის ბიუჯეტის პროექტში.

გარდა ამისა მიმართავს დონორებს, რათა მათ დააფიქსირონ თავიანთი მზაობა სრულად ანდა ნაწილობრივ დააფინანსონ კენჭისყრის შედეგად გამარჯვებულად ანდა სიაში შესული საპროექტო წინადადებები. პრინციპში, რეგულაციები არ უკრძალავს დონორს რომ დააფინანსოს ის საპროექტო წინადადებებიც, რომლიც საერთოდ არ შევიდა კენჭისყრის სიაში.

მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესების დასრულების შემდეგ მონაწილეობითი ბიუჯეტირების საქალაქო ხელმძღვანელი კომიტეტი მოახდენს ბიუჯეტირების პროცედურების ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში მომზადდება ცვლილებების ამსახველი დასკვნა.

პროცედურის მონაწილე აქტორები

ჩიკაგოს მუნიციპალიტეტის 49 ოლქის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესში ჩართული არიან შემდეგი აქტორები: მოსახელობა, ჩიკაგოს მუნიციპალიტეტის 49 ოლქის აღმასრულებელი ხელისუფლების (მერიის) სტრუქტურული ერთეულები, ქალაქის საბჭოს წევრები (Alderman of City Council), მოსახლეობისაგან შემდგარი სამეზობლოს (Neighborhood Assemblies) და ახალგაზრდული (Youth Assemblies) კრებები, საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრები (Community Representative Meetings) და მონაწილეობითი ბიუჯეტირების საქალაქო ხელმძღვანელი კომიტეტი (PB Steering Committee).

საზოგადოებრივი ბიუჯეტების ყოველ ფაზაში ჩართულ აქტორებს გააჩნიათ მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი უფლება-მოვალეობები:

- მონაწილეობითი ბიუჯეტების საქალაქო ხელმძღვანელი კომიტეტი წარმოადგენს ძირითად სტრატეგიულ, დამგეგმავი და პროცესების მაკონტროლებელი სუბიექტს.
- საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრები წარმოადგენენ საპროექტო წინადადების შერჩევას, საკონსულტაციო და ყველა თანმდევი ადმინისტრაციული და საინფორმაციო უზრუნველყოფის საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტები;
- სამეზობლოს და ახალგაზრდული კრებები წარმოადგენენ საპროექტო წინადადების თემატიკისა და იდეების ძირითად სუბიექტებს;
- მონაწილეობითი ბიუჯეტების პროექტის მხარდამჭერი სუბიექტების ქვეშ მოიაზრებიან დონორები და სხვა მხარდამჭერი სუბიექტები (ფიზიკური პირები, იურიდიული პირები, არარეგისტრირებული საზოგადოებრივი გაერთიანებები)
- ჩიკაგოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურული ერთეულები წარმოადგენენ პროცესების მხარდამჭერ და შინაარსობრივი ექსპერტიზის განმახორციელებელი სუბიექტებს.
- ჩიკაგოს საქალაქო საბჭოს წევრები ახდენენ სამეზობლოს და ახალგაზრდული კრებების ინიცირების პროცესების და განხილვებისა და დებატების მხარდაჭერას.



ილუსტრაცია 7 - ქალაქ ჩიკაგოს მუნიციპალიტეტის 49 ოლქის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელებაში ჩართული აქტორები

საზოგადოებრივი ბიუჯეტის პროცესების განმახორციელებელ ძირითად სუბიექტებს წარმოადგენენ:

1. **მონაწილეობითი ბიუჯეტების საქალაქო ხელმძღვანელი კომიტეტი**
 მონაწილეობითი ბიუჯეტების საქალაქო ხელმძღვანელი კომიტეტი (PB Steering Committee) პასუხისმგებელია მონაწილეობითი ბიუჯეტის შემუშავების სამართლიან, გამჭვირვალე და ეფექტიანად წარმართვაზე. მისი სხდომები საჯაროა. იგი წარმოადგენს მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესების მაკონტროლებელ ორგანოს. კომისია უფლებამოსილია:

- მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესებზე სამოქალაქო კონტროლისა და მონიტორინგის განხორციელებაზე;
- საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის გეგმის შემუშავებაზე;
- პროცედურების დახვეწის მიზნით განხორციელებული სამუშაოთა ანალიზი და წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადებაზე;

საქალაქო ხელმძღვანელი კომიტეტი წარმოადგენს მერის სათათბირო ორგანოს და შესდგება არასამთავრობო, რელიგიური, ჰუმანიტარული, კომერციული ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან და საზოგადოებაში ნდობის მქონე ცნობადი სახეებისაგან.

2. სამეზობლოს და ახალგაზრდული კრებები

სამეზობლოს (Neighborhood Assemblies) და ახალგაზრდული (Youth Assemblies) კრებები მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს, რომელიც ორიენტირებულია პრიორიტეტული თემატიკისა და საპროექტო წინადადებების იდეების შემუშავებაზე, მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელებაზე, მხარდამჭერთა შემოკრებაზე, პროექტების ეფექტიანად განხორციელებაზე და დამდგარ შედეგების შეფასებაზე.

სამეზობლოს და ახალგაზრდული კრებების უფლებამოსილებას წარმოადგენს:

1. საჯარო დებატების საშუალებით შეიმუშავოს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პრიორიტეტული თემატიკა და საპროექტო წინადადების იდეა და წარადგინოს განსახილველად საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრების წევრებს;
2. პროექტის იდეის შემუშავების ეტაპზე მიიღოს კონსულტაცია და ინფორმაციული მხარდაჭერა საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრების წევრებისაგან;
3. საპროექტო განაცხადის მხარდასაჭერად მოიზიდოს როგორც მხარდამჭერები, ასევე შესთავაზოს როგორც იურიდიულ ასევე ფიზიკურ პირებს მხედინონ პროექტის როგორც სრულად ასევე ნაწილობრივ დაფინანსება;
4. სამეზობლოს და ახალგაზრდული კრებების წევრები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ მართვისა და წევრთა შორის ურთიერთობების წესებს.

გუნდი ფორმირდება ხდება ჩიკაგოს მუნიციპალიტეტის 49-ე ოლქის ტერიტორიაზე 14 წელს მიღწეულ მაცხოვრებლებისაგან, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა და ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის უფლებისა.

3. საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრები

საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრები (Community Representative Meetings) წარმოადგენს მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცედურების დაგეგმვაზე და მათი ეფექტიანად და დადგენილი წესების შესაბამისად განხორციელებაზე, ასევე მმართველობითი ფუნქციებით აღჭურვილ პასუხიმგებელი ორგანოს. მისი უფლებამოსილებას წარმოადგენს:

1. მონაწილეობითი ბიუჯეტის ყველა ეტაპზე სამუშაოთა გეგმარება;
2. სამეზობლოსა და ახალგაზრდული კრებების მიერ მოწოდებული პრიორიტეტების თემატიკისა და საპროექტო წინადადების შეჯერება და ფორმალიზება;
3. საპროექტო წინადადების ბიუჯეტირების წესების შესაბამისად ფორმირება

და კენჭისყრის პროცესისათვის საპროექტო წინადადების სიების მომზადება;

4. შერჩეული საპროექტო წინადადების გარშემო საჯარო განხილვებისა და ექსპერტიზის ჩატარების უზრუნველყოფა.
5. საინფორმაციო კამპანიის წარმოება;
6. საპროექტო წინადადების კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით გამარჯვებული პროექტების დამტკიცება;
7. პროექტების დაფინანსების მიზნით დონორებთან კომუნიკაციის განხორციელება.

საზოგადოების წარმომადგენლთა შეხვედრების ფორმირება ხდება სამეზობლოსა და ახალგაზრდული კრებების მიერ, ამ კრების წევრებიდან კენჭისყრის საშუალებით.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე მოქალაქეთა თანამონაწილეობის საკითხებში საქართველოში მოქმედი მარეგულირებელი ჩარჩო დოკუმენტები

საქართველოში მოქმედებს მოქალაქეთა თანამონაწილეობის საკითხებს არეგულირებს საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს კანონები, გარდა ამისა საქართველოში ერთეულია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიასა და პარტნიორობა ღია მართველობისათვის რომელიც დამატებით ვალდებულებებს უჩენს საქართველოში მოსახლეობის ჩართულობის გაზრდის მიმართულებით.

3.1. საქართველოს საკანონმდებლო ბაზა

3.1.1. საქართველოს კონსტიტუცია¹⁵

საქართველოს კონსტიტუცია (2018 წლის მოქმედ რედაქციაში) ადგენს საქართველოს მოქალაქეთა უფლებასა და უზრუნველყოფს, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ ჩართულობას. ასე მაგალითად: საქართველოს ყველა მოქალაქის უფლება, რომ იყოს აქტიურად ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გარანტირებულია საქართველო კონსტიტუციის მე-5 მუხლით, სადაც წერია, რომ საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი (პუნქტი 1) და თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით (პუნქტი 2).

ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტის პროცესში მოქალაქეთა თანამონაწილეობის გარანტიის სამართლებრივი საფუძველი შექმნილია საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის პუნქტ 4-ში სადაც ნათქვამია, რომ თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით, სახელმწიფო სუვერენიტეტის შეუღლებად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ხელს უწყობენ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას.

საქართველოს კონსტიტუციაში ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება მეშვიდე თავში (ადგილობრივი თვითმმართველობა), სადაც მუხლ 1012-ში დამატებით განმარტავს, რომ „თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია თავისი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით“ (პუნქტი 3).

3.1.2. საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

საქართველოში თვითმმართველი ერთეულები თავიანთი საქმიანობის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელობენ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით¹⁶, რომელიც განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორ-

¹⁵ საქართველოს კონსტიტუცია, <http://parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>

¹⁶ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, #1958-IIს, 05/02/2014, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429#DOCUMENT:1;>

ციელების სამართლებრივ საფუძვლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, მათი შექმნისა და საქმიანობის წესებს, მათ ფინანსებსა და ქონებას, ურთიერთობებს მოქალაქეებთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების წესებს.

კოდექსის მუხლი 2-ის პუნქტ 1-ით განსაზღვრული რომ:

ადგილობრივი თვითმმართველობა არის თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.

კოდექსი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შემდეგ ფორმებს (მუხლი 85, პუნქტი 4):

- ა) დასახლების საერთო კრება;
- ბ) პეტიცია;
- გ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;
- დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა;
- ე) მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმებიც.

ერთის მხრივ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი მუნიციპალიტეტებს არ განუსაზღვრავს როგორც საკუთარ უფლება/მოვალეობას მოქალაქეთა თანამონაწილეობის უზრუნველყოფის საკითხს. მუნიციპალიტეტის (მუხლი 16. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები) და შესაბამისად, არც საკრებულოს (მუხლი 24. მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილება) საკუთარი უფლებამოსილების ჩამონათვალში არ არის მოხსენებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა თანამონაწილეობის/ხელშეწყობის რაიმე სახით ვალდებულება. მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის ვალდებულებების ჩამოთვლაში არის მხოლოდ ერთი ჩანაწერი (მუხლი 54. გამგებლის/მერის უფლებამოსილება, პუნქტი 1, „ე.ვ“), რომლის მიხედვით მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული ცალკეული საკითხების შესასწავლად, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად ქმნის სათათბირო ორგანოებს - საბჭოებს და სამუშაო ჯგუფებს. თუმცა, ამავე პუნქტის სხვა ჩანაწერში, რომელიც ეხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სხვა პროგრამების, სტრატეგიებისა და გეგმების მომზადებას, ამ საკითხში მოქალაქეთა თანამონაწილეობა არ არის სა-

ვალდებულო. ეს საკითხები დარეგულირებულია საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლში¹⁷, სადაც მოყვანილია თუ როგორ უნდა ჩატარდეს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება. ამ მუხლის თანახმად საჯარო განხილვისათვის ბიუჯეტის პროექტი საკრებულოს მიერ აუცილებლად უნდა იქნეს გამოქვეყნებული და გადაწყვეტილება მიიღოს საჯარო განხილვის შემდეგ.

მუნიციპალიტეტის ორგანოების კანონი თანამდებობის პირებს ავალდებულებს, რომ შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, მოქალაქეებთან შეხვედრების, მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობაში, მათ შორის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომებში, მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობისათვის.

კვლევის საგანთან მიმართებაში მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მუხლი 85² - დასახლების საერთო კრება, რომლის 1-ლ პუნქტში წერია: დასახლების საერთო კრება არის სოფლის/დაბის/ქალაქის მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის ამ დასახლებისა და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის, გადაწყვეტისა და აღნიშნული მუნიციპალიტეტის ორგანოების წინაშე ინიცირების პროცესებში ქმედით თანამონაწილეობას.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის არსებული რედაქციის მიხედვით მოქალაქეთა თანამონაწილეობის უზრუნველყოფა საკრებულოსა და მერიას/გამგეობისათვის არ არის განსაზღვრული როგორც უფლება/მოვალეობა და შესაბამისად ყოველდღიურ საქმიანობაში არც არის პრიორიტეტული. ეს საკითხი სავალდებულოა მხოლოდ გამგებლის/მერიისათვის. ამავე დროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას საკმაო ბერკეტები აქვს თვითმმართველობის საკითხებში გადაწყვეტილების პროცესში აქტიური ჩართვისათვის.

3.2. საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები

3.2.1. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია

1985 წელს ევროპის საბჭომ დამტკიცა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია¹⁸, რომელიც 2004 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ იქნა რატიფიცირებული. ქარტიაში მოცემულია ძირითადი პრინციპები, რითაც უნდა იხელმძღვანელოს ქარტიის ხელმძღვერი ქვეყნის მთავრობამ ადგილობრივ დონეზე უფლებამოსილების განხორციელებისას. დოკუმენტი პირდაპირ და ცალსახად არ აწესებს მოქალაქეთა თანამონაწილეობის საკითხებში რაიმე სტანდარტებს და შეიცავს მხოლოდ შემდეგ პრინციპებს: ქარტიის ხელმძღვერი ქვეყნები აღიარებენ მოქალაქეთა უფლებას, რომ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების წარმართვაში და ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ სწორედ ადგილობრივ დონეზე შეიძლება ყველაზე ეფექტურად ამ უფლების პირდაპირი რეალიზაცია.

¹⁷ საქართველოს კანონი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91006>

¹⁸ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია, <http://nala.ge/uploads/files/4dea0e16ba5dc.pdf>

აღნიშნული გარემოება საშუალებას იძლევა ქარტიის დებულებების ფართე ინტერპრეტაცია მიეცეს. ზოგი ხელმომწერი ქვეყანა თვლის, რომ თვითმმართველობის დონეზე არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანოს არსებობა უკვე შეესაბამება მის მოთხოვნებს, ხოლო ზოგიც კი მოითხოვს მოქალაქეთა მონაწილეობითი უშუალო (პირდაპირი) ჩართულობის სხვადასხვა ფორმისა და მოდელის დანერგვას.

აღნიშნული საკითხის დასარეგულირებლად 2009 წლის ნოემბერში ქარტიას დაემატა „ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მონაწილეობის უფლების შესახებ“ დამატებითი ოქმი¹⁹, რომელიც ავალდებულებს ხელმომწერ სახელმწიფოებს, მოსახლეობას მისცეს უფლება და შესაძლებლობა, რათა ჩაერთოს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში.

ქარტიის დამატებითი ოქმი განსაზღვრავს ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის განხორციელებაში მოსახლეობის მონაწილეობის მიღების უფლებასა და მიდგომების (მუხლი 1), რომელიც უზრუნველყოფს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, ყველა ინდივიდის უფლებას, რათა განსაზღვროს და ზემოქმედება მოახდინოს ადგილობრივი ხელისუფლების ძალაუფლებისა და ვალდებულებების გამოყენებაზე და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან როგორც ამომრჩეველმა, ანდა როგორც კანდიდატმა მონაწილეობა მიიღონ საბჭოს წევრების ან ადგილობრივი ხელისუფლების ასამბლეის არჩევნებში.

მე-2 მუხლი მიუთითებს მონაწილეობის უფლების უზრუნველსაყოფად გასატარებელ ღონისძიებების. რომელიც გულისხმობს რომ უნდა გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები, მათ შორის:

- საზოგადოების ჩართვის პროცედურების შემუშავება, რაც მოიცავს საკონსულტაციო პროცესებს, ადგილობრივ რეფერენდუმებსა და პეტიციებს. დიდ ან მრავალრიცხოვან მუნიციპალიტეტებში ზომები მოსახლეობისთვის ტერიტორიულად ხელმისაწვდომი უნდა იყოს;
- კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, მოსახლეობისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- იმ პირთა მოთხოვნების დაკმაყოფილების გზების მოძიება, რომელთაც ჩართულობის ხელშემშლელი გარემოებები აქვთ;
- თვითმმართველობის მუშაობისა და ადგილობრივი საჯარო მომსახურებების შესახებ საჩივრებსა და შეთავაზებებზე რეაგირებისათვის პროცედურებისა და მექანიზმების შემუშავება.
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიური რესურსების გამოყენების წახალისება.

აგრეთვე ამ დოკუმენტით განისაზღვრება ადგილობრივი ხელისუფლება და ტერიტორია, რომელზედაც შესაძლებელია რომ გავრცელდეს ოქმის მოთხოვნები. თუმცა ხელმომწერ ქვეყნებს უტოვებს არჩევანის უფლებას, რომ დამოუკიდებლად განსაზღვროს შესაბამისი საკითხები.

ამ ეტაპზე საქართველო ხელისუფლებას არ მოუხდენია დამატებითი ოქმის რატიფიცირება, თუმცა 2018 წლის 10 მაისს პარლამენტში ინიცირებულია მისი რატი-

¹⁹ Additional Protocol to the European Charter of Local Self-Government on the right to participate in the affairs of a local authority
<https://rm.coe.int/168008482a>

ფიცირების პროცედურები და მიმდინარეობს შესაბამის კანონპროექტის განხილვა.²⁰ მნიშვნელოვანია რომ მისი რატიფიცირება მოხდეს სწრაფ რეჟიმში, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში მონაწილეობითი უშუალო (პირდაპირი) ჩართულობის სხვადასხვა ფორმისა და მოდელის დანერგვას.

3.2.2. პარტნიორობა ღია მართველობისათვის

ერთ-ერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო შეთანხმებას, რომელიც უშუალოდ ეხება მოქალაქეთა თანამონაწილეობის საკითხს, წარმოადგენს 2011 წელს ინიცირებული ღია მმართველობის პარტნიორობა (Open Government Partnership). პარტნიორობა მიზნად ისახავს მსოფლიოს მასშტაბით მთავრობათა გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის გაზრდას და მასში გაერთიანებულია 63 სახელმწიფო. საქართველო პარტნიორობას შეუერთდა 2011 წლის 20 სექტემბერში. საქართველოში „ღია მმართველობის პარტნიორობის“ პროცესს წარმართავს და კოორდინაციას უწევს იუსტიციის სამინისტრო²¹.

პარტნიორობის მონაწილე ქვეყნის მთავრობები იღებენ ვალდებულებას, მოქალაქეებისათვის იყენენ უფრო ღია და გახსნილი, ჩართონ ისინი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ხელმისაწვდომი და კომფორტული გახადონ სახელმწიფო სერვისები. აღებული ვალდებულებების შესრულების ხარისხით განისაზღვრება ქვეყნის წარმატება „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ფარგლებში.

ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში დასახულია ხუთი ძირითადი გამომწვევა, რომელთაგან ერთს მაინც უნდა პასუხობდეს სახელმწიფოს სამოქმედო გეგმა, ესენია:

- საჯარო მომსახურების გაუმჯობესება;
- საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა;
- საჯარო რესურსების უკეთესი მართვა;
- უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- ბიზნესის პასუხისმგებლობის გაზრდა.

2011 წლიდან საქართველომ შეიმუშავა და განახორციელა სამი ორწლიანი სამოქმედო გეგმა. ამჟამად მიმდინარეობს მორიგი, მეოთხე 2018-2019 სამოქმედო გეგმაზე მუშაობა

ღია მმართველობა – საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა შემუშავებულია ფორუმის ფარგლებში სადაც გაერთიანებულია სამთავრობო, სამოქალაქო და ბიზნესსექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

სამოქმედო გეგმაში გაერთიანებულია 24 ვალდებულება, რომლებიც შეესაბამება შემდეგ თემატიკას: გარემოს დაცვა, ჯანდაცვა, კონკურენციის, ენერჯეტიკისა და მომხმარებელთა უფლებებთან დაკავშირებულ საკითხები, სასაჯელაღსრულებისა

²⁰ კანონპროექტი : საქართველოს მთავრობისადმი, „ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის მიღების უფლების შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის დამატებითი ოქმის“ საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულოდ აღიარების მიზნით, კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაწყების შესახებ“, <https://info.parliament.ge/#law-drafting/15592>

²¹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „ღია მმართველობა – საქართველოს სამდივნოს ვებგვერდი, <http://justice.gov.ge/Ministry/Department/273>

და პროკურატურის კომპეტენციაში შემავალ თემები. გარდა ამისა, სამოქმედო გეგმა აგრეთვე ასახავს კორპორატიული პასუხისმგებლობის გაუმჯობესებას. ცალკე, დამოუკიდებელ კომპონენტად მოიაზრებს მუნიციპალიტეტების ვალდებულებებსაც, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საჯარო რესურსების უკეთესი მართვა (გამოწვევა III), რომლის ფარგლებშიც ჩამოყალიბებულია ვალდებულება 24: „ქალაქ ქუთაისის, ქალაქ ბათუმის, ქალაქ ახალციხისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების დაგეგმვის ელექტრონული მექანიზმის შექმნა“

ვალდებულების ფარგლებში ქალაქ ქუთაისის, ქალაქ ბათუმის, ქალაქ ახალციხისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურები აქტიურად მუშაობენ საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის საკითხებზე. USAID-ის პროექტის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში მხარდაჭერით ადგილობრივ დონეზე საბიუჯეტო პროცესების განმტკიცებასა და მასში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმის გაუმჯობესებაზე მიმდინარეობს მუშაობა. ღია მმართველობა საქართველოს მესამე სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღნიშნული 4 მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ელექტრონული მექანიზმის დაგეგმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შექმნასა და შესაბამის ვებგვერდებზე დამატებას. გარდა ამისა, შემუშავდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან დაკავშირებით მოქალაქის გზამკვლევი.

4. საქართველოში ადგილობრივ თვითმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის ინსტრუმენტები

საქართველოში ადგილობრივ თვითმართველობის დონეზე დემოკრატიულ მიდგომების დანერგვასთან ერთად, რასაც თავის მხრივ ხელი შეუწყო თვითმართველობის ახალი კოდექსის შემუშავებამ, თვითმმართველ ერთეულების აღმასრულებელ და წარმომადგენლობით რგოლებში გააჩინა სწრაფვა, რათა მაქსიმალურად ხელი შეეწყოს მოქალაქეთა ჩართულობას თვითმართველობის ყოველდღიურ საქმიანობის წარმართვაში და ბიუჯეტის გეგმარების პროცესში. ამგვარ პროცესებს დამატებითი ბიძგი მისცა აგრეთვე ევროკავშირთან ინტეგრაციულ პროცესების მაღალი ინტენსივობით განხორციელებამაც.

შედეგად, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ცდილობს აქტიურად ჩართონ მიმდინარე პროცესებში მოქალაქეები, რათა კოდექსის განსაზღვრული ინსტრუმენტებით გამოყენებით გაიგოს თუ რას ფიქრობს მოქალაქეები მათ წინაშე არსებულ პრობლემებზე და გადაჭრის გზებზე, გარეთვე ერთობლივად გამოავლინონ მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული პრიორიტეტული საქმიანობები.

საქართველოში არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე დანერგილია შემდეგი მოსახლეობის მონაწილეობითი ინსტრუმენტები, მათ შორის ნაწილი არის ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსით განსაზღვრული ფორმალიზებული ინსტრუმენტები (ფორმები) ხოლო რამდენიმესი კი გამოყენება მთლიანდ დამოკიდებულია მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებაზე.

4.1. თვითმართველობის კოდექსით განსაზღვრული ადგილობრივ თვითმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის ფორმები

4.1.1. დასახლების საერთო კრებები

დასახლების საერთო კრება წარმოადგენს ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსით განსაზღვრულ მოქალაქეების ფორმალიზებული სტრუქტურას და არის სოფლის/დაბის/ქალაქის მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფართოდ გამოყენებადი ფორმა. იგი თავისი მიზნებით, განხორციელების ლოგიკითა და მოსალოდნელი შედეგებით მოქალაქეთა მონაწილეობის ყველაზე მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს.

დასახლების საერთო კრება უზრუნველყოფს შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის ქმედით ჩართულობას დასახლებისა და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის მიღების, აგრეთვე მუნიციპალური ორგანოების წინაშე ინიცირების პროცესებში (მუხლი 85², პუნქტი 1). კრება უფლებამოსილია განიხილოს შესაბამისი დასახლებისთვის მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური საკითხები და მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვის წარსადგენად მოამზადოს შესაბამისი წინადადებები. აგრეთვე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ასახვამდე, განიხილოს შესაბამის დასახლებაში განსახორციელებელი პროექტები და მუნიციპალიტეტის ორგანოებს წარუდგინოს დასაბუთებული შენიშვნები და წინადადებები (მუხლი 85³, პუნქტი 1).

კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება აქვს მიიღოს დასახლებაში რეგისტრირებული ყველა ამომრჩეველს, ხოლო სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობს დასახლების ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების მესაკუთრესა და ამ დასახლებაში მცხოვრებ ნებისმიერ სრულწლოვან პირსაც.

საერთო კრებაზე საკითხის განხილვის შედეგად მიღებული წინადადება, შენიშვნა, დავალება ფორმდება საერთო კრების ოქმით (მუხლი 85³, პუნქტი 3) და მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან, განიხილონ საერთო კრების გადაწყვეტილება და განხილვის შედეგების შესახებ დასაბუთებული პასუხი აცნობონ საერთო კრების შესაბამის წევრებს ან საერთო კრების რჩეულს (მუხლი 85³, პუნქტი 4).

მოქალაქეთა საზოგადოებრივი მონაწილეობის სპექტრის მიხედვით დასახლების საერთო კრება შეესაბამება **კონსულტირების** დონეს, ხოლო არნშტეინის მოქალაქეთა მონაწილეობის კიბის მიხედვით შეიძლება შეფასდეს როგორც „**გულის მოგების**“ დონის შესაბამისი, რადგან ხელისუფლებას კონსულტაციებს ახდენს მოსახლეობასთან და ერთგვარ „ვალდებულებას“ იღებს რომ განიხილავს კრების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება მაინც მის მხარეს რჩება.

4.1.2. მერთან/გამგებელთან არსებული მრჩველთა საბჭოები

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა უშუალო ჩართულობის ინსტრუმენტს წარმოადგენს მერთან/გამგებელთან არსებული მრჩველთა საბჭო/ები, რომელიც წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის ინსტიტუციონალიზებულ საკომუნიკაციო არხს (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მუხლი 86¹). იგი როგორც მუნიციპალიტეტის უმაღლესი არჩევითი თანამდებობის პირის სათათბირო ორგანო, მოწოდებულია ხელი შეუწყოს მას პოლიტიკური ფუნქციის წარმატებით შესრულებაში. საბჭოს ფარგლებში შესაძლებელია რომ მერთან/გამგებელმა მოქალაქეებთან უშუალო კომუნიკაციითა და დისკუსიით მიიღოს ინფორმაცია მოქალაქეთა სხვადასხვა ფენების წინაშე მდგარი პრობლემებისა და მათი დამლევის შესაძლო გზების შესახებ ინფორმაცია. კოდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი ვალდებულია სამოქალაქო მრჩველთა საბჭოს განსახილველად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, აგრეთვე, სხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები.

მოქალაქეთა ჩართულობის აღნიშნული ინსტრუმენტის დადებით მხარეს წარმოადგენს მისი საკანონმდებლო ინსტიტუტიზალიაცია, აგრეთვე მერთან/გამგებელთან უშუალო, მოკლე დისტანციაზე კომუნიკაციისა და საზოგადოებისათვის საჭირო როტო ფართე თემატიკაზე კონსულტაციის შესაძლებლობა, მის სუსტ მხარეს წარმოადგენს ფორმალური, მხოლოდ კანონის მოთხოვნის შესრულების ვალდებულებიდან გამომდინარე მიდგომები, საბჭოს ფორმირების წესი, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია მერის/გამგებლის კეთილგონიერებაზე და კეთილსინდისიერებაზე. აგრეთვე რადგან საბჭო არის მხოლოდ სათათბირო ორგანო, ამიტომ მისი გადაწყვეტილებები არ არის სავალდებულო აღსასრულებლად.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე აღნიშნული ინსტრუმენტი როგორც საზოგადოებრივი მონაწილეობის სპექტრის ასევე არნშტეინის მოქალაქეთა მონაწილეობის კიბის მიხედვით შეესაბამება „**კონსულტირების**“ დონეს.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციები ძალაში შევიდა 2015 წელს, საქართველოში სამოქალაქო საბჭოების მუშაობის არაერთი წარმატებული მაგალითი არის ცნობილი. მეტიც, ჯერ კიდევ 2011 წლიდან საქართველოს რიგ მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბდა სამოქალაქო მრჩველთა საბჭოების მუშაობის პრაქტიკა. პირველი ასეთი საბჭო ოზურგეთში შეიქმნა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეფექტურად ფუნქციონირებდა.

2012 წლის აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAD) „დემოკრატიული მმართველობა საქართველოში“ (G3) პროგრამის ფარგლებში, შეიქმნა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოები საქართველოს 10 მუნიციპალიტეტში - 4 თვითმმართველ ქალაქსა (ბათუმი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი) და 6 სათემო მუნიციპალიტეტში (ახალციხე, გორი, ზუგდიდი, თელავი, მარნეული, ოზურგეთი). საბჭოების ინიციატივითა და აქტიური მუშაობით ადგილობრივ დონეზე გადაიჭრა გარკვეული საკითხები. მაგალითად, თელავსა და მარნეულში ყურადღება გამახვილდა ბაგა-ბაღებში არსებულ პრობლემებზე და საკრებულოში მათი მოგვარების გზების ლობირება დაიწყო, ასევე აღსანიშნავია, ბათუმისა და რუსთავის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების აქტიური მუშაობა, სადაც ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესებში აქტიური ჩართულობით არაერთი საკითხის ფართო განხილვა მოეწყო.

4.1.3. პეტიცია

პეტიცია არის ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, რომლის შეტანის უფლება აქვს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულთა მოსახლეობას. იგი წარმოადგენს უშუალო დემოკრატიის ფორმას და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული პროცედურები მოთხოვს მოსახლეობის მინიმალურ ჩართულობას (საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%) და ხოლო მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისაგან მასზე სწრაფ რეაგირებას.

ადგილობრივ თვითმმართველობის კოდექსის თანახმად პეტიციის წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ საკრებულოში, რომლის კომპეტენციის სფეროც ზღუდავს პეტიციის სახით წარსადგენ საკითხების ჩამონათვალს. პეტიციის სახით შეიძლება წარდგენილ იქნეს (მუხლი 86-ს პუნქტი 4):

- ა) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი.
- ბ) მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითადი პრინციპები ან კონკრეტული წინადადებები.
- გ) მუნიციპალიტეტისთვის ან/და დასახლებისთვის საერთო მნიშვნელობის პრობლემებიდან გამომდინარე საკითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტის მოთხოვნა

ამ ინსტრუმენტის გამოყენება სრულებით არ იძლევა იმის გარანტიას, რომ პეტიციაში მოყვანილი მოსახლეობის ინიციატივები იქნება გათვალისწინებული და რაიმე სახით ხორცშესხმული მუნიციპალური ხელისუფლების მიერ. საკრებულოს გააჩნია შესაბამისი ინსტრუმენტები და პროცედურები, რათა თავისი შეხედულისამებრ დამოუკიდებლად მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

მოქალაქეთა საზოგადოებრივი მონაწილეობის სპექტრის მიხედვით პეტიცია შეესაბამება „**ჩართულობის**“ დონეს, ხოლო არნშტეინის მოქალაქეთა მონაწილეობის კიბის მიხედვით შეიძლება შეფასდეს როგორც „**გულის მოგების**“ დონის შესაბამისი, რადგან მოქალაქეების გარკვეული ჯგუფების წარმომადგენლები გააჩნიათ შესაძლებლობა აქტიურად ჩაერიონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დააყენონ კენჭისყრაზე მათვის საინტერესო საკითხები ანდა შეაცვლევინონ არსებული ან მომავალი გადაწყვეტილებები, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას ადგილობრივი ხელისუფლება იღებს.

პეტიციის როგორც მოქალაქეთა ჩართულობის ინსტრუმენტის ძირითადი დადებითი მხარე, განსაკუთრებით ელექტრონული პეტიციის შემოღების შემდგომ არის

მოსახლეობისათვის ფართო ხელმისაწვდომობა, წინადადების წარდგენის სწრაფი და მცირე ადამიანური რესურსების საჭიროება, პეტიციით წარსადგენი საკითხების ფართე სპექტრი. გავლენა როგორც სამომავლო პროექტების მიღებაზე, ასევე ამჟამად მოქმედ ნორმატიულ აქტებზე. მის სუსტ მხარეს წარმოადგენს პეტიციის წარდგენის მაღალი კვალიფიკაცია, მოსახლეობის დაბალი აქტივობა და საბოლოო გადაწყვეტილებიდან მიღებაზე დაბალი გავლენა.

მოქალაქეების მიერ მათი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით ადგილობრივი ხელისუფლებისათვის პეტიციით მიმართვის პირველი შეთხვევა პოსტსაბჭოთა საქართველოში იყო 1999 წლის ივლისში თეთრიწყაროს მოსახლეობის 250-ხელმოწერიანი პეტიცია რაიონული საკრებულოსადმი, რომლის ორგანიზება ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „მწვანე კავკასიამ“ მოახდინა. 2000-2009 წლებში სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში მოქალაქეები იყენებდნენ საკრებულოს წინაშე მათთვის პრობლემური საკითხების დასმის ამ ფორმას, მიუხედავად იმისა, რომ რაიმე საკანონმდებლო ჩარჩოები არ არსებობდა (7), ხოლო 2015 წელს ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსში შესაბამის ჩანაწერის გაჩენის შემდეგ პეტიცია გახდა ფორმალიზებულ ინსტრუმენტად, რომლის გამოყენებასაც პერიოდულად მეტ-ნაკლები წარმატებით ახერხებს მოსახლეობა. აგრეთვე კოდექსმა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიანიჭა უფლება, საკრებულოს დადგენილებით განსაზღვროს პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის წესიც.

საქართველოში ინტერნეტის განვითარებისა და მისი მომხმარებლების ზრდის და ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) საქართველოს მეორე სამოქმედო გეგმის მიხედვით აღებულმა ვალდებულების ფარგლებში დაინერგა პეტიციის ელექტრონული წესით შექმნის, მასზე ხელმოწერების შეგროვების და საკრებულოში წარდგენის ტექნიკური შესაძლებლობა, რაც ძალზე მოსახერხებელია ტერიტორიულად დანაწევრებული მუნიციპალიტეტების და ცუდი კლიმატური პირობების შემთხვევაში. საქართველოს მუნიციპალიტეტებში ელექტრონული პეტიციების დანერგვის პროცესი 2017-2018 წლებში მომდინარეობს და დღეს დღეისობით დანერგილია უმეტეს მუნიციპალიტეტში.

4.2. განსაზღვრული ადგილობრივ თვითმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის დამატებითი ფორმები

4.2.1. მოქალაქეთა სოციოლოგიური კვლევები

საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში ყველაზე ხშირად გამოიყენება სოციოლოგიურ გამოკითხვა. ეს ინსტრუმენტი ერთის მხრივ მარტივი განსახორციელებელია და არსებობს კარგად დამუშავებული მეთოდოლოგია, რომლისთვისაც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს როგორც შიდა, ასევე გარე რესურსების გამოყენებით. თუმცა ამავე დროს გამოკითხვებით მიღებული შედეგების აჩვენებს მხოლოდ ტენდენციებს, ძალზედ დაბალია მათი გავლენა გადაწყვეტილებების მიღებისა და მუნიციპალური ბიუჯეტის გეგმარების პროცესში. მეტიც რიგ შემთხვევებში საერთოდ უცნობია იქნა თუ არა საერთოდ გათვალისწინებული. სოციოლოგიურ გამოკითხვა გამოსადეგია საზოგადოებაში საერთო ტენდენციებისა და მუნიციპალიტეტში მმართველობითი სისუსტეების დიაგნოსტიკებისათვის. ამიტომაც მიიჩნევა, რომ აღნიშნული ინსტრუმენტი თავისი ბუნებით საზოგადოებრივი მონაწილეობის სპექტრის მიხედვით შეესაბამება „კონსულტირებას“ დონეს, ხოლო არნშტეინის მოქალაქეთა მონაწილეობის კიბის მიხედვით შეიძლება შეფასდეს

როგორც „თერაპიის“ დონის, რადგან ხდება მოსახლეობის გამოკითხავ პრობლემებისა და განწყობების ტენდენციების გამოვლენის მიზნით, თუმცა სრულებით არ აარის უზრუნველყოფილი უკუკავშირის არსებობა.

საქართველოში ბოლო წლებში მუნიციპალურ დონეზე სოციოლოგიურ გამოკითხვის გამოყენების მრავალი მაგალითი მოიპოვება. როგორც განხორციელებისა და მასშტაბის, ასევე მაგალითად ქალაქი თბილისში 2009 წელს განხორციელდა პროექტი "ერთად დავგეგმოთ თბილისის 2010 წლის ბიუჯეტი"²². პროექტის ფარგლებში განხორციელდა ქ. თბილისის მოსახლეობის გამოკითხვა მუნიციპალიტეტის რაიონების მიხედვით (სულ გამოკითხული იყო 566 549 რესპონდენტი), რესპონდენტებს შეეთავაზათ, რომ მოეხდინათ წინასწარ განსაზღვრული 17 თემიდან (სოციალური, ეკონომიკა, უსაფრთხოება, კულტურა და სხვა) 3 ყველაზე პრიორიტეტის შერჩევა, რათა 2010 წელს გაზრდილიყო მათი დაფინანსება. მოხდა თუ არა მიღებული შედეგების გამოყენება უცნობია.

4.2.2. მერის/გამგებლის წარმომადგენლების (კოორდინატორების) მოსახლეობიდან უშუალო (პირდაპირი) კომუნიკაცია

მუნიციპალიტეტებში ინფორმაციის შეკრებისა და გაცვლის ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს მერის/გამგებლის წარმომადგენლების (კოორდინატორების) მოსახლეობიდან უშუალო (პირდაპირი) კომუნიკაცია. იგი ერთნაირი ეფექტურობით გამოიყენება ყველა მუნიციპალიტეტში და ეფუძნება ადგილობრივი მმართველობის ტრადიციებს, როდესაც ყველა დასახლებული პუნქტი თუ მცირე თემიც კი საკუთარი საკრებულო და გამგეობა ყავდა. ეს ინსტრუმენტი ეფექტიანია რათა მოხეს ინფორმაციის გადაცემა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და მოსახლეობას შორის, თუმცა იგი არანაირად არ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ ჩართულობას და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის არაფორმალურ სისტემას წარმოადგენს.

ამიტომაც მოქალაქეთა მონაწილეობის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმოადგენს ყველაზე დაბალი დონის ჩართულობას (შესაბამისად საზოგადოებრივი მონაწილეობის სპექტრის მიხედვით შეესაბამება „კონსულტირებას“ დონეს, ხოლო არნშტეინის მოქალაქეთა მონაწილეობის კიბის მიხედვით შეიძლება შეფასდეს როგორც „მანიპულირება“ დონეს).

4.2.3. ინოვაციური იდეათა ბანკი

ბოლო წლების ერთ-ერთ ახალ ტრენდს წარმოადგენს ინოვაციური იდეათა ბანკის ფორმირება. ადგილობრივი ხელისუფლება მიმართავს მოსახლეობას რათა არსებული პრობლემების აღმოფხვრისა და ახალი შესაძლებლობების გაჩენის მიზნით მიწოდონ ინოვაციური იდეები, რომლიც განხილვისა და გადახალისების შემდეგ აისახება კიდევ საბიუჯეტო პრიორიტეტებში და შესაბამის საბიუჯეტო პროგრამებში. ამ მიზნით გამოიყენება როგორც ანკეტირება, ასევე ინტერაქტიული ვებ გვერდები. ამ ინსტრუმენტის ძლიერ მხარეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მოსახლეობა არ არის შემოზღუდული თავისი იდეის თემატიკით და საჭირო სახსრების ოდენობით, ხელისუფლება მიესალმება ნებისმიერ ინოვაციურ მიდგომას და პრობლემის გადაწყვეტის გზას. სუსტ მხარეს წარმოადგენს ის გარემოება რომ მო-

²² ქ. თბილისის მერიის პროგრამა ერთად დავგეგმოთ თბილისის 2010 წლის ბიუჯეტი, საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა, <http://www.opendata.ge/ka/request/17373#requests-tabs1>

სახლეობა არის მხოლოდ იდეათა გენერატორი და არა რაიმე სახით გადაწყვეტილების მიმღები. მეტიც წარდგენილი იდეასთან მიმართებაში არის იმის გარანტია, რომ რაიმე სახით გათვალისწინებული იქნება ხელისუფლების მიერ. ამიტომაც აღნიშნული ინსტრუმენტი მოქალაქეთა მონაწილეობის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, როგორც საზოგადოებრივი მონაწილეობის სპექტრის მიხედვით, ასევე არნშტეინის მოქალაქეთა მონაწილეობის კიბის მიხედვით შეიძლება შეფასდეს როგორც „კონსულტირება“

ინოვაციური იდეათა ბანკის მაგალითები არც ისე ბევრი გვაქვს საქართველოში. თუმცა კარგ მაგალითს წარმოადგენს ქალაქი თბილისში, სადაც 2015-2016 წ.წ.-ში ქ. თბილისის მერიის და სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდის“ მიერ განხორციელებული პროექტი – „სითი ფორუმი - ერთად ვიზრუნოთ თბილისზე“.²³ პროექტის მიზანი იყო ქალაქის დემოკრატიული მმართველობის ხელშეწყობა და დედაქალაქის მთავრობის საქმიანობაში მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა. სპეციალურად დამზადებული ბუკლეტებისა და ონლაინ აპლიკაციების მეშვეობით მოხდა მოქალაქეების მხრიდან ქალაქის განვითარებაზე ორიენტირებული ინოვაციური იდეებისა და კრეატიული წინადადებების მიწოდება. თუმცა ეს პროგრამა 2016 წელს სსიპ ტექნოლოგიური განვითარების ფონდი“ გაუქმებასთან²⁴ ერთად შეწყდა, ისე რომ დამდგარი შედეგები უცნობია.

ღია მართველობის პარტნიორობის თანამშრომლობის ფარგლებში 2018 წელს თბილისის მერიამ შესთავაზე მოსახლეობას ახალი პროექტი „შენი იდეა ქალაქის მერს“²⁵, რომელიც წინა პროექტებისაგან განსხვავებით სთავაზობდა მოქალაქეებს, არამარტო გაეკეთებინათ საპროექტო წინადადებები, არამედ მიეღოთ მონაწილეობა ამ პროექტების შეფასებაში და კენჭისყრაში. იმისათვის რომ მოხდეს პროექტის განხორციელება საჭიროა რომ რეგისტრაციიდან 60 დღის განმავლობაში მას ხმა მისცეს ქ. თბილისში რეგისტრირებული მოქალაქეების არანაკლებ 2500 კაცმა. თუმცა, საპროექტო წინადადების განხორციელებაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ქალაქი მერი და ამ პროცესში არ არის ჩართული არც მერის მრჩეველთა საბჭოები და არც სამოქალაქო საზოგადოება.


²³ სსიპ - ტექნოლოგიური განვითარების ფონდის ფეისბუქში ოფიციალური გვერდი, <https://www.facebook.com/techdevelopmentfund/>

²⁴ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №9-24, 2016 წლის 1 აპრილი

²⁵ ქალაქ თბილისის მთავრობის დადგენილება №04-26-129, 2018 წლის 31 იანვარი. პროექტის ვებ გვერდი <https://idea.tbilisi.gov.ge>

5. მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვის საქართველოს პრაქტიკა

საქართველოში მონაწილეობითი ბიუჯეტირების, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე მოქალაქეთა ჩართულობის ერთ-ერთი მოდელის გამოყენება დაიწყო 2015 წლიდან. როდესაც მარნეული მუნიციპალიტეტში დაინერგა სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების პროექტი, რომლსაც პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო დახმარების პროგრამის „დემოკრატიის მხარდაჭერის“ ფარგლებში უწევდა ტექნიკურ და მეთოდოლოგიურ დახმარებას.²⁶ პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სამოქალაქო ბიუჯეტირების მიზნებისათვის გამოიყო 1.5 მილიონი ლარი. მუნიციპალიტეტი დაიყო 6 ზონად, შეიქმნა სამოქალაქო ბიუჯეტის მხარდამჭერი საბჭოები, მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაციი თუ რა თემებზე და რა სახით უნდა წარმოდგენილი ყოფილიყო განაცხადები, განაცხადებს გადარჩევის შედეგად გამარჯვებული საპროექტო წინადადება აისახა კიდევე შემდეგი წლის ბიუჯეტებში. სამივე წლის მანძილზე მოსახლეობის ჩართულობა მაღალი, ხოლო წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების ოდენობა მზარდი იყო, რასაც კარგად ასახავს **Error! Reference source not found.** თუმცა 2018 წელს შეწყდა მარნეული მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული პროექტის განხორციელება.



ილუსტრაცია 8 - 2015-2018 წ.წ.-ში მარნეულის მუნიციპალიტეტში მოქალაქეების მიერ

2016 წლიდან აღნიშნული მოდელი აგრეთვე დაინერგა ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში და აქაც ტექნიკურ და მეთოდოლოგიურ დახმარებას უწევდა პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო. ეს პროგრამა გორის მუნიციპალიტეტში ხორციელდებოდა მანან, სანამ 2017 წელს არ მოხდა ქალაქ გორის და გორის თემის მუნიციპალიტეტების შერწყმა. თუმცა უკვე 2018 წლიდან გორის მუნიციპალიტეტში აღდგა სამოქალაქო ბიუჯეტირების პროექტი, და 2019 წლის ბიუჯეტის გეგმარება ხორციელდება წინა წლებში დანერგილი მოდელით.

2016-17 წ.წ.-ში პროგრამის „დემოკრატიის მხარდაჭერის“ ფარგლებში აგრეთვე დაგეგმილი იყო, რომ მონაწილეობით ბიუჯეტირების პროცესის იმავე მოდელის დანერგვა

²⁶ გორისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვის პროცესის მხარდაჭერა განხორციელდა პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო დახმარების პროგრამის „დემოკრატიის მხარდაჭერის“ მიერ დაფინანსებული პოლონური ფონდის „სხვა სივრცე (Other Space Foundation)“ პროექტის ფარგლებში, რომლის პარტნიორები არიან: ერთიანი კავკასია, საერთაშორისო სოლიდარობის ფონდი და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია.

ხარაგაულისა და თეთრიწყაროს თვითმმართველ თემის მუნიციპალიტეტებში, მაგრამ რიგი მიზეთა გამო დაგეგმილი სამუშაოები არ შესრულებულა.

პარალელურად რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ 2016 წლის მარტიდან დაიწყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „მონაწილეობითი ბიუჯეტირება ქალაქ რუსთავში“²⁷ განხორციელება. 2017 წელს პროექტის ფარგლებში მოხდა თანამონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის დანერგვა. რისთვისაც დაიგეგმა თანამონაწილეობითი ბიუჯეტირების პრინციპების დასამკვიდრებლად აუცილებელ საინფორმაციო კამპანიების, მოსახლეობის გამოკითხვებისა, მერიის თანამშრომელთა გადამზადების მიზნით ტრენინგების და მოსახლეობასთან საინფორმაციო ტიპის შეხვედრების ჩატარება.

უკვე 2018 წელიდან გორის მონაწილეობითი ბიუჯეტირების განსხვავებული მოდელის დანერგვა დაიწყო კიდევ 3 მუნიციპალიტეტში. ღია მართველობის ინიციატივის ვალდებულების ფარგლებში ქალაქ ქუთაისის, ქალაქ ბათუმის, ქალაქ ახალციხისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების USAID-ის პროექტის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში მხარდაჭერით ხდება ესტონეთში აპრობირებული მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელის დანერგვა, რომელიც ეფუძნება ინტერნეტ ტექნოლოგიების გამოყენებას და ხმის მიცემის სისტემა VOLIS (ადგილობრივი დემოკრატიული პროცედურების სისტემა), რომელიც შეიქმნა ესტონეთის ელექტრონული მართვის აკადემიის მიერ (e-Governance Academy)²⁸.

ამავე 2018 წელს მონაწილეობითი ბიუჯეტირების საკუთარი მოდელი შესთავაზა მოქალაქეებს ქალაქ თბილისის მერიამ, რომელმაც ამოცმედა პროექტი „შენი იდეა ქალაქის მერს“²⁹. ეს პროექტიც ეფუძნება ინტერნეტ ტექნოლოგიას და წარმოადგენს თბილისის მერიის მორიგ მცდელობას დანერგოს ინოვაციური იდეათა ბანკი. ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ელექტრონულად წარედგინათ თავისი პროექტები, და ტექნიკური ექსპერტიზის შემდეგ ვებ გვერდზე ქვეყნდება კენჭისყრაზე. 60 კალენდარულ დღეში საკმარისი ხმების (2500 თბილისში რეგისტრირებული ამომრჩევლის ხმა) დაგროვების შემთხვევაში ის საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა ქალაქის მერს.

საკანონმდებლო დონეზე მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვის მცდელობა განხორციელდა 2016 წელს, როცა კანონპროექტის სახით საქართველოს პარლამენტს 14 ქართული და პოლონური არასამთავრობო ორგანიზაციის³⁰ მიერ წარედგინა საკანონმდებლო წინადადება საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საქართველოს კანონში „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“

²⁷ პროექტი „მონაწილეობითი ბიუჯეტირება ქალაქ რუსთავში“ ხორციელდებოდა ნიდერლანდების მუნიციპალიტეტების ასოციაციასა და მუნიციპალიტეტების საერთაშორისო საკონსულტაციო ცენტრთან პარტნიორობით. <http://rustavi.gov.ge/>

²⁸ ელექტრონული მართვის აკადემია, ესტონეთი <https://www.ega.ee/>

²⁹ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის პროექტის „შენი იდეა ქალაქის მერს“ ვებ გვერდი, <https://idea.tbilisi.gov.ge/home>

³⁰ კანონპროექტი წარდგენილი იქნა პოლონური არასამთავრობო ორგანიზაციების Fundacja Inna Przestrzen და Fundacja Solidarności Międzynarodowej, ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ OSGF, არასამთავრობო ორგანიზაციების: ერთიანი კავკასიას, მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის IDFI, მწვანე კავკასიას, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის, სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ISFED, ადგილობრივი დემოკრატიის ქსელის ცენტრის და რეგიონის განვითარების ცენტრის მიერ.

ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლითაც საკანონმდებლო დონეზე დანერგილი იქნებოდა მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელი.

წარმოდგენილი კანონპროექტით განსაზღვრული პროცედურები და კრიტერიუმები ძალიან ჰგავს მარნეულისა და გორის მუნიციპალიტეტებში დანერგილ მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტს „სამოქალაქო ბიუჯეტი“ მცირე განსხვავებით:


1. კანონპროექტით სამოქალაქო ბიუჯეტისთვის პროექტის წარდგენის უფლებამოსილება აქვს სრულწლოვან პირს ან პირთა ჯგუფს და დასახლების საერთო კრებას (შემდეგში - ინიციატორი), როდესაც პროექტ „სამოქალაქო ბიუჯეტი“ ასეთი უფლება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს აქვთ;
2. დასაშვებად ცნობს, რომ სამოქალაქო ბიუჯეტისთვის პროექტის სამოქმედო არეალი აგრეთვე გავრცელებული იყოს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე და ისევე როგორც პირობით ზონებზე, ამ უკანასკნელს ადგილი აქვს პროექტ „სამოქალაქო ბიუჯეტის“ შემთხვევაში სადაც თითოეულ ზონას (ადმინისტრაციულ ერთეულს) გააჩნია საკუთარი გამოყოფილი თანხა;

სამწუხაროდ, აღნიშნული კანონპროექტი არ იქნა განხილული საქართველოს პარლამენტის მიერ.

5.1. მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტი „სამოქალაქო ბიუჯეტი“

მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტი „სამოქალაქო ბიუჯეტი“ დანერგილი იქნა 2015 წლიდან მარნეულისა, ხოლო 2016 წლიდან კი გორის მუნიციპალიტეტებში. პროექტის მიზანს წარმოადგენს მოქალაქეების ჩართულობას ადგილობრივი თვითმართველობის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მათი ინტერესის გათვალისწინება მუნიციპალური ბიუჯეტის განაწილებაში და ხარჯვის პროცესში.

გორის მუნიციპალიტეტში 2018-2019 წლის სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს მიერ განხილული იქნა მოსახლეობის მიერ შემოტანილი 167 საპროექტო ინიციატივა, საიდანაც სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს მიერ მოწონებული და შემდეგ წარმომადგენლობითი საბჭოს (ადგილებზე შეკრებილი მოსახლეობის) მიერ შერჩეული იქნა 75 საპროექტო ინიციატივები, რომელიც მიმართული არის მუნიციპალიტეტში არსებული ტიპი სხვადასხვას პრობლემების გადაჭრაზე.



ილუსტრაცია 9 - ქ. გორის მუნიციპალიტეტში 2018-2019 წლის სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში შერჩეული საპროექტო ინიციატივები

5.1.1. მოდელის სამუშაო პროცედურები

სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესი შედგება რამდენიმე ეტაპისაგან (პროცესების კროსფუნქციონალური სქემა იხილეთ დანართი 12-ში):

1. პროექტის მოსამზადებელი ეტაპი

პროექტის მოსამზადებელი ეტაპი თავის მხრივ იყოფა 3 ძირითად ქვეპროცესად:

- პროექტის გეოგრაფიული არეალის განსაზღვრა

პროექტის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა დასახელებული პუნქტების დაჯგუფება და გაერთიანება გეოგრაფიულ ზონებად, რომელსაც მარნეულის მუნიციპალიტეტში ეწოდა ზონა, ხოლო გორში - ადმინისტრაციულ ერთეული და იგი ემთხვევა მუნიციპალიტეტის არსებულ შიდა ადმინისტრაციულ დაყოფას. აღნიშნული მიდგომა საჭირო იქნა რათა უფრო სამართლიანად და თანაბრად გადანაწილდეს გამოყოფილი სახსრები.

- პროექტის ფინანსური რესურსების და წესების განსაზღვრა

პროექტის ფარგლებში შემდეგი წლის მუნიციპალური საპროგნოზო ბიუჯეტიდან მერია გამოყოფს გარკვეული ოდენობის ფინანსურ სახსრებს, მისი ოდენობა განისაზღვრება გეოგრაფიულ ზონების ოდენობიდან გამომდინარე. ყველა ზონისათვის გამოიყოფა ერთი-და იგივე ოდენობის ფინანსური სახსრები, და არ არის დამოკიდებული ამ ზონაში მაცხოვრებელთა რაოდენობაზე. აგრეთვე განისაზღვრება თუ რამდენი პროექტი შეიძლება დაფინანსდეს ერთ ზონაში

პროექტი სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში შესაძლებელია წარდგენილი იქნეს სხვადასხვა თემატიკის საპროექტო წინადადებები, მათ შორის: ინფრასტრუქტურული, ახალგაზრდული, საგანმანათლებლო, ან კულტურული, სოციალური, სპორტული და სხვ.

- პროექტის მართველობითი სტრუქტურების ჩამოყალიბება

სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის ეფექტიანი მართვისათვის ხდება 3 მართველობითი სტრუქტურების ჩამოყალიბება:

– **ადმინისტრაციულ ერთეულის კოორდინატორი**

მუნიციპალიტეტის მერის მიერ თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულში მოქალაქეებთან კომუნიკაციისა, ინფორმირებისა და კოორდინაციის მიზნით ინიშნება კოორდინატორი.³¹ აღნიშნული საქმიანობა შესაძლებელია განხორციელდეს საზოგადოების წარმომადგენლებთან ან არასამთავრობო ორგანიზაციებთან (შემდგომში თემის მობილიზატორთან) ერთად.

– **ადმინისტრაციულ ერთეულის წარმომადგენლობითი საბჭო**

კოორდინატორი, თემის მობილიზატორთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციულ ერთეულში აკომპლექტებს წარმომადგენლობითი საბჭო–ს რომელიც უნდა შედგებოდეს თითოეულ ადმინისტრაციული ერთეულში შემავალი დასახლებებიდან, უბნებიდან, ამავე დასახლებებში და უბნებში მცხოვრებთა მიერ შერჩეული არანაკლებ ორი აქტიური წარმომადგენლისაგან. წარმომადგენლობითი საბჭოს ფუნქციას წარმოადგენს საპროექტო ინიციატივების შერჩევა/ანალიზი.

– **სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო**

მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებისაგან იქმნება სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო, რომლის უზრუნველყოფს მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების ტექნიკური, ფინანსური, სამართლებრივი, სამუშაოების განხორციელების ვადების და აქტუალობის გადამოწმების მიზნით საექსპერტო შეფასებას.

2. საპროექტო წინადადებების წარდგენის ეტაპი;

სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 18 წლის ასაკს მიღწეულ მოქალაქეს.

მოქალაქეები მუნიციპალიტეტში აგზავნიან სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში საპროექტო ინიციატივების განაცხადის ფორმებს. წინადადება შეიძლება წარდგენილი იქნეს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად.

მოქალაქეს შეუძლია წარმოადგინოს ისეთი პროექტები, რომელიც შედის მუნიციპალიტეტის გამგეობის თვითმმართველობის კომპეტენციაში, არ აღემატება კონკრეტული ადმინისტრაციული ერთეულისთვის გამოყოფილ თანხას და ემსახურება საზოგადოებრივ კეთილდღეობას. პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს სპეციალური სააპლიკაციო ფორმით.

განაცხადის ფორმებს ავტორის გარდა ხელი უნდა მოაწეროს მინიმუმ 10 მხარდამჭერმა, რომელიც ცხოვრობს იმ ტერიტორიულ ერთეულში, სადაც იგეგმება რომ პროექტი განხორციელდეს.

კოორდინატორი ადმინისტრაციულ ერთეულში მაცხოვრებლებს, საჭიროებისამებრ, ეხმარება სამოქალაქო ბიუჯეტის საპროექტო ინიციატივის განცხადების სააპლიკაციო ფორმის შევსებაში. განაცხადების მიღების პერიოდში, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირი (მთავარი კოორდინატორი) ამოწმებს

³¹ როგორც წესი კოორდინატორის ფუნქციას ასრულებს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი

წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების განაცხადების ტექნიკურ სისწორეს. პროექტით გათვალისწინებული ბიუჯეტის ფარგლებში, საბოლოო ეტაპზე, წარმოდგენილი პროექტების დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლებელია ინიციატივის ავტორთან შეთანხმებით განხორციელდეს თანხის ცვლილება.

3. საპროექტო წინადადებების შერჩევის ეტაპი

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირი (მთავარი კოორდინატორი) საპროექტო ინიციატივების განაცხადებს წარუდგენს სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს განსახილველად შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ა) სამართლებრივი ასპექტები (არის თუ არა მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი განხორციელოს წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივები);
- ბ) ტექნიკური ასპექტები (ტექნიკურად რამდენად შესაძლებელია საპროექტო ინიციატივების განხორციელება);
- გ) ფინანსური ასპექტები (წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების სავარაუდო ღირებულების შეფასება და შესაძლებლობების განსაზღვრა);
- დ) პროექტის განხორციელების ვადები (წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების განხორციელების სავარაუდო ვადების თავსებადობა შესაძლებლობების ფარგლებში);
- ე) ემსახურება თუ არა პროექტის განხორციელება საზოგადოებრივ ინტერესს (წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების აქტუალობა ადმინისტრაციული ერთეულების მაცხოვრებელთათვის რამდენად აქტუალურია);

გადამოწმების შედეგად მოწონებულ საპროექტო ინიციატივებს სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო შემდგომი განხილვის მიზნით გადასცემს ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლობით საბჭოებს.

სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს მიერ მოწონებული საპროექტო ინიციატივებიდან წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, პროგრამის პირველ ეტაპზე გამოვლენილი პრიორიტეტების გათვალისწინებით, კონსესუსის საფუძველზე შეირჩევა კონკრეტული საპროექტო ინიციატივები, რომელიც წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ წარედგინება სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო და მუნიციპალიტეტის მერს შემდგომი წლის მუნიციპალურ ბიუჯეტში ასახვის მოთხოვნის მიზნით.

5.1.2. მოდელის შეფასება

მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტი „სამოქალაქო ბიუჯეტი“ -ს მთავარ დადებით მხარე წარმოადგენს ის გარემოება, რომ საქართველოში დაგროვდა როგორც ქალაქის, ასევე შერეული ტიპის მუნიციპალიტეტებში არსებული ურბანული სპეციფიკის თვალსაზრისით მოდელის განხორციელების 4 წლიანი გამოცდილება.

მოდელის დადებით მხარეს წარმოადგენს შემდეგი გარემოებები:

- მოქალაქეთა მაღალი ჩართულობის უზრუნველსაყოფად პროექტში გამოიყენება როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული ფორმალური სტრუქტურა - მერიის მრჩეველთა საბჭო, აგრეთვე არაფორმალური ინსტრუმენტი - ადმინისტრაციულ ერთეულის წარმომადგენლობითი საბჭოები;
- თეორიულად, მოსახლეობას შეუძლია წარადგინოს სხვადასხვა თემატიკის და

- კონკრეტული თემის მოთხოვნებზე მორგებული საპროექტო წინადადებები;
- მუნიციპალიტეტის ინტერნეტ გვერდი უზრუნველყოფს პროექტის განხორციელებისა მაქსიმალურ გამჭვირვალობას და ინფორმაციასთან შეუზღუდავ წვდომას.
- პროექტის მიმართ მოსახლეობის ინტერესი საკამოდ მაღალია.

მოდელის სისუსტეს წარმოადგენს შემდეგი გარემოებები:

- მოქალაქეთა მეტი ჩართულობისა და ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად პროექტში არ გამოიყენება მოქალაქეთა ჩართულობის ფორმალური და არაფორმალური ფორმები, მათ შორის სათემო გაერთიანებები, დასახლების საერთო კრება, ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (Local Action Group - LAG), სათემო ორგანიზაცია (Community Based Organization - CBO) და ბინათმფლობელთა ამხანაგობები;
- პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა დაბალია;
- დამდგარი შედეგები ასახავს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმადგენელთა საბჭოების მიერ კენჭისყრის მეშვეობით აშკარად გამოხატულ მხარდაჭერას და დასახლებული პუნქტისა ანდა თემის კონკრეტულ ინტერესებს.
- მოდელის ფარგლებში საპროექტო წინადადებისა და კენჭისყრის პროცესში მონაწილეობა შეუძლია მხოლოდ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს. სხვა ქვეყნისა ანდა სხვა მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცედურებში უშუალო ჩართულობა დასაშვები არ არის;
- მოდელი არ ითვალისწინებს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესით დაგეგმილი სამუშაოების საპროექტო წინადადების ავტორის (ჯგუფის წევრების) მხრიდან შესრულებაზე კონტროლის დამატებით პროცედურებს;
- პროექტის ფარგლებში გამოყოფილი ფინანსები მიზნული არის მუნიციპალიტეტის შიდა ადმინისტრაციულ ერთეულებზე, დასახლებულ პუნქტებზე, თემებზე და დამოკიდებულია კონკრეტული დასახლებაში მოსახლეობის რიგხოვნებაზე.

მოდელის ძირითად გამოწვევას წარმოადგენს შემდეგი გარემოებები:

- ინიცირებული პროექტების შესახებ მოსახლეობის სათანადო ინფორმირება;
- მოსახლეობის დაბალი ნდობა და ინდეფერენტული განწყობა;
- შერჩეული საპროექტო წინადადებების არასათანადო ხარისხით განხორციელება;
- პროექტების განხორციელებით დამდგარი შედეგის ეფექტიანი ჩვენება.

მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტს თუ შევაფასებთ საზოგადოებრივი მონაწილეობის სპექტრისა და არნშტეინის მოქალაქეთა მონაწილეობის კიბის მიხედვით იგი ორთავე სტანდარტის მიხედვით შეესაბამება „კონსულტირებას“ დონეს.

5.2. ბათუმის, ქუთაისისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტი VOLIS

2018 წლიდან ღია მმართველობის ინიციატივის (OGP) ფარგლებში ქალაქ ბათუმის, ქუთაისისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში განხორციელდა მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტი, რომელიც ეყრდნობოდა ესტონეთში დანერგილ

მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელს და იყენებს ელექტრონული მართველობის აკადემიის (e-Governance Academy)³² მიერ შემუშავებულ ინტერნეტ-პლატფორმას VOLIS (ადგილობრივი დემოკრატიული პროცედურების სისტემა).³³

აღნიშნული მოდელის მიზნებს წარმოადგენს:

- ადგილობრივმა თვითმმართველობის ხელისუფლებამ სწრაფად, მარტივად და ნაკლები ფინანსური დანახარჯებით მიიღოს ეფექტიანი გადაწყვეტილები, რისთვისაც გამოიყენება კომპიუტერული პროგრამა;
- ადგილობრივი თვითმმართველობების გადაწყვეტილებების შესახებ სრული ინფორმაცია გაზიარებულ იქნას საზოგადოებასთან და მოხდეს მოსახლეობის წახალისება რათა მონაწილეობა მიიღონ აღნიშნულ პროცესებში.

აღნიშნული მოდელი უზრუნველყოფს მოქალაქის მიერ მუნიციპალიტეტისათვის ინოვაციური იდეების და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ პრობლემების გადაწყვეტისათვის საჭირო საპროექტო წინადადების შეთავაზებას რომელიც მიზნად ისახავდეს საზოგადოებრივი სიკეთის შექმნას და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლების მიერ ელექტრონული კენჭისყრის გზით საუკეთესო პროექტების გამოვლენას, რომელიც საკრებულოს დამტკიცების შედეგად აისახება მომდევნო წლის ბიუჯეტში.

VOLIS-ი წარმოადგენს თანამედროვე ციფრული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ საკრებულოსა და მერიის წევრებისთვის სამუშაო გარემოს. იგი ყველა დაინტერესებულ მხარეს აწვდის ინფორმაციას თუ რა ინფორმაციის შემცველი და ვის მიერ იქნა წარდგენილი საპროექტო წინადადება, როგორ და ვის მიერ იქნა მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილება. ხელმისაწვდომია დღის წესრიგი და კენჭისყრის შედეგები და ავტომატურად ხდება სხდომების ანგარიშების გენერირება.

საინფორმაციო სისტემის ძირითადი მახასიათებლები³⁴:

- საპროექტო განაცხადების ელექტრონული წარდგენის პროცედურისა და თანმდევი დოკუმენტაციის მართვა;
- პროექტის ყელა სახის, მათ შორის მულტიფორმატული, ელექტრონული დოკუმენტაციის მართვა;
- შეხვედრებში მონაწილეობის სხვადასხვა საინფორმაციო მხარდაჭერის უზრუნველყოფა, მათ შორის ვირტუალური მონაწილეობის ჩათვლით;
- ID ბარათით ელექტრონული კენჭისყრის უზრუნველყოფა;
- სხდომის ანგარიშების ავტომატური გენერირება;
- სხდომების ვებ-ტრანსლაციის განხორციელება და ჩანაწერების არქივის მართვა;

³² ესტონეთის ელექტრონული მართველობის აკადემიის წებ გვერდი, <https://www.ega.ee/>

³³ ინტერნეტ პლატფორმას Volis-ის ვებ გვერდი, <https://www.volis.ee/>

³⁴ გარდა აღნიშნული ფუნქციებისა VOLIS-ი საშუალებას იძლევა ელექტრონული დემოკრატიის (eDemocracy) ფარგლებში ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის სხვადასხვა ფორმების დანერგვას. მათ შორის:

- ელექტრონული პეტიცია;
- მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვა;
- ნებისმიერი სახის ელექტრონული კენჭისყრა დაცული ხმის მიცემის ელექტრონული სისტემის გამოყენებით;
- და სხვა.

- და სხვა ციფრული ფუნქციები.

5.2.1. მოდელის სამუშაო პროცედურები

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესი შედგება რამდენიმე ეტაპისაგან რომელიც უზრუნველყოფს მოსახელობის ინფორმირებას და პროცესებში აქტიურ ჩაბმას. სამუშაოთა აღსაწერად აღებული იქნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების დებულების პროექტით³⁵ განსაზღვრული სამუშაოები (იხ პროცესების კროსფუნქციონალური სქემა დანართი 13-ში). ქალაქ ახალციხესა და ქუთაის გააჩნიათ მცირედად განსხვავებული პროცედურები, თუმცა ზოგად მიდგომები ერთნაირია:

1. მოსამზადებელი ეტაპი

მოსამზადებელ ეტაპზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო ბიუჯეტირების საბჭოს მიერ განხორციელდება შემდეგი სახის სამუშაოები:

- განსაზღვრავს შემდეგი წლის მუნიციპალურ ბიუჯეტში ფინანსურ რესურსებს, რომელიც იქნება მიმართული მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესით გამოვლენილ საუკეთესო საპროექტო წინადადების დასაფინანსებლად.³⁶
- მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესი ფარგლებში წარსადგენი პროექტების თემატიკასა, შეფასების კრიტერიუმებსა და დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების სავარაუდო რაოდენობას;
- გეგმავს და აქტიურად ახორციელებს პროექტის საინფორმაციო კამპანიას.

2. საპროექტო წინადადების წარდგენის და ანალიზის ეტაპი

საპროექტო წინადადების წარდგენის და ანალიზის ეტაპი თავის მხრივ იყოფა სამ ქვეპროცესად:

1. მოქალაქეების მიერ საპროექტო წინადადების წარდგენა

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის ფარგლებში საპროექტო განაცხადების წარდგენა შეუძლია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საქართველოს ყველა მოქალაქეს (ან მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფს).

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დადგენილი ფორმით მოქალაქის მიერ საპროექტო წინადადება წარდგენა შესაძლებელია არამარტო ელექტრონული პლატფორმის VOLIS-ის საშუალებით არამედ ბათუმის მუნიციპალიტეტის სერვის ცენტრებშიც.

³⁵ ანგარიშის შემუშავებისას ჩვენს ხელთ იყო ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების დებულების პროექტი, ხოლო რიგი მიზეზებისგან გამომდინარე ჩვენ ვერ მოვიპოვეთ ვერც ქ. ქუთაისის და ვერც ქ. ახალქალაქის მუნიციპალიტეტების მონაწილეობითი ბიუჯეტირების დებულებები. ამიტომაც აღნიშნული მოდელის პროცედურებისა და აქტორების შესწავლისას მთლიანად დავყვარდებით ქ. ბათუმის დებულებას. ამავდროულად შესაძლებელია, რომ ამ დოკუმენტის საბოლოო ვერსიის დამტკიცებისას შეტანილი იქნეს მთელი რიგი ცვლილებებისა.

³⁶ ახალციხეში მონაწილეობით ბიუჯეტირების პროცესის დასაფინანსებლად გამოყენებული იქნა როგორც მოქალაქეთა ინიციატივების დასაფინანსებლად გამოყოფილი საბიუჯეტო პროგრამები, ხოლო ქუთაისისას ასახული იქნება შემდეგი წლის ბიუჯეტში,

აგრეთვე ყველა მოლაქლაქეს აქვს შესაძლებლობა VOLIS-ის საშუალებით გამოქვეყნებული საპროექტო განაცხადებთან დაკავშირებით მიაწოდოს საკუთარი მოსაზრებები და შენიშვნები.


2. საპროექტო წინადადების ტექნიკური ანალიზი

მერიის შესაბამისი სამსახურები შეისწავლიან წარდგენილ პროექტებს და მოახდენენ გადარჩევას წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით:

- ისახავდეს საზოგადოებრივი სიკეთის შექმნას;
- პროექტების უნდა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გეოგრაფიულ არეალში;
- საპროექტო განაცხადით გათვალისწინებული ღონისძიებები უნდა ექცეოდეს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში;
- საპროექტო განაცხადის ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს მონაწილეობითი ბიუჯეტირების ფარგლებში განსაზღვრულ პროექტის დაფინანსების მაქსიმალურ ოდენობას;
- იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო განაცხადის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები მოიცავს ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, ქონება უნდა იყოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.


საპროექტო განაცხადები, რომლებიც აკმაყოფილებს დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს და განაცხადით გათვალისწინებული საქმიანობა განხორციელებადია მომდევნო წლის განმავლობაში, მიზანშეწონილობის შეფასების მიზნით, გადაეცემა მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოს. ხოლო საპროექტო განაცხადი, რომელიც არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს - გამოირიცხება და მიეთითება დეტალური მიზეზი, თუ რატომ არ იქნა შერჩეული აღნიშნული პროექტი შემდეგ ეტაპზე მონაწილეობის მისაღებად.

ამ კვლევის შემუშავების მომენტისათვის³⁷ აღნიშნული მოდელმა ფუნქციონირება დაიწყო ქ. ქუთაისისა და ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტებში, სადაც მიმდინარეობდა საპროექტო წინადადებების წარდგენის ეტაპი. ახალქალაქის მაგალითზე ჩანს რომ საპროექტო ინიციატივები უმეტესწილად ეხებოდა გზების შენება-რეაბილიტაციას, რიტუალური შენობა-ნაგებობების აღდგენა-რეაბილიტაციასა და სპორტის განვითარების ხელშეწყობას.



ილუსტრაცია 10 - ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტში 2018-2019 წლის სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში შერჩეული საპროექტო ინიციატივები

ცოტა სხვა სურათია ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტში. აქ უფრო მეტი ყურადღება მიექცა კულტურის ხელშეწყობას, ქალაქის კეთილმოწყობასა და ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა/რეაბილიტაციას, რაც სრულებით ასახავს ამ მუნიციპალიტეტების წინასაგან ძირითად განმასხვავებელ ნიშან-თვისებებს ქუთაისი დიდი ურბანული კარგად განვითარებული ქალაქია, სადაც დიდი ყურადღება ექცევა კულტურის განვითარებას. თუმცა ორთავე მაგალით ასახავს იმ გარემოებასაც, რომ ამ ორ მუნიციპალიტეტის წინაშე დგას დაახლოებით ერთნაირი სახის გამოწვევები, რომელსაც მოსახლეობა ცალსახად ითხოვს რომ გადაჭრილი იქნეს.



ილუსტრაცია 11 - ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2018-2019 წლის სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში შერჩეული საპროექტო ინიციატივები

3. საპროექტო წინადადების საბოლოო ანალიზი

მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭო მერიის შესაბამისი სამსახურებთან თანამშრომლობით ახდენს პროექტების საბოლოო ანალიზს და გამოავლენს საუკეთესო განაცხადებს საჯარო ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად.

საპროექტო განაცხადების შერჩევისას ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებებს:

- პროექტის განხორციელების შემდგომი საოპერაციო ხარჯების ოდენობა;
- პროექტის შედეგის გრძელვადიანი ეფექტი;
- საპროექტო განაცხადით გათვალისწინებული საქმიანობის მუნიციპალურ პროგრამებთან კავშირი ან დუბლირება;
- საპროექტო განაცხადით გათვალისწინებულ საქმიანობის გენდერული ასპექტი.
- საპროექტო განაცხადის მიზნისა და ამოცანების მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიასთან შესაბამისობა;
- პროექტში ჩართული ან/და პროექტის შედეგებით მოსარგებლე ადამიანების რაოდენობა;
- პროექტის განხორციელების ხარჯების ოდენობა;
- პროექტის განხორციელების გეოგრაფიული არეალი.

მრჩეველთა საბჭოს მიერ საპროექტო განაცხადების შერჩევა ხდება კენჭისყრით. საპროექტო განაცხადი, რომელიც ხმის მიცემის პროცედურის საფუძველზე დააგროვებს ყველაზე მეტ ხმას, რეკომენდირებული იქნება საჯარო

ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად.³⁸

3. გადაწყვეტილების მიღების ეტაპი

მრჩეველთა საბჭოს მიერ შერჩეული საპროექტო განაცხადებიდან VOLIS-ის ელექტრონულ პლატფორმის გამოყენებით და პირდაპირი ხმის მიცემის პროცედურის საფუძველზე მოხდება მოქალაქეების მიერ შემდეგი წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პროექტების გამოვლენა.

კენჭისყრაში მონაწილეობას მიღება შეუძლია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ყველა საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეს³⁹.

საუკეთესო პროექტებს გამოსავლენად ჩატარებულ კენჭისყრის შედეგებს ამტკიცებს მერიასთან არსებული მრჩეველთა საბჭო და გადაუზღავნის მერს, რათა მან მოახდინოს მისი ინტეგრაცია შემდეგ წლის ბიუჯეტში.

5.2.2. მოდელის შეფასება

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტი VOLIS-ს შეფასებისას მთვარ სირთულეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ საქართველოში პროექტები ხორციელდება ტესტურ რეჟიმში და ჯერ არ დასრულებულა პროცედურით განსაზღვრული მთელი ციკლი. შესაბამისად, ქართული სინამდვილიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ არ ჩანს ის სირთულებები და გამოწვევები რომელიც შეიძლება დადგეს ამ მოდელის დანერგვისას.

მოდელის დადებით მხარეს წარმოადგენს შემდეგი გარემოებები:

- მოქალაქეთა მაღალი ჩართულობის უზრუნველსაყოფად პროექტში გამოიყენება როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული ფორმალური სტრუქტურა - მერიის მრჩეველთა საბჭო, ასევე კანონმდებლობის თვალსაზრისით არაფორმალური ინსტრუმენტი - მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა საყოველთაო ელექტრონული კენჭისყრა, რომლის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ინტერნეტ პლატფორმა VOLIS;
- პროექტის ფარგლებში გამოყოფილი ფინანსები არ არის მიზნული მუნიციპალიტეტის შიდა ადმინისტრაციულ ერთეულებზე, დასახლებულ პუნქტებსა და სამუშაო სფეროებზე, აგრეთვე არც კონკრეტული დასახლებაში მოსახლეობის რიცხოვნებაზე;
- თეორიულად, მოსახლეობას შეუძლია წარადგინოს სხვადასხვა თემატიკის საპროექტო წინადადებები;
- შერჩეულ საპროექტო წინადადებებთან მიმართებაში დამდგარი შედეგები ასახავს კენჭისყრის მეშვეობით მუნიციპალიტეტის მთელი მოსახლეობის აშკარად გამოხატულ ნებას და არა რომელიმე დასახლებული პუნქტისა და უბნის მოსახლეობის ანდა თემატიკის მხარდამჭერთა ინტერესებს.
- ინტერნეტ პლატფორმა VOLIS უზრუნველყოფს პროექტის განხორციელებისა და მოსახლეობის მაქსიმალურ გამჭირვალეობას და ინფორმაციასთან შეუზღუდავ წვდომას.

მოდელის სისუსტეს წარმოადგენს შემდეგი გარემოებები:

³⁸ ახალციხის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში ეს არის 3 ხოლო ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში - 10 საპროექტო წინადადება.

³⁹ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება დასაშვებია 16 წლის ასაკიდან.

- მოქალაქეთა მეტი ჩართულობისა და ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველსა-ყოფად პროექტში არ გამოიყენება⁴⁰ მოქალაქეთა ჩართულობის ფორმალური და არაფორმალური ფორმები, როგორც არის დასახლების საერთო კრება, ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (Local Action Group - LAG), სათემო ორგანიზაცია (Community Based Organization - CBO) და ბინათმფლობელთა ამხანაგობები;
- პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების დაბალი ჩართულობა;
- მოდელი არ ითვალისწინებს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესით დაგეგმილი სამუშაოების საპროექტო წინადადების ავტორის (ჯგუფის წევრების) მხრიდან შესრულებაზე კონტროლის დამატებით პროცედურებს;
- მოდელის ფარგლებში საპროექტო წინადადებისა და კენჭისყრის პროცესში მონაწილეობა შეუძლია მხოლოდ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს. სხვა ქვეყნისა ანდა სხვა მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცედურებში უშუალო ჩართულობა დასაშვები არ არის;
- მოდელი მთლიანად ეყრდნობა ინტერნეტ პლატფორმა VOLIS-ს, რაც მოითხოვს მუნიციპალიტეტის ფარგლებში ინტერნეტთან წვდომას⁴¹ და მოქალაქეებისაგან საინფორმაციო ტექნოლოგიების უნარ-ჩვევების ფლობას, აგრეთვე მიუხედავად იმისა რომ საქართველოში მაღალია მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი, სისტემა არ არის ადაპტირებული სმარტფონებზე და პლანეტებზე გამოსაყენებლად, რაც ეს ამცირებს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში მოქალაქეთა ფართო ჩართულობას⁴².
- ინტერნეტ პლატფორმა VOLIS-სის გამოყენებით სანდო და უსაფრთხო კენჭისყრის ჩატარებისათვის ამჟამად არ გამოიყენება საქართველოს მოქალაქის ელექტრონული პირადობის მოწმობაზე მიბმული ელექტრონული ხელმოწერის სისტემა. ამ უკანასკნელის გამოყენება საკმაოდ დიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული, რადგან ამჟამად არ არის ფართოდ დანერგილი ხოლო მოსახლეობაში არ არსებობს მისი გამოყენების ტრადიცია. აგრეთვე ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება გულისხმობს ტექნიკური უზრუნველყოფის (ბარათის წამკითხველების) მონტაჟისათვის დამატებითი ინვესტიციების განხორციელებას.

მოდელის ძირითად გამოწვევას წარმოადგენს შემდეგი გარემოებები:

⁴⁰ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტი VOLIS-ის განხორციელებაში ჩართული არიან არსებული საუბნო კავშირები, თუმცა მათი ფუნქცია შემოიფარგლება მხოლოდ მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში წარსადგენი საპროექტო განაცხადების წარდგენის პროცედურებისა და ვადების შესახებ ინფორმაციის გავრცელებით.

⁴¹ საქართველოში მოსახლეობის ინტერნეტთან წვდომის მაჩვენებელი ქალაქებში 81.8% შედგენს, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებულ პუნქტებში 56.2%. წყარო საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს 2017 წლის შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება მაჩვენებლები, http://geostat.ge/?action=page&p_id=2281&lang=geo

⁴² საქართველოში 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვინც გამოიყენა მობილური მოწყობილობები (მობილური ტელეფონი, ლეპტოპი, პლანშეტი და ა.შ.) უსადენო ინტერნეტთან წვდომისთვის ნებისმიერი ადგილიდან შეადგენს ქალაქებში 78.5%, სოფლებში 81.7%. წყარო საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს 2017 წლის შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება მაჩვენებლები, http://geostat.ge/?action=page&p_id=2281&lang=geo

- ინიცირებული პროექტების შესახებ მოსახლეობის სათანადო ინფორმირება;
- მოსახლეობის დაბალი ნდობა და ინდეფერენტული განწყობა;
- შერჩეული საპროექტო წინადადებების არასათანადო ხარისხით განხორციელება;
- პროექტების განხორციელებით დამდგარი შედეგის ეფექტიანი ჩვენება.

მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტს თუ შევავსებთ საზოგადოებრივი მონაწილეობის სპექტრის მიხედვით შეესაბამება „კონსულტირებას“ დონეს, ხოლო არნშტეინის მოქალაქეთა მონაწილეობის კიბის მიხედვით „გულის მოგების“ დონეს.

5.3. დასკვნები და რეკომენდაციები

მონაწილეობითი ბიუჯეტირება ძალიან ეფექტიან და მნიშვნელოვან პირდაპირი დემოკრატიის მეთოდს განეკუთვნება, საქართველოში კარგი მართველობის პრინციპების დანერგვის პროცესში და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია რომ ფართოდ დაინერგოს მონაწილეობითი ბიუჯეტირება.

მაგრამ ამ გზაზე მნიშვნელოვანი შეფასდეს თუ რომელი მეთოდი უკეთ მოერგება საქართველოში არსებულ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ გარემოს.

ნებისმიერი მოდელის ფარგლებში მნიშვნელოვანი შემდეგი ძირითადი პარამეტრის დაცვა:

- მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა
- ანგარიშვალდებულება
- სამართლიანობა
- ეფექტიანობა

თუ განვახორციელებთ საქართველოში და უცხოეთში დანერგილი მონაწილეობითი ბიუჯეტირების შედარებითი ანალიზს (იხილეთ დანართი 14) დავინახავთ შემდეგ კანონზომიერებებს:

მახასიათებლები	ქართული მოდელები	უცხოური მოდელები
მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის როგორც წარმმართველი, ასევე მაკონტროლებელ სუბიექტების ფორმირება	ფორმირება ხდება მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებისაგან	ფორმირება ხდება სამოქალაქო საზოგადოებისა და აქტიური მოქალაქეებისაგან
მუნიციპალური სტრუქტურული ერთეულების გავლენა ნებისმიერი დონის გადაწყვეტილებებზე	საშუალოზე მაღალია საწყის ეტაპზე, გადამწყვეტია საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას	მინიმუმირებულია სხვადასხვ პროცედურებისა და წესების გამოყენებით
მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობა	მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებები აისახება მხოლოდ თემატიკასა და საპროექტო წინადადებებში	მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობა უზრუნველყოფილია სპეციალური თემატური სადისკუსიო ჯგუფების საშუალებით და მათი საჭიროებები აისახება მხო-

მახასიათებლები	ქართული მოდელები	უცხოური მოდელები
		ლოდ თემატიკასა და საპროექტო წინადადებებში
გადაწყვეტილების მიღების პროცესში საჯარო შეხვედრების გამართვის ვალდებულება	სავალდებულო არ არის, თუმცა გორის მოდელში არც არის აკრძალულია.	რიგ მოდელებში სავალდებულოა, რიგში კი საბურველი. გადაწყვეტილება მიიღება მოქალაქეების მიერ დაკომპლექტებულ ჯგუფების მიერ
საპროექტო წინადადებების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები წესი	საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ან მერიის სტრუქტურული ერთეულები ანდა ფორმალიზებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო	რიგ მოდელებში წარმომადგენლობითი დემოკრატიის ორგანიზაციებს კენჭისყრით, ხოლო რიგ მოდელებში მოსახლეობა უშუალოდ კენჭს უყრის.
თანადაფინანსება ანდა საქმიანობაში ჩართულობა	არ არის განსაზღვრული არც ფინანსური არც მოსახლეობის განხორციელების საქმიანობაში ჩართულობა	უმეტესწილად წახალისებულია
წინა წელს დაგეგმილი პროექტების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების შეფასებისა ეტაპის ვალდებულება	რიგ მოდელებში სავალდებულოა, რიგში კი სასურველია	არ არის განსაზღვრული
წინა წელს მონაწილეობით ბიუჯეტირების სამუშაოების ეფექტიანობის შეფასებისა ეტაპის ვალდებულება	სავალდებულოა	არ არის განსაზღვრული

ყოველივე ზემოაღწერილი მიგვითითებს თუ რა გზით შეიძლება განვითარდეს მონაწილეობითი ბიუჯეტირების საქართველოში დანერგილი მოდელები:

- ცხადია რომ უნდა უზრუნველყოფილი იქნეს მოსახლეობის მეტი ჩართულობა მონაწილეობითი დემოკრატიის სხვადასხვა ფორმების გამოყენებით, რომლის ნაწილიც განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და სხვები კი მუნიციპალიტეტმა დამოუკიდებლად უნდა შეიმუშავოს (მაგალითად საჯარო დებატების ჩატარების წესი).
- სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფები აქტიურად უნდა ჩაერთონ ბიუჯეტირების პროცესში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რომ ახალგაზრდების ჩართულობა უზრუნველყოფილი იქნეს თემატური პრიორიტეტების განსაზღვრით და მისი შესაბამისი საპროექტო წინადადებების შემუშავებით. ამისათვის კი კარგ პრაქტიკას წარმოადგენს როდესაც პროცესში მონაწილეობის უფლება ეძლევა მაგალითად 14 წელს მიღწეულ მოქალაქეებს, ხოლო შეხვედრების და კენჭისყრა ტარდება სკოლებში;
- საჭიროებს დაფიქრებას ხომ არ იქნეს უზრუნველყოფილი მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში სხვა მუნიციპალიტეტისა ანდა სულაც

სხვა ქვეყნის მოქალაქეთა ჩართულობა, რომლებსაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფარგლებში გააჩნიათ ან დროებითი რეგისტრაცია ანდა ფლობენ უძრავ ქონებას. ამ საკითხის განხილვისას შეიძლება განხილული იქნეს როგორც მათი სრულფასოვანი მონაწილეობის საკითხი, ასევე მხოლოდ საპროექტო წინადადებების წარდგენისა და საჯარო დებატებში მონაწილეობის უფლება.

- სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რომ გადაწყვეტილების მიღების წინ მოხდეს საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის ჩატარება, სადაც მოსახლეობას მიეწოდება ინფორმაცია ბიუჯეტირების ძირითადი პრინციპების შესახებ, მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის შესახებ და მათთან ერთად შემუშავდეს თემატური პრიორიტეტები და საპროექტო წინადადებები.
- სამოქალაქო საზოგადოების მაღალი ჩართულობა და მისთვის მაკონტროლებელი ფუნქციის მინიჭება ხშირად აღიქმება როგორც პროცესების პოლიტიზაციის რისკად. თუმცა მხოლოდ ამ გზით შესაძლებელია საზოგადოებაში ეფექტიანი და ნაყოფიერი დიალოგის გამართვა, ხოლო მოსახლეობის უშუალოდ ჩართვა კი თავის მხრივ ხელს შეუწყობს საზოგადოებაში დაპირისპირებების განვლვას.
- საპროექტო წინადადებების ლეგიტიმაციის გაზრდის მიზნით უნდა შერჩეული იქნეს მოსახლეობის კენჭისყრაში უშუალოდ მონაწილეობის მისაღები ფორმები: ეს შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული სისტემების გამოყენებით, ასევე ჩვეული კენჭისყრის პროცესით, თუმცა ამ უკანასკნელის გამოყენებისას მნიშვნელოვანია, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იქნეს კენჭისყრის უზნების დასახლებული პუნქტებში გახსნა, რათა მოსახლეობას საშუალება მიეცეს ჩაერთოს ამ პროცესში.
- ანგარიშების პროცესი უქონლობა ვერ უზრუნველყოფს მონაწილეობითი ბიუჯეტირების მიმართ მოსახლეობის ნდობის გაზრდას, რადგან მათვის შეიძლება დარჩეს უცნობი თუ რა შედეგი დადგა. მით უფრო მნიშვნელოვანია საპროექტო წინადადების ავტორების ჩართვა განხორციელებული პროექტების შეფასებაში.
- კარგ პრაქტიკას წარმოადგენს კიევის სამოქალაქო ბიუჯეტის მოდელის შიგნით არსებული მიდგომა, რომელიც საშუალებას იძლევა ბიუჯეტის სხვა მუხლებიდან გამოყოფილი დამატებითი სახსრების საშუალებით დაფინანსდეს ის საპროექტო წინადადებები, რომელმაც რეიტინგულ კენჭისყრით ვერ დააგროვეს სათანადო ხმები, მაგრამ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის კეთილდღეობისათვის.
- აგრეთვე სასურველია მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტის ფარგლებში შემუშავდეს დონორების მიერ საპროექტო წინადადებების თანადაფინანსებისა და დაგეგმილი სამუშაოებში მოსახლეობის უშუალო ჩართულობის (როგორც ადგილობრივი კვალიფიცირებული და არაკვალიფიცირებული თანამშრომლები) წახალისების მექანიზმიც.

6. მონაწილეობითი ბიუჯეტირების საქართველოში დანერგვის ასპექტები

კვლევის ამ ნაწილში, საერთაშორისო და საქართველოში არსებული გამოცდილებაზე დაყრდნობით, განხილული იქნება მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელის დანერგვის ძირითადი ასპექტები რათა უკეთ მოერგოს კონკრეტული მუნიციპალიტეტის თავისებურებებს, განხილულია მოდელის შერჩევისას თუ რა მახასიათებლები და მოთხოვნები უნდა იქნეს გათვალისწინებული, ვინ არიან აქტორები, მათი უფლება-მოვალეობები, პროცედურები რომელიც უნდა იქნეს აუცილებლად შემუშავებული და სამოქმედო პრინციპები რასაც უნდა ეყრდნობოდეს თავად შერჩევის პროცესი.

6.1. მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვის სპეციფიკა

მონაწილეობითი ბიუჯეტირების კონკრეტული მოდელის დანერგვისას აუცილებელია. რომ საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, გათვალისწინებული იქნას რამდენიმე ძირითადი ფაქტორი, რომელიც ყველაზე მეტად გავლენას ახდენენ მოდელის დანერგვის ეფექტიანობაზე.

ეს ფაქტორებია:

1. მუნიციპალიტეტის ურბანული მოწყობა;
2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ზომა;
3. სამოქალაქო საზოგადოების განვითარება;

ცალკე-ცალკე ყოველი ფაქტორი და მათი კომბინაცია განსაზღვრავს თუ რა სახის პრობლემებს შეიძლება წავაწყდეთ მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვისას, რაოდენ ეფექტური იქნება თავად პროცესი და მოახლოების მხრიდან რა დონის ჩართულობას უნდა ველოდოთ.

6.1.1. მუნიციპალიტეტის ურბანული მოწყობა.

საქართველოს ტერიტორიული მოწყობის სისტემიდან გამომდინარე სულ 76 მუნიციპალიტეტი⁴³. აქედან 71 თვითმმართველი თემია, ხოლო 5 თვითმმართველი ქალაქი.⁴⁴ და ამ ორ ფორმას შორის იურიდიული და უფლებამოსილების თვალსაზრისით განსხვავება არ არსებობს. ყველაზე დიდი მუნიციპალიტეტია დედაქალაქი თბილისი. შესაბამისად გამოყოფენ სამი ტიპის მუნიციპალიტეტს:

1. ქალაქის ტიპის მუნიციპალიტეტი.

ქალაქის ტიპის მუნიციპალიტეტებში (თვითმმართველი ქალაქებში) მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვისას მოდელის მთავრ გამოწვევა წარმოადგენს:

- მცირე ტერიტორიაზე მოსახლეობის მაღალი კონცენტრაცია;
- ქალაქის რაიონებში, უბნებში და სამეზობლოს ფარგლებშიც მოსახლეობის ნაკლები თვითორგანიზაცია და კომუნიკაციის დაბალი დონე;
- მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებისადმი ნიჰილისტური განწყობა;
- მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმირებულობის დაბალი დონე;

⁴³ მუნიციპალიტეტების წარმოდგენილ რიცხვში არ შედის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და შიდა ქართლის მხარეში არსებულ 4 ოკუპირებული მუნიციპალიტეტი: ახალგორის, თიღვის, ერედვისა და ქურთის მუნიციპალიტეტები.

⁴⁴ მუნიციპალიტეტების რეესტრი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საიტი, 2016 წ. <https://napr.gov.ge/p/722>

- საზოგადოების პოლიტიზირების მაღალი დონე;
- ქალაქის ტიპის დასახლებაში ბევრია იმ მოქალაქეების ოდენობა, რომელიც არ არის ამ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩეველი, რაც წარმოქმნის კითხვას - უნდა მიეცეთ თუ არა ამ მოქალაქეებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა.
- დიდი და ძვირადღირებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების საჭიროება.

ამ თითოეული გამოწვევისა და მათი კომბინაცია წარმოაქმნის ლოგისტიკურ პრობლემებს, ართულებს სამიზნე ჯგუფებთან ინფორმაციის მიტანას და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ფართე მასების ჩართვას.

ქალაქის ტიპის მუნიციპალიტეტებში (თვითმმართველი ქალაქებში) მონაწილეობითი ბიუჯეტების დანერგვისას ძლიერ მხარეს წარმოადგენს შემდეგი გარემოებები:

- შედარებით მაღალი მოქალაქეთა სწრაფვა დემოკრატიული მმართველობისაკენ;
- საკამოდ განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც ადგილობრივ დონის პრობლემების გადაწყვეტის საქმეში მნიშვნელოვანი აქტორს წარმოადგენს;
- დიდი ოდენობისა და ნაკლებად დეფიციტური მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;
- მმართველობის სფეროში ახალი ინიციატივებისა და ინოვაციური მეთოდების დანერგვისკენ უფრო მიდრეკილი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა;
- კარგად განვითარებული თანამედროვე ციფრული და საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა, დაფუძნებული მოსახლეობის კომპიუტერული მაღალი წიგნიერებაზე.

აღნიშნული უპირატესობები შეიძლება ეფექტიანად იქნეს გამოყენებული ელექტრონული მართველობის (eGovernment) ინსტრუმენტების გამოყენებითა და სამოქალაქო და ინტერესთა აქტიური ჯგუფების ჩართულობით მონაწილეობითი ბიუჯეტების კონკრეტული მოდელის დანერგვისთვის.

ასეთი ტიპის მუნიციპალიტეტებს წარმოადგენენ თვითმმართველი ქალაქები: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი და ბათუმი.

2. სოფლის ტიპის მუნიციპალიტეტი.

სოფლის ტიპის მუნიციპალიტეტებში (თვითმმართველი თემში) მონაწილეობითი ბიუჯეტების დანერგვისას მოდელის მთავრ გამოწვევა წარმოადგენს:

- მოქალაქეთა კონსერვატიულობითა და სიახლეებისადმი უფრო მაღალი რეზისტენტულობით;
- მიმდინარე პროცესებისადმი ერთდროულად ნიჰილისტური განწყობითა და მაღალი პოლიტიზირების დონით;
- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლების დაბალი დონითა და ცენტრალური ბიუჯეტიდან მიზნობრივი და გათანაბრებითი ტრანსფერტებზე ძლიერი დამოკიდებულებით;
- მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონით;
- სოფლის ტიპის დასახლებაში ბევრია იმ ამომრჩევლების ოდენობა, რომელიც გადავიდნენ საცხოვრებლად საქართველოს სხვა რეგიონებში, აგრეთვე ვინც დროებით თუ მუდმივად წასულები არიან საცხოვრებლად უცხოეთში.

სოფლის ტიპის დასახლებებში მონაწილეობითი ბიუჯეტების დანერგვისას

ძლიერ მხარეს წარმოადგენს შემდეგი გარემოებები:

- შედარებით მაღალია უბნებსა და თემს შიდა მოქალაქეთა თვითორგანიზაციების ბულობა;
- ნათესაურ კავშირებზე დაფუძნებული მაღალი კომუნიკაციის დონე;
- თემში ისტორიულად ჩამოყალიბებულ ქცევის არქეტიპებზე დაფუძნებული საერთო საქმეში მაცხოვრებელთა ჩართულობის მაღალი დონე;
- მცირე ინვესტიციებით თვალსაჩინო შედეგების მიღწევის შესაძლებლობა;
- დიდი და ძვირადღირებული ინფრასტრუქტურული პროექტების ნაკლები საჭიროება.

აღნიშნული უპირატესობები შეიძლება ეფექტიანად იქნეს გამოყენებული პირდაპირი კომუნიკაციების ინსტრუმენტების გამოყენებითა და სათემო ფორმალიზებული და არაფორმალიზებული ჯგუფების ჩართულობით მონაწილეობითი ბიუჯეტირების კონკრეტული მოდელის დანერგვისთვის.

ასეთი ტიპის მუნიციპალიტეტებს წარმოადგენენ მცირე ზომის თვითმმართველი თემები, როგორცაა თიანეთი, ყაზბეგი, ნინოწმინდა, ჩხოროწყუ და სხვა.

3. შერეული ტიპის მუნიციპალიტეტი

შერეული ტიპის მუნიციპალიტეტი ერთდროულად ხასიათდება როგორც ქალაქისა, აგრეთვე სოფლის ტიპების მუნიციპალიტეტებისათვის დამახასიათებელი პრობლემებითა და დადებითი მხარებით. ამგვარ მუნიციპალიტეტებში როგორც წესი, ქალაქის ტიპის მუნიციპალიტეტის მახასიათებლებს ატარებს მუნიციპალიტეტის ცენტრი (ქალაქი ან დაბა), ხოლო სხვა დასახლებული პუნქტები კი შეესაბამება სოფლის ტიპისას. შესაბამისად მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვისას უნდა გათვალისწინებული იქნას აღნიშნული გარემოებები და შეირჩეს შესაბამისი მოდელი.

ასეთი ტიპის მუნიციპალიტეტებს წარმოადგენენ თვითმმართველი თემები, როგორცაა ზუგდიდი, მარნეული, ხაშური, გორი, სამტრედია და სხვა.

6.1.2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ზომა

საბიუჯეტო შემოსავლების ოდენობიდან გამომდინარე საქართველოში შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ტიპის მუნიციპალიტეტები:

1. დოტაციური მუნიციპალური ერთეულები

საქართველოს რიგი მუნიციპალიტეტები თავის კომპეტენციების განხორციელებისას განიცდიან საბიუჯეტო შემოსავლების სიმცირეს და წარმოადგენენ დოტაციურ მუნიციპალურ ერთეულებს.

ერთის მხრივ მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები არის მცირე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მსხვილი ეკონომიკური აგენტების სიმცირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საგადასახადო პოლიტიკის გამო. ამასთანავე, მათი ბიუჯეტის უდიდესი ნაწილის ფორმირება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გათანაბრებითი და მიზნობრივი ტრანსფერებით მიღებული ფინანსური სახსრებით. ყოველივე ამის გამო მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის წარმართვისათვის საჭირო ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა ძალზედ დაბალია.

მეორეს მხრივ, ზუსტადაც ამგვარი გარემოება უნდა უზიძვებდეს მუნიციპალი-

ტეტის ხელმძღვანელობას საქმიანობის და ფინანსების შედეგზე ორიენტირებულ და ეფექტიან გეგმარებისაკენ. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესი შეუძლება დაეხმაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას უკეთ გამოავლინოს პრიორიტეტები და მიმართოს თავისი მწირი რესურსები ყველაზე უფრო მწვავე პრობლემების გადაწყვეტაზე.

დოტაციურ მუნიციპალურ ერთეულების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მონაწილეობითი ბიუჯეტირების ის მოდელი რომელიც უკეთ არის მორგებული თემატურ (მაგალითად: სოციალური, ახალგაზრდების, გენდერის, მოწყვლადი ჯგუფების) საკითხების გადაწყვეტაზე.

ასეთი ტიპის მუნიციპალიტეტებს წარმოადგენენ თვითმმართველი თემები, როგორცაა წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ნინოწმინდა და სხვა.

2. ნაკლებად დოტაციური ანდა არადოტაციური მუნიციპალური ერთეულები;

საქართველოს რიგი მუნიციპალიტეტებისა არ განიცდიან საბიუჯეტო შემოსავლების სიმცირეს. როგორც წესი ეს არის ქალაქის ტიპის დიდი ურბანული დასახლებების მქონე მუნიციპალიტეტები.

მუნიციპალიტეტში არსებული ეკონომიკური აგენტებისა (მათ შორის მსხვილის) და ადგილობრივი მოსაკრებლებით მიღებული შემოსავლები საშუალებას იძლევა, რათა ეფექტურად განახორციელონ მოსახლეობისათვის საჯარო სერვისების მიწოდება, მიმართონ ინფრასტრუქტურულ, სოციალური, კულტურული და სხვა სახის პროექტების დაფინანსებაზე.

შედეგად, მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის წარმართვისას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას გააჩნია საშუალება თამამად გამოეყოს სოლიდური ფინანსური რესურსები და ხელი შეუწყოს გადანაწილების პროცესში მოსახლეობის ჩართულობა.

მეორეს მხრივ, რესურსებისადმი წვდომამ შეიძლება უზიდავოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას რათა დამოუკიდებლად, მოსახლეობის ჩართულობის გარეშე, განსაზღვროს ფინანსების გადანაწილების პრიორიტეტები და მიმართოს რესურსები იმგვარ პროექტებზე რომელთა განხორციელებას მოსახლეობა არამართო არ უჭერს მხარს, არამედ ეწინააღმდეგება კიდევ.

ასეთი ტიპის მუნიციპალიტეტებს წარმოადგენენ თვითმმართველი ქალაქები თბილისი, ფოთი, ბათუმი, თვითმმართველი თემები, როგორცაა მარნეული, ბოლნისი, ყაზბეგი და სხვა.

6.1.3. სამოქალაქო საზოგადოების განვითარება

სამოქალაქო საზოგადოების (არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს ასოციაციები, პროფესიული კავშირები, მოქალაქეთა ორგანიზებული ჯგუფები და სხვა) განვითარების დონით საქართველოში შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ტიპის მუნიციპალიტეტები:

1. მაღალი განვითარების მქონე სამოქალაქო საზოგადოების მქონე მუნიციპალიტეტები

საქართველოს რიგი მუნიციპალიტეტებში სამოქალაქო საზოგადოება ძალიან კარგად არის განვითარებული. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს გააჩნიათ გავლენა მუნიციპალურ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პრო-

ცესზე, აქტიურად თანამშრომლობენ როგორც მოსახლეობასთან, ასევე ადგილობრივ ხელისუფლებასთან, გააჩნიათ ადგილობრივ დონეზე ქსელები და გარე კავშირები; მოსახლეობაში სარგებლობენ მაღალი ავტორიტეტითა და ნდობით. აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოებას გააჩნია მზაობა და ხშირად რესურსებიც, რათა აქტიურად ხელი შეუწყოს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესს, დაეხმაროს მუნიციპალიტეტს ინფორმაციული და საგანმანათლებლო კამპანიების წარმართვაში.

მეორეს მხრივ, არის საშიშროება რომ ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების შემთხვევაში, რიგი აქტიური ორგანიზაციები, შეეცდებიან მოიპოვონ გავლენა მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესზე. ამ რისკის შემცირება შესაძლებელია შეირჩეს მონაწილეობითი ბიუჯეტირების იმგვარი ფორმა რომელიც უზრუნველყოფს ერთის მხრივ სამოქალაქო საზოგადოების მაღალ ჩართულობას, და მეორეს მხრივ გადაფარავს თანმდევ რისკებს.

ასეთი ტიპის მუნიციპალიტეტებს წარმოადგენენ თვითმმართველი ქალაქები, როგორცაა თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ოზურგეთი და სხვა.

2. ნაკლებად განვითარების მქონე სამოქალაქო საზოგადოების მქონე მუნიციპალიტეტები

საქართველოს იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც დაბალია სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ფაქტობრივად კარგავს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში ქმედით პარტნიორს. შესაბამისად იძულებული იქნება გადაიტანოს თავის მხრებზე პროცესის ფარგლებში არსებული ლოგისტიკური და საინფორმაციო უზრუნველყოფის მთელი დატვირთვა. აგრეთვე გარე მაკონტროლებელს, რომელიც მიუთითებს პროცესი ფარგლებში წარმოქმნილ პრობლემებზე და ერთობლივად შეეძლებოდა მათ აღმოფხვრას. შესაბამისად უნდა შეირჩეს მონაწილეობითი ბიუჯეტირების იმგვარი ფორმა, სადაც განსაზღვრულია სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის დაბალი ან საშუალო დონე

მეორეს მხრივ, ზუსტადაც ამ სიტუაციაში სწორედ შერჩეული მოდელის ფარგლებში მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესმა შეიძება ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტში ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, მახდინოს თემატური ჯგუფების (მოწყვლადი ჯგუფების ხელშეწყობა, შშმ პირების ხელშეწყობა, ახალგაზრდობა, ხანდაზმულები, კულტურა, სპორტი, და სხვა) ფორმალური დონეზე ჩამოყალიბება და პროცესის შიგნით შესძინოს ცოდნა, გამოცდილება და ავტორიტეტი.

ასეთი ტიპის მუნიციპალიტეტებს წარმოადგენენ თვითმმართველი თემები, როგორცაა წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ნინოწმინდა და სხვა.

6.2. მონაწილეობითი ბიუჯეტირების სამოქმედო პრინციპები და მოთხოვნები

მონაწილეობითი ბიუჯეტის ნებისმიერი მოდელი უნდა ეყრდნობოდეს შემდეგ სამოქმედო პრინციპებს:

1. მოდელის შემუშავებისას და პროცედურების განხორციელებისას უნდა დაცული იქნეს კარგი მართველობის პრინციპები (იხილე დანართი 3);

2. მოდელის ყველა პროცედურა უნდა ეყრდნობოდეს ე.წ. PDCA ციკლს (დემინგის ციკლს)⁴⁵: დაგეგმე (Plan), შეასრულე (Do), შეამოწმე (Check) და იმოქმედეთ (Act). აღნიშნული ციკლი უზრუნველყოფს პროცედურული მართვის სისტემას ეფექტიანობას და შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობის მოთხოვნებთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემოწმებისა და მოქმედების ფაზები, რომლის ფარგლებშიც უნდა შეფასდეს როგორც საპროექტო წინადადებების განხორციელების შედეგად დამდგარი შედეგები, ასევე თავად მოდელისა და მისი პროცედურების ეფექტიანობა და შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან;
3. ჩამოყალიბებული პროცედურები უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტული მუნიციპალიტეტის კონტექსტს და გეოგრაფიულ თავისებურებებს. მათ შორის: მუნიციპალიტეტის ურბანულ მოწყობას, ბიუჯეტის ზომასა და სამოქალაქო საზოგადოები ჩართულობას;
4. დაგეგმვის ეტაპზე ცალსახად უნდა განკვეთილი იქნეს მოდელის მოქმედი აქტორები და მკაფიოდ განისაზღვროს მათი უფლება-მოსილებები. ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ მოდელში ყველა პროცეს გააჩნდეს თავისი განმახორციელებელი/პასუხისმგებელი. ასევე იყოს ერთი დამოუკიდებელი მოსახლეობის წარმომადგენლებისაგან შემდგარი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს თავად პროცესების შემუშავებას, მისი მონიტორინგსა და შეფასებას.;
5. მაქსიმალურად უნდა გამოყენებული იქნეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და დამატებით მოქალაქეთა ჩართულობის ფორმები (იხილეთ: თავი 4). თუ ჩაითვლება რომ არსებული ფორმები არასაკმარისად ეფექტიანად უზრუნველყოფს მოსახლეობის ჩართულობას პროცესებში, საქართველოს კანონმდებლობა იძლევა საშუალებას შემუშავებული იქნეს ალტერნატიული ფორმები, რომელიც უკეთ მოერგება კონკრეტული მუნიციპალიტეტის მახასიათებლებს.

6.3. მონაწილეობითი ბიუჯეტირების სავარაუდო მოდელები

თუ მოვახდენთ საერთაშორისო და საქართველოში არსებული მონაწილეობითი ბიუჯეტების სფეროში არსებული გამოცდილებისა და ტიპოლოგიების უნიფიკაციას შედეგად მივიღებთ სამ ტიპის მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელებს:

1. სათემო ტიპის მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელი

ამ ტიპის მოდელის პროცედურები ორიენტირებულია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მცირე ჯგუფების მაღალი ჩართულობაზე, რისთვისაც მუნიციპალიტეტის ტერიტორია დაიყოფა მცირე ზომის სამოქმედო არეებად (ზონებად). ეს არეები, როგორც წესი, ემთხვევა ან არსებულ ადმინისტრაციულ დაყოფას, ანდა ისტორიულად ჩამოყალიბებულ თემების საზღვრებს.

თუმცა, თუ აგრეთვე მნიშვნელოვანია რომ მოდელში გათვალისწინებული იქნეს მოწყვლადი ჯგუფების (სოციალურად დაუცველები, დევნილები, ახალგაზრდობა, ქალები, ხანდაზმულები, შშმ პირები და სხვა) ჩართულობაც. რაც უფრო მეტი ამგვარი მცირე ჯგუფი იქნება ჩართული გადაწყვეტილების შემუშავებისა და მიღების პროცესებში, მით უფრო ეფექტიანად და მრავალფეროვან პროექტებზე დაიხარჯება გამოყოფილი ფული.

⁴⁵ PDCA, Wikipedia, 2018, <https://en.wikipedia.org/wiki/PDCA>

მონაწილეობითი ბიუჯეტირების სათემო ტიპის მოდელს ახასიათებს შემდეგი ძირითადი მახასიათებლები:

- მოდელი უფრო მეტად ფოკუსირებული არის ლოკალურ, კონკრეტული დასახლებული პუნქტისა და თემი პრობლემების გადაწყვეტაზე და საპროექტო წინადადებები მეტწილად მიმართულია ინფრასტრუქტურის ლოკალურად აშენების/განახლებაზე.
- გართულებულია ინტერზონალური და სუბზონალური საპროექტო წინადადებების შემუშავება, განხილვა და კენჭისყრა;
- უფრო რთულია ისეთი საპროექტო წინადადებების შერჩევა, რომელიც მიმართული იქნება მთლიანად მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრაზე.

მოდელის აგრეთვე ერთ-ერთ სუსტ მხარეს წარმოადგენს მაღალი ლოგისტიკური და ორგანიზაციული ძალისხმევა და ადამიანური რესურსების ხელმისაწვდომობა, თუმცა აღნიშნული საკითხები შეიძლება დარეგულირდეს ზონის სიდიდისა და დაგეგმილი სამუშაოთა ოპტიმიზაციითა, აგრეთვე სხვადასხვა სუბიექტებისაგან (დონორებისაგან, არასამთავრობო და ჰუმანიტარული ორგანიზაციებისაგან, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ადგილობრივი ბიზნეს სტრუქტურებისაგან) დამატებითი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების მოზიდვით.

მოდელის სისუსტეების დაძლევა შესაძლებელია გარკვეული ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტების (მაგალითად: გზების მოხრეშვა, გარე განათება, კანალიზაცია და წყალმომარაგება და ა.შ.) მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბიუჯეტო მუხლიდან გამორიცხვით და მათი სხვა საბიუჯეტო მუხლებში გადატანის გზითაც. ამით მიღწევა ინოვაციური, სოციალურ-კულტურული და მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე მეტი ფოკუსირება.

2. თემატური ტიპის მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელის პროცედურები

თემატური მოდელის ფარგლებში ყველა საპროექტო წინადადება უნდა შეესაბამებოდეს წინასწარ მკაცრად განსაზღვრული თემატიკას, მათ შორის: კულტურა და ხელოვნება, სპორტი, სოციალური დახმარებები და შემწეობები, ახალგაზრდობისა და ხანდაზმული მოსახლეობის ხელშეწყობა, ბაგა-ბაღების, სასკოლო მზაობისა და არაფორმალური განათლების სისტემის განვითარება, ზრდასრულთა გარკვეული უნარ-ჩვევების (უცხო ენები, კომპიუტერი და სხვა) განვითარება და კიდევ სხვა თემები.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების თემატური ტიპის მოდელს ახასიათებს შემდეგი ძირითადი მახასიათებლები:

- მოდელი უფრო მეტად ფოკუსირებული არის მუნიციპალური დონის პრობლემების გადაწყვეტაზე, რომლის საშუალებითაც მუნიციპალიტეტის მთელ მოსახლეობას მიეწოდება სერვისები. ამავდროულად, აგრეთვე შეიძლება განხორციელდეს პროექტები კონკრეტული დასახლებული პუნქტის ფარგლებშიც, ოღონდ ამ შემთხვევაში სარგებელი უნდა მიიღოს მთელმა მუნიციპალიტეტმა და არა მხოლოდ ლოკალურად მცხოვრებმა მოქალაქეებმა;
- რიგ შემთხვევებში სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი აღნიშნული მოდელი

გამორიცხავს ისეთი ინფრასტრუქტურული ტიპის საპროექტო წინადადებების განხორციელებას, რომელიც მიმართულია მხოლოდ ერთი ტერიტორიულ ერთეულისათვის სარგებლის მიწოდებაზე.

ამ მოდელის ერთ-ერთ სუსტ მხარეს წარმოადგენს მოსახლეობის ნაკლები მზაობა, რათა აქტიურად ჩაერთოს მუნიციპალური დონის პრობლემის გადაჭრის პროცესში. აქედან კი გამომდინარეობს საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის მნიშვნელობაც. მხოლოდ კარგად ორგანიზებული და აქტიური კამპანია უზრუნველყოფს მოსახლეობის მაღალ ჩართულობას.

ამ მოდელის ფარგლებში ძალიან მნიშვნელოვან სუბიექტს წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოება. მისი როლი მით მნიშვნელოვანია, რაც უფრო დიდია ბიუჯეტის ზომა. სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წევრების ჩართულობით მოდელის პროცედურების შემუშავებისა და პროცესების კონტროლის საქმეში მხოლოდ დადებით გავლენას იქონიებს მოდელის ეფექტიანობაზე.

თუმცა, იმ შემთხვევაში როცა სამოქალაქო საზოგადოება სუსტია და არ იჩენს სათანადო დონეზე პროცესებში ჩართულობის მზაობას, გადამწყვეტ როლს იძენს მუნიციპალური სტრუქტურული ერთეულების ეფექტური მუშაობა, რაც უზრუნველყოფს პროცესის წინასწარ განსაზღვრული პროცედურებისა და წესების აღსრულებას და ფინანსების ყაირათიან ხარჯვას. თუმცა, ამ შემთხვევაში სუსტდება მოქალაქეთა გავლენა საბოლოო გადაწყვეტილებაზე გავლენა და არასწორად წარმართვის შემთხვევაში შეიძლება დაემსგავსოს მონაწილეობითი ბიუჯეტირების იმიტაციას. აღნიშნული გარემოება ბიუჯეტირების შემდეგი ციკლის ფარგლებში კიდევ უფრო დიდი დე-მოტივატორი იქნება, რის გამოც შესაძლებელი იქნება მოსახლეობის პასიურობაც. ამ შემთხვევაში კი ყველა პროცესების მხოლოდ მაქსიმალური ღიაობა უზრუნველყოფს მოდელის ეფექტიან განხორციელებას.

3. შერეული ტიპის მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელების პროცედურები

შერეული ტიპის მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელი წარმოადგენს წინა ორი მოდელის კომპილაციას: მოდელის ფარგლებში დასაშვებია როგორც სათემო, ასევე თემატური საპროექტო წინადადებების განხილვა და კენჭისყრა. აქედან გამომდინარე თავიდანვე უნდა იქნეს განსაზღვრული მონაწილეობითი ბიუჯეტირების ბიუჯეტის რა ნაწილი იქნება მიმართული სათემო და რა ნაწილი კი თემატურ საპროექტო წინადადებებზე. ეს თანაფარდობა შეიძლება წლიდან-წლამდე იცვლებოდეს, ისევე როგორც იცვლებოდეს თემატიკაც პრიორიტეტულობაც.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების შერეული ტიპის მოდელს ახასიათებს შემდეგი ძირითადი მახასიათებლები:

- მოდელი ფოკუსირებულია, როგორც ლოკალური, ერთი კონკრეტული დასახლებული პუნქტისა თუ თემის პრობლემების გადაჭრაზე, ასევე მთლიანად მუნიციპალიტეტის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტების შემუშავებაზე;
- მოდელის ძირითად აქტიორი უნდა გახდეს სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წარმომდგენლები, რომელებისაგანაც ჩამოყალიბდება როგორც განმხორციელებელი, ასევე მარეგულირებელი და მაკონტროლებელი ფორმალური ორგანოები.
- მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულები პროცესებში ჩართული


არიან როგორც დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელი აქტორებად, რომელიც უზრუნველყოფს საპროექტო წინადადების ტექნიკური და აზრობრივ ექსპერტიზისა და ლოგისტიკურ უზრუნველყოფას.

როგორც აჩვენებს პრაქტიკა შერეული მოდელის ფარგლებში მოსახლეობის ჩართულობა მაღალია, რადგან სოციალურად აქტიურ ადამიანს შეუძლია ჩართოს ბიუჯეტირების პროცესში მისთვის ყველაზე მოსახერხებელ ამპლუაში (მაგალითად ან მაკონტროლებელ, ან ორგანიზაციულ, ანდა საპროექტო წინადადების შემმუშავებელ ჯგუფში). შედეგად, პროცესების სწორედ წარმართვის შემთხვევაში, მაღალია მოსახლეობის მზაობა პროცესებში ჩართულობაზე და ნდობა თავად დამდგარი შედეგებისადმი.

მიუხედავად ამისა აღნიშნულ მოდელში მოსახლეობისაგან ფორმირებული სუბიექტების გავლენა საბოლოო გადაწყვეტილებაზე დაბალია, რადგან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ბიუჯეტის შემუშავებაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის მერი/გამგებელი, ხოლო ამტკიცებს საკრებულო, ამიტომ მათ რელურად გააჩნიათ ბერკეტები, რათა გავლენა მოახდინონ საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

6.4. მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელის შერჩევის პროცედურა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელის შერჩევისას უნდა გათვალისწინებული იქნეს კონკრეტული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სოციალურ-კულტურული და გეოგრაფიული თავისებურებები.



ილუსტრაცია 12 - მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელის შერჩევისას ლოგიკური სქემა

ამ პროცესის ფარგლებში უნდა განხილული იქნეს რამდენიმე ძირითადი საკითხი და მიღებული ანალიზის საფუძველზე მოხდეს მუნიციპალიტეტზე მორგებული მოდელის შერჩევა.

1. **შემდეგ საბიუჯეტო წელს მუნიციპალიტეტის მიერ მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის დაფინანსების მოცულობა**

ხელმისაწვდომი ფინანსების ოდენობა განსაზღვრავს შემდეგ საბიუჯეტო

წელს საპროექტო წინადადებების განხორციელებაზე აუცილებელ ფინანსურ მოცულობას, აგრეთვე შემუშავების სტადიაში საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობისა და საპროექტო წინადადების შემუშავებისათვის საჭირო სამუშაოთა მოცულობას.

ანალიზის შედეგად მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის დაფინანსების მოცულობის ამსახველი სავარაუდო პასუხებია „მცირე“ და „დიდი“, რომლის შემდეგ დამატებითი კითხვებით განისაზღვრება სასურველი მოდელი. გაცემული პასუხები თავის მხრივ განსაზღვრავენ შემდგომ კითხვებს: პასუხი „დაბალის“ შემთხვევაში გადადიხართ საკითხ #2-ზე, ხოლო „დიდის“ შემთხვევაში კი საკითხ #3-ზე, თუმცა საბოლოო ჯამში მნიშვნელოვანი რომ სამივე კითხვაზე იქნეს გაცემული პასუხი.

როგორც საქართველოსი და საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, მონაწილეობითი ბიუჯეტის იმ მოდელებში, სადაც გამოიყოფა მცირე ფინანსური რესურსები ვერ იქნა მიღწეული დასახულ მიზანი - მოსახელობის მაქსიმალურ ჩართულობა. ამავდროულად, იმ მოდელებში სადაც ხელმისაწვდომია დიდი ოდენობის ფინანსური რესურსები, საჭიროებს მეტ ყურადღებასა და გარე კონტროლს.

ამიტომაც, მნიშვნელოვანია რომ მოდელის შერჩევას თავიდანვე იყოს განსაზღვრული თუ რა სავარაუდო ფინანსურ რესურსები იქნება ხელმისაწვდომი. დამატებით მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესისათვის უნდა იქნეს გამოყოფილი საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიისა და სხვა ლოგისტიკური სახის ხარჯების დასაფინანსებლად სათანადო თანხებიც. თუმცა, ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ შემდეგი წლის ბიუჯეტირების ციკლში დაუშვებელია ფინანსების ოდენობის ცვლილება. ამავდროულად მნიშვნელოვანია, რომ საჭიროა განხორციელდეს სულ მცირე ბიუჯეტირების 3 ციკლი, რათა შესაძლებელი იყოს როგორც თავად მოდელის, ასევე განსახორციელებელი სამუშაოთა ეფექტიანების შეფასება.

2. მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების ტიპი

როგორც კვლევის მუხლ 6.1.1-ში მითითებულია, რომ მუნიციპალიტეტს ურბანისტული განვითარების ტიპი ასახავს მოდელის დანერგვის დროს წარმოქმნილ ლოგისტიკურ პრობლემებს, სამიზნე ჯგუფებთან ინფორმაციის მიტანას და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ფართე მასების ჩართვის სირთულეებს.

ანალიზის შედეგად მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების ამსახველი სავარაუდო პასუხებია „სასოფლო ტიპის“, „ქალაქის ტიპის“ და „შერეული ტიპის“.

როგორც აჩვენებს საქართველოსი და საერთაშორისო პრაქტიკა, მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელზე ძალიან დიდ გავლენას ახდენს ურბანული განვითარების ტიპი. ის რაც ადვილად შეიძლება იქნეს მიღწეული ქალაქის ტიპის დასახლებაში, ძალიან დიდი ლოგისტიკურ ადამიანურ და ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული რთული რელიეფის მქონე (და არამარტო) სასოფლო ტიპის მუნიციპალიტეტებში, რაც პირდაპირ მოდელის ეფექტიანობას განსაზღვრავს:

- უმეტეს შემთხვევებში სოფლისა და შერეული ტიპის მუნიციპალიტეტებში, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, უფრო მარტივი იქნება რათა

დაინერგოს ისეთი მონაწილეობითი ბიუჯეტირების ისეთი მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს ისტორიულად არსებული თემებისა და მცირე ზომის დასახლებული პუნქტების მოსახლეობის მაღალი ჩართულობას. ამას განაპირობებს თემის შიგნით არსებული ნათესაური და სანაცნობო მჭიდრო კავშირები, თემში ისტორიულად ჩამოყალიბებული და სხვადასხვა მუნიციპალური თუ დონორ ორგანიზაციების ძალისხმევით განხორციელებული სათემო მობილიზაციის პროექტების ფარგლებში დაგროვილი გამოცდილება. აგრეთვე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის სტანდარტული ფორმები (დასახლების საერთო კრება, მერთან/გამგებელთან შეხვედრები და პეტიცია) უკეთ არის მორგებული მცირე დასახლებული პუნქტებისა და თემების სპეციფიკაზე და მათი გამოყენება აქტიურად ხდება მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მიერ.

- ქალაქის ტიპის დასახლებებში ნაკლებია მოსახლეობას შორის მჭიდრო სოციალური ქსელები და კავშირები, ამიტომაც მნიშვნელოვანია, რათა პროცესში მაქსიმალურად ჩართული იყოს სამოქალაქო საზოგადოება.

მოდელის ტიპის დადგენისას, ამ საკითხთან ერთად აგრეთვე უნდა გაანალიზდეს მე-3 საკითხიც, რადგან ისინი გარკვეულწილად დაკავშირებულიც არიან და უზრუნველყოფენ უფრო სრულ ანალიზს.

3. სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონე

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონის ანალიზი მნიშვნელოვანია ისეთი მოდელის შესარჩევად, რომელიც განკუთვნილია მაღალი საბიუჯეტო დაფინანსებისა ან/და ქალაქის ტიპის ურბანულ დასახლებებში. ამ მოდელებში სამოქალაქო საზოგადოება ჩართული არის როგორც პროცესების მონიტორინგის, ასევე საინფორმაციო-საგანმანათლებლო კომპანიების განმახორციელებელი სუბიექტად. ამასთანავე, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წარმომადგენლები ფლობენ საპროექტო წინადადებების შემუშავებისა უნარ-ჩვევებსა და პერფექტული ტიპის სამუშაოების განხორციელების გამოცდილებაც.

ანალიზის შედეგად, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონე სავარაუდოდ პასუხებია „მაღალი“ და „დაბალი“.

როგორც აჩვენებს საქართველოსი და საერთაშორისო პრაქტიკა მონაწილეობითი ბიუჯეტის ის მოდელი, სადაც განვითარებულია სამოქალაქო საზოგადოება, მოქალაქეთა ჩართულობაც მაღალი არის, ხოლო პროექტების განხორციელება ეფექტიანია და საჯარო ფინანსების ხარჯვა კი ყაირათიანი. ასეთი მოდელები წარმოადგენენ მონაწილეობით ბიუჯეტირების შერეული ტიპის, სადაც საპროექტო წინადადებები შეესაბამებიან როგორც თემატურ, ასევე სათემო ტიპის პროცესებს, რაც უზრუნველყოფს დაბალ რისკებს.

ამავე დროს, მიუხედავად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი სიდიდისა ანდა მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარებისა, თუ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონე დაბალია, ლოგისტიკურ რისკების მინიმიზაციისათვის, საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ სასურველია შერჩეული იქნეს მხოლოდ მონაწილეობითი ბიუჯეტირების თემატური მოდელები. ასეთი მოდელის ფარგლებში პროცესები უფრო მარტივი სამართავია, ხოლო გა-

დაწვეტილების მისაღებად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს პირდაპირი დემოკრატიის მეთოდები (მაგალითად მუნიციპალური კენჭისყრა, მათ შორის ელექტრონული სისტემების გამოყენებითაც).

ამავდროულად, გასათვალისწინებელია ისიც რომ, რაც ადვილად შეიძლება იქნეს მიღწეული ქალაქის ტიპის დასახლებაში, ძალიან დიდი ლოგისტიკურ ადამიანურ და ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული სასოფლო და შერეული ტიპის მუნიციპალიტეტების შემთხვევაში, რაც პირდაპირ მოდელის ეფექტიანობას განსაზღვრავს.

4. ინტერნეტ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების დონე

ამ ბოლო დროს საჯარო მმართველობაში ფართო გავრცელება ჰპოვა ინტერნეტ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებამ. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ამ ტექნოლოგიების ეფექტური დანერგვა შესაძლებელია ზუსტადაც მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესებში, რადგან საშუალებას იძლევა მუნიციპალურ მმართველობაში პირდაპირი დემოკრატიის მოდელის დანერგვას.

თავისი არსით, ამ ტექნოლოგიების გამოყენება არ განსაზღვრავს მოდელის ტიპს და წარმოადგენს მხოლოდ მოდელის ფარგლებში გამოყენებულ ერთ-ერთ ინსტრუმენტს. თუმცა თუ გადაწყდება მისი დანერგვა, საჭირო გახდება სამუშაო პროცედურების იმგვარი ცვლილება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს თავად მოდელის ცვლილებაც. ამიტომაც, აუცილებელია შერჩევის პროცესში ამ ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობის განხილვაც.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესებში ინტერნეტ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების საჭიროების განხილვისას უნდა გათვალისწინებული იქნეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მისი ხელმისაწვდომობის საკითხი და მოსახლეობის მზაობა. გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

- საქართველოში სწრაფი ინტერნეტის ქსელით დაფარული არის უმეტესწილად დიდი ზომის დასახლებული პუნქტები, ხოლო მობილური ინტერნეტით კი ყველა მუნიციპალიტეტების უმეტესი ტერიტორია;
- კომპიუტერების (ნოუთბუკების) უქონლობის გამო ინტერნეტთან წვდომა შეზღუდულია მოსახლეობის დიდ ნაწილისათვის;
- მოსახლეობის გარკვეული კატეგორიებში (ხანდაზმულები, სოციალურად დაუცველები და ა.შ.) ინტერნეტ ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევების დონე დაბალია.

ალტერნატიულ ტექნოლოგიად შეიძლება განხილული იქნეს მობილური აპლიკაციები. ბოლო დროს მოსახლეობაში სმარტ-ფონების ფართო გავრცელებამ უზრუნველყო აღნიშნული ტექნოლოგიის გამოყენების უნარ-ჩვევების დონის ზრდაც. ამიტომაც მობილური აპლიკაციების ეფექტური გამოყენება არამარტო შესაძლებელია, არამედ სასურველიც ნებისმიერი დონის საჯარო მმართველობაში.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მონაწილეობითი ბიუჯეტირების ინტერნეტ პლატფორმების გამოყენება უფრო მიზანშეწონილი იქნება მხოლოდ ქალაქებში და დიდ ადმინისტრაციულ დასახლებაში გამოყენება,

სადაც არსებობს ინტერნეტ წვდომა. ხოლო იქ სადაც ადამიანური და ტექნიკური მიზეზების გამო ჯერ კიდევ პრობლემას წარმოადგენს ინტერნეტთან წვდომა ინტერნეტ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ან სრულად უნდა შეიზღუდოს, ანდა გამოყენებული იქნეს როგორც ალტერნატიული ინსტრუმენტი. ნაწილობრივ გამოყენებისას მუნიციპალიტეტმა დამატებით უნდა უზრუნველყოს ინტერნეტ პლატფორმასთან, როგორც მობილური აპლიკაციით, ასევე საჯარო წვდომის სივრცის ხელმისაწვდომობაც მაგალითად სკოლებში, ანადა იუსტიციის სამინისტროს სერვის ცენტრებში.

6.5. მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელის ძირითადი აქტორები

მონაწილეობითი ბიუჯეტირების მთავარი მიზანია მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შედეგად ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ მკვეთრად გაიმიჯნოს და ნათლად ჩამოყალიბდეს პროცესებში მოსახლეობის როლი და უფლება მოვალეობები.

საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტირების ნებისმიერ მოდელის ფარგლებში შეიძლება გამოვყოს შემდეგი ძირითადი აქტორები:

1. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პოლიტიკისა და პროცესების მაკონტროლებელი სუბიექტი

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პოლიტიკისა და პროცესების მაკონტროლებელი სუბიექტი შეიმუშავებს ბიუჯეტირების პროცესებთან დაკავშირებულ პოლიტიკას, სამიზნე ნიშნულებს, შეფასების კრიტერიუმებსა და სამუშაო პროცედურებს, ამავდროულად არის პროცესების მაკონტროლებელი და საჩივრების განმხილველი ორგანო. აფასებს თავად პროცესის ეფექტიანობასა და ახორცილებს პროცედურების დახვეწა-განვითარებას.

მსოფლიოში არსებული მოდელების ფარგლებში, აღნიშნული სუბიექტი ხშირად აგრეთვე უზრუნველყოფს მოსახლეობის მიერ შერჩეული საპროექტო წინადადების სიის კენჭისყრის გზით საბოლოო დამტკიცებისა და წარუდგენს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ხელისუფლების უფროსს, რათა შეტანილი იქნეს შემდეგი წლის ბიუჯეტში.

ამ ორგანოს ფორმირება შესაძლოა განხორციელდეს:

- მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისაგან;
- მხოლოდ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოთა წარმომადგენლებისაგან, აგრეთვე შესაძლებელია მაგრამ არააუცილებელი, რომ შეყვანილი იქნეს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს წარმომადგენლებიც;
- როგორც სამოქალაქო საზოგადოებისა, ასევე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისაგან.

გასათვალისწინებელია, რომ შერეული მოდელის ფარგლებში მოსახლეობის მხრიდან პროცესების სანდოობის გაზრდისათვის რეკომენდირებულია, რომ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს ქონდეთ მხოლოდ სათათბირო ხმა და არ მონაწილეობდნენ არც თავად ორგანოს მართვაში და არც საპროექტო წინადადებების კენჭისყრებში. მათი ფუნქცია შემოიფარგლება მხოლოდ საექსპერტო, არსებული კონტექსტის შესახებ და მუნიციპალიტეტის ხელისუფლების პრიორიტეტებისა შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში.

2. მონაწილეობითი ბიუჯეტირების განმახორციელებელი სუბიექტი

მონაწილეობითი ბიუჯეტირების განმახორციელებელი სუბიექტი წარმოადგენს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცედურების დაგეგმვაზე და სამუშაოთა განხორციელებაზე, აგრეთვე მოსახლეობისა და საზოგადოებრივი პროექტის გუნდებთან კომუნიკაციაზე და საინფორმაციო-საკონსულტაციო მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი ორგანოს.

მსოფლიოში არსებული მოდელების ფარგლებში მონაწილეობითი ბიუჯეტირების განმახორციელებელი სუბიექტი:

- რიგ შემთხვევებში ახორციელებს საპროექტო წინადადების შერჩევას და საექსპერტო შეფასებას.
- მოსახლეობასა ხელს უწყობს საპროექტო წინადადებების შემუშავებაში, საპროექტო წინადადებების კენჭისყრის ორგანიზებაში.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების განმახორციელებელი სუბიექტის ფორმირება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა უფლება-მოსილება გააჩნია მას. ასე მაგალითად:

- თუ იგი წარმოადგენს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესების მხოლოდ მხარდამჭერ და არა გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს, მაშინ მის ფორმირებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მოსახლეობისა ან მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლობისაგან.
- თუ იგი უფლებამოსილია საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზეც, მაშინ მისი ფორმირება უნდა მოხდეს მოსახლეობის წარმომადგენლებიდან დადგენილი ასაკობრივი, ტერიტორიული და მოქალაქეობრივი ცენზის გათვალისწინებით მხოლოდ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ კენჭისყრით ანდა სხვა უშუალო დემოკრატიის სხვა მეთოდებით.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების განმახორციელებელი სუბიექტის ფორმირების წესი პროცედურებში მკაფიოდ უნდა იქნეს გაწერილი.

3. საპროექტო წინადადებების წარმდგენი სუბიექტი

მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელებში განსაზღვრულია საპროექტო წინადადების წარმდგენი სუბიექტი, რომელიც შეიძლება იყოს:

- **მუნიციპალიტეტის 18 წელს მიღწეულმა ამომრჩეველი**

რიგ მოდელების შემთხვევაში საპროექტო წინადადების წარმდგენი შეიძლება იყოს როგორც მუნიციპალიტეტის ამომრჩეველი, ასევე მის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სხვა მუნიციპალიტეტის ან სხვა ქვეყნის მოქალაქეებსაც.

ახალგაზრდული თემატიკის მქონე მონაწილეობითი ბიუჯეტირების დაწესებისას მნიშვნელოვანი ახალგაზრდების ფართე ჩართულობა, ამიტომაც დასაშვებია ასაკობრივი ცენზის 18 წლიდან ჩამოწევა მაგალითად 14-15 წლამდე.

- **საპროექტო წინადადების წარმდგენი ჯგუფი**

საპროექტო წინადადების ამომრჩეველთა ჯგუფის მიერ წარდგენით მიიღწევა მისი ეფექტურობისა და ცნობადობის ზრდა, რაც საბოლოო ჯამში

ხელს უწყობს მოქალაქეთა ფართე ჩართულობასა და სოციალური კავშირების გამტკიცებას. ჯგუფს უნდა ყავდეს ოფიციალურად გამოხატული ხელმძღვანელი (ლიდერი), რომლის ფუნქციას წამოადგენს მონაწილეობითი ბიუჯეტირების ფარგლებში სხვა სუბიექტებთან კომუნიკაცია.

საპროექტო წინადადების წარმდგენი ჯგუფის მოდელი გამოყენებისას უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის იმ ნაწილის ჩართულობა, რომელიც ვერ აკმაყოფილებს საპროექტო წინადადებებისა და კენჭისყრაში მონაწილეობის მუნიციპალიტეტის ამომრჩევლისა და ასაკობრივი ცენზუს, თუმცა სურს თავისი ღვაწლი შეიტანოს მუნიციპალიტეტის განვითარების პროცესებში. ამისათვის კი საკმარისია, რომ მხოლოდ საპროექტო წინადადების წარმდგენი ჯგუფის ხელმძღვანელი (ლიდერი) იყოს ამ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველი.

4. საპროექტო წინადადებების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი

ერთ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი არის ის, თუ ვის ექნება უფლებამოსილება, რათა მოსახლეობის მიერ წარდგენილი საპროექტო წინადადებებიდან გამოავლინოს/განსაზღვროს გამარჯვებულები და შემდეგი წლის ბიუჯეტში შესატანი პროექტები. აღნიშნული საკითხი მთლიანად განსაზღვრავს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესისადმი მოსახლეობის ნდობასა.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების სხვადასხვა მოდელებში განსაზღვრულია რომ დადგენილი ასაკობრივი, ტერიტორიული და მოქალაქეობრივი ცენზუს გათვალისწინებით, საპროექტო წინადადების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება შეუძლიათ:

- მუნიციპალიტეტის ყველა მაცხოვრებელს;
- მონაწილეობითი ბიუჯეტირების განმახორციელებელი სუბიექტს, თუ მისის ფორმირება ხდება მოსახლეობის მიერ დასახელებული/არჩეული წარმომადგენლობისაგან. მაგრამ თუ სუბიექტს ექნება უფლება რათა დამოუკიდებლად შეარჩიოს საპროექტო წინადადებები აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რომ შერჩევა მოხდეს მხოლოდ მოსახლეობის მიერ წარდგენილი პროექტებიდან.

რიგ შემთხვევებში შეიძლება უფრო უპრიანი იყოს, რათა მიღწეული იქნას საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის უფრო მაღალი ეფექტიანობა, შემუშავდეს გადაწყვეტილების მიღების ორსაფეხურიან პროცედურა, სადაც პირველ საფეხურზე საპროექტო წინადადებების შესახებ გადაწყვეტილებას საყოველთაო კენჭისყრით იღებს მოსახლეობა, ხოლო მეორე ეტაპზე კი მონაწილეობითი ბიუჯეტირების განმახორციელებელი სუბიექტი, სადაც თავმოყრილია ბიუჯეტირების წესებისა და პროფესიონალური მაღალი კომპეტენციის მქონე სამოქალაქო საზოგადოების წევრები.

ზემოხსენებული ძირითად 4 აქტორების გარდა პროცესებში შეიძლება აგრეთვე ჩართული იყოს სხვა აქტორებიც (ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მხარდამჭერი ჯგუფები, დონორები, ბიზნეს კომპანიები და სხვა), რომელთა უფლება-მოსილება სასურველია, მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ წინასწარ იყოს განსაზღვრული და მაქსიმალურად ხელშეწყობილი მათი ჩართულობა პროცესების სხვადასხვა ეტაპზე.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით საბოლოო გადაწყვეტილებას თუ რა სახით იქნება წარდგენილი ბიუჯეტი იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი (მერი/გამგებელი), ხოლო ამტკიცებს მერთან/გამგებელთან შეთანხმებით საკრებულო.

6.6. მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელის სამუშაო პროცედურები

მონაწილეობითი ბიუჯეტირების ნებისმიერი მოდელი შედგება სხვადასხვა სამუშაო პროცედურებისაგან, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს მეთოდებისა და მიდგომების ერთობლიობას, რომელიც ახასიათებს ამ კონკრეტულ მოდელს. ამასთანავე, მაქსიმალურად უნდა იქნეს დაცული კარგი მართველობის პრინციპები (იხილეთ დანართი 3) და უზრუნველყოფილი იქნეს მათი ეფექტიანობა და შესაბამისობა კანონმდებლობასთან. ასე მაგალითად, თუ შერჩეული მოდელი ითვალისწინებს ინტერნეტ სისტემის ფართე გამოყენებას, არარაციონალური იქნება ტრადიციულ კენჭისყრაზე უკეთ მორგებულ სამუშაო პროცედურების განხორციელება და პირიქით.

მიუხედავად იმისა, კონკრეტული თუ რა მოდელი იქნება არჩეული, საჭიროა რომ სამუშაო პროცედურებში ძალზედ მკაფიოდ ჩამოყალიბდეს და დაწვრილებით გაიწეროს სამუშაოთა თანმიმდევრობა და ცალსახად განისაზღვროს მასზე პასუხისმგებელი სუბიექტები. ნებისმიერი მოდელის ფარგლებში, სულ მცირე, უნდა შემუშავდეს შემდეგი სამუშაო პროცედურები:

1. მოსახლეობის ჯგუფური შეხვედრები;
2. საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია;
3. საპროექტო წინადადებების შემუშავება და წარდგენა;
4. კენჭისყრა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება;
5. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესისა და პროცესების შეფასება;

ყოველი პროცედურის შინაარსი მთლიანად დამოკიდებულია კონკრეტული მუნიციპალიტეტის სპეციფიკაზე, თუცა, შერჩეული მოდელიდან გამომდინარე, თუ საჭიროდ ჩაითვლება, შესაძლებელია სხვა პროცედურების დამატებაც, რომელიც კიდევ უფრო გააუმჯობესებს დაგეგმილ სამუშაოთა ეფექტიანობას.

6.6.1. მოსახლეობის ჯგუფური შეხვედრები

მონაწილეობითი ბიუჯეტირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამუშაო პროცედურა არის მოსახლეობის ჯგუფური შეხვედრები. ამ შეხვედრების მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის ჩართულობის გზით ადგილობრივ და მუნიციპალურ დონეზე პრობლემებისა და პრიორიტეტების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების გამოვლენა.

მოდელიდან გამომდინარე მოსახლეობის ჯგუფური შეხვედრები შეიძლება ჩატარდეს:

- თემის, სოფლის, დაბისა ანდა ქალაქის მცირე ზომის ტერიტორიის მქონე ანდა ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის დონეზე;
- სოფლის, დაბისა ანდა ქალაქის დონეზე;
- მუნიციპალიტეტის დონეზე
- კონკრეტულ მოწყვლადი მოსახლეობის ჯგუფებში.

მოსახლეობის ჯგუფურ შეხვედრებზე დასწრებისას სასურველია, რომ არ იქნეს გა-

მოყენებული წინასწარ განსაზღვრული ტერიტორიული და მოქალაქეობრივი ცენზი (იხილე თავი 6.5).

მოსახლეობის ჯგუფურ შეხვედრებზე ყველა გადაწყვეტილება უნდა მიღებული იქნეს კენჭისყრით ანდა პირდაპირი დემოკრატიის სხვა მეთოდებით. კენჭისყრის ტიპი და შედეგების განსაზღვრის მეთოდი წინასწარ უნდა იქნეს განსაზღვრული და ჩამოყალიბებული მოსახლეობის ჯგუფური შეხვედრების კენჭისყრის პროცედურით. სულ მცირე კენჭისყრის შედეგად უნდა განისაზღვროს:

- შემდეგი წლის საბიუჯეტო პრიორიტეტები;
- ცალ-ცალკე ადგილობრივ და მუნიციპალურ დონეზე არსებული პრობლემები;
- გამოვლენილი პრობლემების სავარაუდო გადაჭრის გზები;
- მოსახლეობის წარმომადგენლები, რომელიც არჩევის წესით ფორმირებად სუბიექტების მუშაობაში ჩაერთვებიან (თუ ასეთი სუბიექტი მოდელის ფარგლებში არის განსაზღვრული).

ჯგუფური შეხვედრების გამართვა და ფასილიტირება უნდა უზრუნველყოს მონაწილეობითი ბიუჯეტირების განმახორციელებელი სუბიექტმა. გარდა ამისა, შესაძლებელია, რომ ამ საქმიანობაში აქტიურად ჩაერთონ სათემო მობილიზატორები, მერის წარმომადგენლები და საკრებულოს წევრებიც. შესაძლებელია აგრეთვე არასამთვარობო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობაც. მაგრამ ამან არ უნდა გამოიწვიოს მოქალაქეთა ჩართულობისა და გადაწყვეტილებაზე გავლენის დონის შემცირება.

მნიშვნელოვანია რათ მაქსიმალური ყურადღება მიექცეს მოქალაქეთა ადგილებზე შეკრებას, რისთვისაც:

- მოქალაქეთა შეხვედრები უნდა ტარდებოდეს მოსახლეობისათვის ადვილად ხელმისაწვდომ ადგილებში, რათა არ იყოს საჭირო მათი შორ მანძილზე გადაადგილება;
- ახალგაზრდობასთან შეხვედრების ჩასატარებლად შეძლებისდაგვარ გამოყენებული იქნეს სკოლის შენობები;
- საჭიროების შემთხვევაში მოწყვლად ჯგუფების, როგორც თემატურ, ასევე საყოველთაო შეკრებებში მონაწილეობისათვის უზრუნველყოფილი იქნეს მათი სატრანსპორტო მომსახურება.

შერჩეული მოდელიდან გამომდინარე, საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, მოსახლეობის ჯგუფური შეხვედრებზე აგრეთვე შესაძლებელია მოხდეს საპროექტო წინადადებების პრეზენტაციებიც (სასურველია ავტორების მიერ) და ადგილზე მოხდეს კენჭისყრაც.

6.6.2. საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის ფარგლებში სავალდებულოა, რომ მაქსიმალურად ინტენსიურად და ფართოდ ჩატარებული იქნეს საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია.

კამპანიის მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის მონაწილეობითი ბიუჯეტირების წესებისა და პრინციპების შესახებ ცნობიერების გაზრდა, საჯარო ბიუჯეტის შემუშავების შესახებ ინფორმაციისა და ბიუჯეტირების პროცესის შესახებ მრავალმხრივი, სანდო და თანადროული ინფორმაციის მიწოდება.

საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია უნდა ხორცილდებოდეს ბიუჯეტირე-

ბის მთელ პერიოდის განმავლობაში. მნიშვნელოვანია, რომ თავიდანვე განისაზღვროს, როგორც მისი სამუშაო გეგმა, ასევე განხორციელებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი და გამოიყოს სათანადო ოდენობის ფინანსური და ადამიანური რესურსები.

საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის ფარგლებში უნდა დაიგეგმოს:

- **მონაწილეობითი ბიუჯეტირების შესახებ ინფორმაციის მიწოდება**

მათ შორის: მიზნებზე, პრინციპებზე, სამუშაო პროცედურებზე და მიმდინარე პროცესების შესახებ თანადროული ინფორმაცია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მაქსიმალურად ფართოთ და დაწვრილებით იყოს მოწოდებული წარდგენილ საპროექტო წინადადებებზე ინფორმაცია;

- **საცნობარო და საინფორმაციო ტიპის მასალების მიწოდება**

მასალები უნდა ასახავდეს წინა წლის ბიუჯეტის ფარგლებში დაგეგმილ, აგრეთვე მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსებული სხვადასხვა პროექტების შესახებ ინფორმაციასა და განხორციელებით დამდგარ შედეგებს,

- **საჯარო და მუნიციპალური ბიუჯეტირების წესების შესახებ ინფორმაციის მიწოდება**

მიწოდებული იქნას საცნობარო და საინფორმაციო ტიპის მასალები, რომელიც ასახვას საჯარო და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და მუნიციპალური პროექტების შემუშავების წესებს;

- **მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესებისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების ყოველწლიური ანგარიშები**

უნდა წარდგენილი იქნეს წინა წლის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესისა და დამდგარ შედეგების შესახებ ინფორმაცია (თუ ასეთს ადგილი ქონდა). აგრეთვე მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ხელისუფლების ყოველწლიური ანგარიშებიც (მერის/გამგებლის, საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს დეპუტატების ანგარიშები);

თუ როგორი იქნება საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის სამუშაო პროცედურები მთლიანდ დამოკიდებული არის იმ მოდელზე, რომელიც იქნა შერჩეული. ასე მაგალითად:

- თუ ეს არის მოდელი, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ ინტერნეტ სისტემის ფართო გამოყენება (მათ შორის საპროექტო წინადადებების წარდგენა და კენჭისყრა) და ნაკლები ყურადღება ექცევა მოსახლეობის ჯგუფების შეკრებას, მაშინ მნიშვნელოვანია, რომ ყველა ხელმისაწვდომი საკომუნიკაციო და მედია საშუალებებით უზრუნველყოფილი იქნეს მონაწილეობითი ბიუჯეტირების მიმდინარე პროცესებისა და წარდგენილი საპროექტო წინადადებების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის გავრცელება.

- თუ საპროექტო წინადადების შემუშავება და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს მონაწილეობითი ბიუჯეტირების განმახორციელებელი სუბიექტის უფლებამოსილებას, მნიშვნელოვანია, რომ მათ წევრებს ჩაუტარდეს ტრენინგი მუნიციპალური ბიუჯეტის შემუშავების წესებისა და მოთხოვნების შესახებ.

კამპანიის ნებისმიერ ეტაპზე ჩატარებაში შესაძლებელიც არის და სასურველიც

რომ ჩართული იყოს არასამთავრობო ორგანიზაციები და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

6.6.3. საპროექტო წინადადებების შემუშავება და წარდგენა

საპროექტო წინადადებების შემუშავება და წარდგენის სამუშაოს პროცედურები უნდა ასახავდეს იმ მიდგომებსა და მახასიათებლებს, რომელიც თავიდანვე იყო ჩადებული მონაწილეობითი ბიუჯეტირების შერჩეულ მოდელში:

- ვინ არის საპროექტო წინადადებების წარმდგენი სუბიექტი: მხოლოდ მოქალაქე თუ დასაშვებია მოქალაქეთა ჯგუფების მიერ წარდგენაც.
- დოკუმენტაციის წინადადებების წარდგენა ხდება ინტერნეტ სისტემით თუ დოკუმენტური სახით.

ეს უკანასკნელი საკითხები, ერთის მხრივ, წმინდა ტექნიკურია, მაგრამ სამუშაო პროცედურების შემუშავებისას საჭიროებს კარგად გააზრება, როგორც წინამდებარე მახასიათებლების, ასევე მუნიციპალიტეტის გეოგრაფიულ მახასიათებლებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების განვითარების დონის გათვალისწინებაც.

მნიშვნელოვანია, რომ საპროექტო წინადადებების წარსადგენად გამოყენებული იქნეს ყველა შესაძლო გზა და მაქსიმალურად მორგებული და მიახლოებული იყოს ამომრჩეველთან. ასე მაგალითად: საპროექტო წინადადებების წარდგენა დამატებით შესაძლებელი იყოს დასახლებულ პუნქტებში განლაგებულ სკოლებში და იუსტიციის სამინისტროს სერვის ცენტრებში, რისთვისაც ერთის მხრივ თავიდანვე უნდა იქნეს შემუშავებული შესაბამისი პროცედურები, ხოლო მეორეს მხრივ კი გამოყოფილი შესაბამის სახსრები და ადამიანური რესურსები.

6.6.4. კენჭისყრა და საპროექტო წინადადებების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

მონაწილეობითი ბიუჯეტირების ძირითად მოთხოვნა წარმოადგენს მოქალაქეთა მიერ დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების კენჭისყრით განსაზღვრა, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი მოდელის გამოყენებით:

- **უშუალოდ მოქალაქეების მიერ ტრადიციული ყველა დონის არჩევნებში კენჭისყრის პროცედურების გამოყენებით**

აღნიშნული მოდელი მოითხოვს დიდ ლოგისტიკურ, ადამიანურ და ფინანსურ დანახარჯებს, თუმცა მისი ლეგიტიმაციის დონე ყველაზე მაღალია. აგრეთვე შესაძლებელია მოწყვლადი ჯგუფების მაქსიმალური ჩართულობის მიღწევაც მათთვის სპეციალური კენჭისყრის უბნის მოწყობითაც.

- **უშუალოდ მოქალაქეების მიერ ელექტრონული კენჭისყრის პროცედურების გამოყენებით.**

ეს მოდელი ანალოგიურია წინას და ეყრდნობა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, რისთვისაც გამოიყენება ვებგვერდები და სატელეფონო აპლიკაციები. ამ მოდელის დამატებით სისუსტეს წარმოადგენს მოსახლეობის გარკვეული ჯგუფისათვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს გამოყენების უნარ-ჩვევების დაბალი მაჩვენებელი და რიგ მუნიციპალიტეტებში ინტერნეტთან წვდომაზე ტექნიკური სახის პრობლემები.

- **მოქალაქეებისაგან შემდგარი და რიგ შემთხვევებში, არჩეული მონაწილეობითი ბიუჯეტირების წარმომადგენლებით ორგანოების მიერ.**

იმისდა მიხედვით თუ მონაწილეობითი ბიუჯეტირების შერჩეული მოდელის ფარგლებში ვის გააჩნია უფლება-მოვალეობა რომ გააკეთოს საპროექტო წინადადებების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება, უნდა შემუშავებული იქნეს შესაბამისი პროცედურა. პროცედურის შინაარსი აგრეთვე დამოკიდებულია თუ რა წესით ხდება კენჭისყრა: ელექტრონულად თუ ტრადიციულად.

ამავე დროს თავად გადაწყვეტილება შეიძლება მიღებული იქნეს შემდეგი სახის კენჭისყრის წესით:

1. კენჭისყრა ერთი არჩევანით, სადაც მოქალაქე კენჭისყრის ბიულეტენში ირჩევს მხოლოდ ერთს, მისთვის ყველაზე მისაღებ საპროექტო წინადადებას;
2. კენჭისყრა მრავალი არჩევანით, სადაც მოქალაქე კენჭისყრის ბიულეტენში ირჩევს რამდენიმე, მისთვის ყველაზე მისაღებ საპროექტო წინადადებას;
3. კენჭისყრა მრავალი არჩევანით, სადაც მოქალაქე კენჭისყრის ბიულეტენში ირჩევს რამდენიმე, მისთვის ყველაზე მისაღებ საპროექტო წინადადებას, ალაგებს მათ პრიორიტეტულობის მიხედვით და ამ შერჩევის შედეგად ხდება საპროექტო წინადადებების რეიტინგის ფორმირება.

თუ რამდენი პროექტი იქნება შეტანილი მუნიციპალიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტში დამოკიდებულია გამოყოფილ ფინანსების ოდენობაზე და სხვა პარამეტრებზე და წინასწარ უნდა იქნეს განსაზღვრული.

რათა ბიუჯეტირების პროცესი იყოს კიდევ უფრო ეფექტიანი, შესაძლებელია რომ გამოყენებული იქნეს კენჭისყრის რამდენიმე წესი, რომელიც მორგებული იქნება თითოეულ სამუშაო პროცედურაზე (მაგალითად ელექტრონული კენჭისყრის დროს) და სუბიექტის უფლება-მოვალეობებზე.

6.6.5. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესისა და პროცესების შეფასება

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესისა და სამუშაო პროცესების შეფასების სამუშაო პროცედურები აუცილებლად უნდა განხორცილდეს მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელის გაუმჯობესების, სამუშაოთა ეფექტიანობისა და მოსახლეობის ნდობის მოპოვებისა და გამტკიცების მიზნით.

შეფასების პროცედურებს ახორცილებს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პოლიტიკისა და პროცესების მაკონტროლებელი სუბიექტი. შეფასებისას უნდა ყურადღება მიექცეს რაოდენ ზედმიწევნით მოხდა პროცედურების შესრულება, ადგილი ხომ არ ჰქონდა სისტემურ პრობლემებს ანდა პროცესებში მონაწილე სუბიექტების მხრიდან პრეტენზიებს, როგორ იქნა გადაჭრილი არსებული პრობლემები და რაოდენ ეფექტიანად დაიხარჯა გამოყოფილი თანხები.

განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის ეფექტიანობას და პროცესებში მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობას.

7. დანართები

დანართი 1. საზოგადოებრივი მონაწილეობის სპექტრი

გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის შესაფასებლად ფართოდ გამოიყენება მოქალაქეთა მონაწილეობის საერთაშორისო ასოციაციის (International Association for Public Participation, IAP2) მიერ შემუშავებული საზოგადოებრივი მონაწილეობის სტანდარტი - საზოგადოებრივი მონაწილეობის სპექტრი (IAP2's Public Participation Spectrum) წყარო, რომელიც ეყრდნობა მოქალაქეთა მონაწილეობის 7 ძირითადი ღირებულებას (Core Values for Public Participation - CVPP)⁴⁶ და საზოგადოდ დამკვიდრებულ პრაქტიკას.

საზოგადოებრივი მონაწილეობის სპექტრი აღწერს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის 5 საფეხურს: ინფორმირებულობა, კონსულტირება, ჩართულობა, თანამშრომლობა და უფლებამოსილება. თითოეული საფეხური განსაზღვრავს განვითარების კონკრეტულ დონეს, მიზნებსა და ამ მიზნების მიღწევისათვის ქცევის საჭირო ტიპოლოგიას. სტანდარტის საბაზისო დონეს წარმოადგენს „ინფორმირებულობა“, ხოლო ყველაზე განვითარებულს კი „უფლებამოსილება“.

⁴⁶ IAP2, Core Values for Public Participation, 2007.
www.iap2.org/associations/4748/files/CoreValues.pdf,

დაბალი → → → → → გადაწყვეტილებაზე ზეგავლენა → → → → → მაღალი					
	ინფორმირება	კონსულტირება	ჩართულობა	თანამშრომლობა	უფლებამოსილება
საზოგადოებრივი მონაწილეობა	საზოგადოებისათვის დაბალანსებული და ობიექტურ ინფორმაციის მიწოდებით უზრუნველყოფა, რათა დაეხმაროს მათ პრობლემის გააზრებაში, მათი გადაჭრის ალტერნატიულ გზების არსებული შესაძლებლობებისა და/ან მისაღები გადაწყვეტილებების არსის გაგებაში.	წარდგენილი ანალიზის, ალტერნატივების და გადაწყვეტილებების შესახებ საზოგადოებისაგან უკურეაქციის მიღება.	მთელი პროცესის განმავლობაში მოსახლეობასთან უშუალოდ მუშაობის გზით მუდმივად უზრუნველყოფილი იქნეს საზოგადოების შემფოთებისა და მისწრაფებების გაგება და განხილვა.	გადაწყვეტილებების მიღების ყველა ასპექტში საზოგადოებასთან პარტნიორობა, მათ შორის ალტერნატივების შემუშავებაში და მისაღები გადაწყვეტილებების გამოვლენაში.	საზოგადოებისათვის საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლების გადაცემა.
საზოგადოებას პირდებიან, რომ	ჩვენ ჩაგაყენებთ თქვენ საქმის კურსში.	ჩვენ ჩაგაყენებთ თქვენ საქმის კურსში, მოგისმენთ და გავიზიარებთ თქვენს შემფოთებასა და მისწრაფებებს. უზრუნველყოფთ უკუკავშირს იმის შესახებ, თუ რა გავლენა იქონია გადაწყვეტილებაზე საზოგადოების ჩართულობამ. ჩვენ შევეცდებით პროექტებისა და შეთავაზებების შესახებ მოვიძიოთ თქვენი უკურეაქცია.	ჩვენ ვიმუშავებთ თქვენთან ერთად, რათა უზრუნველყოთ რომ თქვენი შემფოთება და მისწრაფებები გადაწყვეტილების ალტერნატივის შემუშავებისას პირდაპირ აისახოს და უზრუნველყოფთ უკუკავშირს იმის შესახებ, თუ როგორი გავლენა იქონია გადაწყვეტილებაზე საზოგადოების ჩართულობამ.	ჩვენ ვიმუშავებთ თქვენთან ერთად, რათა მოვახდინოთ გადაწყვეტილებების ერთობლივად ფორმულირება და მაქსიმალურად შესაძლო ოდენობით იქნეს გათვალისწინებული თქვენი რჩევები და რეკომენდაციები.	ჩვენ შევასრულებთ ყველაფერს, რასაც თქვენ გაწყვიტავთ.

ილუსტრაცია 1 - საზოგადოებრივი მონაწილეობის სპექტრი

დანართი 2. შერი პ. არნშტეინის მოქალაქეთა მონაწილეობის კიბე

შერი პ. არნშტეინი 1969 წელს გამოცემულ სტატიაში „მოქალაქეთა მონაწილეობის კიბე“⁴⁷ წარმადგინა მოქალაქეთა მონაწილეობის პროცესის ტიპოლოგია რომელიც შესდგება 3 მეტა და რვა დონისაგან, რომელიც აღწერს საზოგადოებისა და ხელისუფლებას შორის ურთიერთდამოკიდებულებებს. თვალსაჩინოებისთვის არნშტეინმა ეს დონეები კიბის სახითაა წარმოდგინა და თითოეული საფეხური შეუსაბამა საბოლოო შედეგის განსაზღვრაში მოქალაქეთა მონაწილეობის გარკვეულ დონეს.

მეტა დონეები	დონეები	მახასიათებლები
მოქალაქეთა მალაუფლების დონე	სამოქალაქო კონტროლი	მმართველობით გადაწყვეტილებაზე სრული კონტროლი.
	უფლებამოსილების დელეგირება	შესაძლებელია მოქალაქეთა მიერ კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღება.
	პარტნიორობა	გადაწყვეტილების მიღებისას წარმოებს მოქალაქეთა და ხელისუფლების დიალოგი და შესაძლებელია კომპრომისების მიღწევა
სიმბოლური მონაწილეობის დონე	გულის მოგება	გადაწყვეტილების მიღებისას პროცესში გათვალისწინებულია მოქალაქეთათვის სათათბირო ხმის უფლება, თუმცა გადაწყვეტილების მიღება კვლავ მხოლოდ ხელისუფლების პრეროგატივა არის.
	კონსულტირება	გადაწყვეტილების მიღებისას პროცესში დასაშვებია, მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის დიალოგი, მაგრამ ჯერ კიდევ არის იმის გარანტია, რომ მოსახლეობის აზრი გათვალისწინებული იქნება. აგრეთვე შეუძლებელია იმის შემოწმება, თუ როგორ სრულდება დაპირებები, რადგან არ არსებობს შემოწმების არავითარი მექანიზმი.
	ინფორმირება	გადაწყვეტილების მიღებისას პროცესში ეპიზოდურად და არასისტემურად ხდება ხელისუფლებას მხრიდან მოქალაქეებთან დიალოგი
არამონაწილეობის დონე	თერაპია	მოქალაქეები არ დაიშვებიან [პროგრამების] დაგეგმვასა და განხორციელების პროცესში
	მანიპულირება	

ილუსტრაცია 2 - შერი პ. არნშტეინის მოქალაქეთა მონაწილეობის კიბე

არნშტეინის კიბის ყველაზე ქვედა საფეხურებია „მანიპულირება“ და „თერაპია“, რომელიც ე.წ. „არამონაწილეობის“ მეტა დონეებს შეესაბამება. ამ დონეებზე მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილები მიღების პროცესში არც კი მოიაზრება და ხელისუფლება შემოიფარგლება მხოლოდ რიტორიკით. მესამე და მეოთხე საფეხურები, შესაბამისად „ინფორმირება“ და „კონსულტირება“, სიმბოლური მონაწილეობის მეტა დონეებია, რომლებიც მოქალაქეების

⁴⁷ Sherry R. Arnstein, "A Ladder of Citizen Participation", JAIP, Vol. 35, No. 4, July 1969, p 216. <https://www.planning.org/pas/memo/2007/mar/pdf/JAPA35No4.pdf>

მხრიდან აზრის გამოთქმისა და ხელისუფლების მხრიდან მათი აზრის მოსმენის საშუალებას იძლევა. მეხუთე საფეხური „გულის მოგება“ – სიმბოლურ ღონისძიებათა უფრო მაღალი დონეა. ზედა საფეხურებზე განთავსებულია გადაწყვეტილების მიღებისას მზარდი პრივილეგიების მქონე მოქალაქეთა მონაწილეობის დონეები. („პარტნიორობა“, „დელეგირება“ და „სამოქალაქო კონტროლი“).

დანართი 3. კარგი მმართველობა

ტერმინი **კარგი მმართველობა (Good Governance)** გამოიყენება რათა აღიწეროს თუ როგორ და რა ძირეულ პრინციპებზე დაყრდნობით უნდა ახორციელდეს საერთაშორისო, ნაციონალური და ადგილობრივი დონის ხელისუფლებები მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებასა და საჯარო რესურსების განკარგვას. კარგი მმართველობის კონცეფცია წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების ინოვაციურ პროცესს. მისი მიზანია უზრუნველყოფილი იქნას მაქსიმალურად საუკეთესო გადაწყვეტილების შემუშავება და დასახული ამოცანების ეფექტიანად განხორციელება.

კარგი მმართველობის კონცეფციის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების პროცესები და შესაბამისად თავად კარგი მმართველობაც ხასიათდება რამდენიმე ნიშან-თვისებით, რომელთაც გააჩნიათ დადებითი ზეგავლენა ნებისმიერი დონის ხელისუფლების განხორციელების პროცესის სხვადასხვა ასპექტებზე, მათ შორის: სამიზნე ჯგუფებთან კომუნიკაციაზე, გაწეული მომსახურების ხარისხის მართვაზე, თანამშრომელთა უფლება-მოვალეობების ოპტიმიზაციასა და ჯანსაღ სამუშაო ურთიერთობების ფორმირებაზე.

კარგი მმართველობა ეფუძნება⁴⁸ შემდეგ ძირითად პრინციპებს:

თანამონაწილეობა (Participation)

საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის პროცესში მოქალაქეთა თანამონაწილეობა (მონაწილეობა), მიუხედავად მათი სქესისა, რელიგიური თუ პოლიტიკური მიკუთვნებისა, წარმოადგენს კარგი მმართველობა ქვაკუთხედს. თანამონაწილეობა შეიძლება იყოს უშუალოდ (პირდაპირი) ან ფორმალური შუალედური ინსტიტუტებისა და წარმომადგენლების (პარლამენტის, საკრებულოს, გამგებლების და თემის ლიდერების) საშუალებით.

კანონის უზენაესობა (Rule of law)

კანონის აღმსრულებლის დროს დაცული იყოს ყოველი ადამიანის, განსაკუთრებით კი უმცირესობების უფლებები.

რეაგირება (Responsiveness)

ეფექტური მომსახურება გულისხმობს, როგორც საბოლოო პროდუქტის მიწოდებას, აგრეთვე თავად პროცესის ფარგლებში წარმოქმნილ სიძნელებებზე დროულ რეაგირებასა და მოქალაქეთა ხელშეწყობას მათ გადალახვის პროცესში.

ორიენტაცია კონსენსუსზე (Consensus oriented);

ხელისუფლება წარმოადგენს ინტერესთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის შუამავლის, მედიატორის როლს, რათა მიღწეულ იქნას ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსი იმის შესახებ, თუ რა პრობლემები დგას საზოგადოების წინაშე და არსებული რესურსებით როგორ შეიძლება მათი დაძლევა.

გამჭვირვალობა (Transparency)

მიღებული გადაწყვეტილებები და მათი აღსრულება ხდება გარკვეული წესებითა და კანონებით, რათა შეიძლებოდეს საჯარო ინფორმაციის თავისუფალი განკარგვა და უზრუნველყოფილი იყოს მისი პირდაპირი ხელმისაწვდომობა მათთვის, ვისაც უშუალოდ ეხება აღნიშნული გადაწყვეტილებები და/ან მათი აღსრულება.

ანგარიშვალდებულება (Accountability)

⁴⁸ Sheng, Y. (2007). What is Good Governance? New York: United Nations.

საჯარო დაწესებულება ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე, რადგან მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებები ან განხორციელებულ ქმედებები გავლენას ახდენენ თავად საზოგადოებაზე. ანგარიშვალდებულება ვერ განხორციელდება გამჭვირვალობისა და კანონის უზენაესობის გარეშე.

ეფექტურობა და შედეგიანობა (Effectiveness and Efficiency)

პროცესები და ინსტიტუციები იძლევიან იმგვარ შედეგებს, რათა დაკმაყოფილდეს საზოგადოების საჭიროებები, ხოლო არსებული რესურსები ყაირათიანად იქნეს გამოყენებული. საჯარო დაწესებულება ვალდებულია თავის ყოველდღიურ საქმიანობაში უზრუნველყოს პროცესების როგორც ეფექტურობა და შედეგიანობა, აგრეთვე სამუშაოები წარმართოს სოციალური თანასწორობისა პრინციპების გათვალისწინებით და უზრუნველყოს გარემოს ეფექტიანი დაცვა.

თანასწორობა და სოციალური ინკლუზიურობა (Equity and Inclusiveness)

საზოგადოების ყველა ჯგუფს, მაგრამ განსაკუთრებით ყველაზე დაუცველებსაც, ქონდეთ შესაძლებლობები გააუმჯობესონ ან შეინარჩუნონ თავის კეთილდღეობა, რაც საბოლოო ჯამში მიყვავართ საზოგადოებრივ თანასწორობამდე.

ყოველივე ზემოხსენებული პრინციპების საჯარო მმართველობაში აქტიური დანერგვა გარანტიას იძლევა, რომ შემცირდება კორუფცია, მოხდება უმცირესობების აზრების გათვალისწინება და რომ საზოგადოების ყველაზე დაუცველი ნაწილის ხმები გაგონილი იქნება გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აგრეთვე ეფექტურად მოხდება რეაგირება საზოგადოების ამჟამინდელ და მომავალ საჭიროებებზე.

დანართი 4. მონაწილეობითი დემოკრატიის მსოფლიოში არსებული მოდელები

მონაწილეობითი დემოკრატიის (Participatory Democracy) მოდელი

მონაწილეობითი დემოკრატიის (Participatory Democracy) მოდელის ფარგლებში მოსახელობა თავად წყვეტს თუ რომელი პროგრამა, რა რესურსების გამოყენებით და როდის სურთ რომ გააკეთოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ხოლო შემდგომ აგრეთვე მოსახლეობა ამოწმებს თუ როგორ დაიხარჯა გამოყოფილი რესურსები.

ეს მოდელი ძირითადად ხასიათდება შემდეგი ფაქტორების ერთობლივ ქმედებით:

- **მოქალაქეები როგორც მეოთხე ძალა (Fourth Power)**
მოქალაქეებს გააჩნიათ გადაწყვეტილების მიღების რეალური უფლებამოსილება, რომელიც განსხვავდება სასამართლო, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებისაგან;
- **აქტორთა თანმხვედრი უფლებამოსილება (Countervailing Power)**
პროცესი ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების თვითორგანიზება იწვევს მოქალაქეთა უფლებამოსილების გაფართოებას და კონფლიქტების ერთობლივად მოგვარების დანერგვას.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელი ეყრდნობა საჯარო ბიუჯეტირების პროცესში მოსახლეობის ფართო ფენების ჩართულობაზე (ელიტა, საშუალო კლასი და ღარიბი მოსახლეობა, სხვადასხვა სოციალური ფენა). შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მოდელი პოლიტიკური თვალსაზრისით ყველაზე უფრო ეტად მასტიმულირებელ ფორმა არის, რადგან თავის თავში მოიცავს ძლიერ თანამონაწილეობასა და სოციალურ სამართლიანობაზე ზეგავლენას.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის ფარგლებში ადგილობრივი მართველობის ორგანო მოქმედებს მოსახლეობის სახელით და მათთან კომუნიკაციის გზით, აქტიურად არის ჩართული, როგორც პროცესების გაშვების სტადიაში, აგრეთვე უშუალოდ გადაწყვეტილების განხორციელებისასაც. მოქალაქეებს და მათი წარმომადგენლებს (დელეგატებს), დე-ფაქტო გააჩნიათ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, თუმცა ამ საკითხებზე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა დე-იურე კვლავ არჩეულ ადგილობრივ ხელისუფლების ხელში რჩება.

მოდელის ძლიერ მხარეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მონაწილეობითი დემოკრატია არის საზოგადოების პოლიტიკურად და სოციალური პროცესების მასტიმულირებელი მოდელი და თავისთავში მოიცავს მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობისა და სოციალური სამართლიანობის ელემენტების ერთობლიობას.

მოდელის სუსტ მხარე არის ის გარემოება, რომ მონაწილეობითი დემოკრატიის მოდელი ითხოვს პოლიტიკური ელიტისაგან ძლიერ პოლიტიკურ ნებას, აგრეთვე კარგად მოზიდულ და დამოუკიდებელ სამოქალაქო საზოგადოების არსებობას, რომლებიც მზად არის რათა აქტიურად ითანამშრომლონ არსებულ პროცესში.

პირველად მონაწილეობითი დემოკრატიის მოდელი დანერგილი იქნა ბრაზილიაში - პორტე ალეგრიში (Porte Alegre) და ბლუ ორიზონტში (Blue Horizonte), რის შემდეგ გავრცელდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. დღესდღეობით მონაწილეობითი დემოკრატიის მოდელი ყველაზე ფართოდ გავრცელებული მოდელია. თუმცა რიგ შემთხვევაში მოდელის დანერგვისას მოხდა მისი მცირედი მოდიფიკაცია. მაგალითად როგორც სევილიაში (ესპანეთი), ონგ-კუ-ში (ჩრდილოეთ კორეა), კარლაში (ინდოეთი) და სხვა.

სამეზობლო (სიახლოვის) დემოკრატიის (Proximity Democracy) მოდელი

სამეზობლო დემოკრატიის მოდელის⁴⁹ საკვანძო მახასიათებელს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მოდელი წარმოაჩენს სამეზობლოს როგორც გეოგრაფიული სიახლოვის ელემენტს და მოქალაქეების, ფედერალურ სახელმწიფო ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმართველობას შორის კავშირების გაძლიერების შესაძლებლობებს. ამ მოდელში აღნიშნული კავშირები განიხილება როგორც პროცესის აქტორების ერთგვარი „სამეზობლო“ შეხვედრა, სადაც ადგილი აქვს არაფორმალურ დონეზე აზრების გაცვლას, რომლებიც მიმართულია სამეზობლოს პრობლემების ერთობლივ გადაწყვეტაზე.

ჩვეულებრივ, სამეზობლო დემოკრატიის მოდელი ემყარება ე.წ. „შერჩევით [საჯარო] მოსმენებს“ (Selective Listening). მოდელის ფარგლებში მოქალაქეებისათვის საბიუჯეტო პრიორიტეტებისა და პროგრამების შესახებ დებატების გამართვისათვის ხელმისაწვდომია სათანადო სივრცე (პროცესი), თუმცა გადაწყვეტილების მიმღები პირები (ადგილობრივი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლები წარმომადგენლები) თავის შეხედულებასამებრ შეარჩევენ მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებიც შემდგომ საფუძველად ედებათ ახალ მმართველობით პოლიტიკასა და ოფიციალურად დამტკიცების შემდგომ, მომავალი წლის ბიუჯეტის ნაწილი გახდებიან.

სამეზობლო დემოკრატიის მოდელის ფარგლებში იქმნება სპეციალურ საბჭოები (ფონდები), რომელთა მიზანია ე.წ. „მცირე ინიციატივების“ პროგრამების საშუალებით მხარი დაუჭირონ მოსახლეობის არაფორმალურ ჯგუფებს (სამეზობლოებს). ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილების მიმღები პირები შერჩევითად, მათ მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, განიხილავენ მოქალაქეების მიერ გამოთქმულ იდეებს და ახდენენ წარმოდგენილი ინიციატივების განხორციელებისათვის საჭირო მოწყობილობებისა და მომსახურების შესაძენის სუბსიდირებას.

სამეზობლო დემოკრატიის მოდელი ეფუძნება არაფორმალურ წესებს, ხოლო მისი თანმდევი პროცესები, უმეტესწილად, წარმოადგენს საკონსულტაციო ტიპის და რამე გადაწყვეტილების მისაღებად სამოქალაქო საზოგადოებას

მოდელის ძლიერ მხარეს წარმოადგენს მოქალაქეებსა და ერთობლივი გადაწყვეტილების მიმღებთ „სამეზობლოში“ სოციალური კავშირების გაძლიერება და ადგილობრივი საზოგადოების დინამიური განვითარება.

მოდელის სუსტი მხარედ მიიჩნევა ის გარემოება, რომ რადგან ხელისუფლებას გააჩნია შესაძლებლობა თავად აირჩიოს მოსახლეობის მიერ შეთავაზებული მხოლოდ ის წინადადებები, რომლიც შეესაბამება მის საკუთარი გეგმებსა და ხედვებს, თავს იჩენს „შერჩევით მოსმენებისადმი“ არაფორმალური მიდგომა, რაც თავის მხრივ იწვევს გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაუმართლებლად ბევრი რისკების გაჩენას, მათ შორის მოსახლეობის მხრიდან პროცესისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელი უმეტესწილად წარმატებულად დანერგილია უმეტეს ევროპის ქვეყნაში, სადაც მოსახლეობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის არსებობს ტრადიციულად მჭიდრო კავშირები. აგრეთვე ამ მოდელის დანერგვა ხდება ლათინური ამერიკაში, ავსტრალიაში, კორეაში და იაპონიაში.

მონაწილეობითი მოდერნიზაციის (Participatory Modernization) მოდელი

მონაწილეობითი მოდერნიზაციის მოდელი ემყარება იმ იდეას, რომ მონაწილეობა არის

⁴⁹ სმას აგრეთვე უწოდებენ ახლო მანძილის დემოკრატიის მოდელის

თანამედროვე სახელმწიფოს მართვის სტრატეგიაში ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რათა სახელმწიფო გახდეს უფრო მეტად ეფექტური და მოახდინოს თავისი თავის მოდერნიზაცია. მოდელის შესაბამის პროცესების დანერგვა დაკავშირებულია სახელმწიფოს კარგ მმართველობასთან და მიმართულია სახელმწიფო პოლიტიკის ლეგიტიმაციის გაზრდისათვის.

სამეზობლო დემოკრატიის მოდელისაგან განსხვავებით, მონაწილეობითი მოდერნიზაციის მოდელი არ ფოკუსირდება მხოლოდ ლოკალურ, სამეზობლოს დონეზე, თუმცა ხელს უწყობს ცენტრალურ ხელისუფლებასა და ყველა დონის საჯარო სერვისების ძირითად მომწოდებლებს ჩართულობასაც.

მონაწილეობითი მოდერნიზაციის მოდელში მხოლოდ მასში მონაწილე აქტორები განიხილება როგორც პროცესის კლიენტები. პროცესის ფარგლებში არ არსებობს მარგინალური ჯგუფების ინტეგრაციის ანდა მათვის ახალი სოციალური პოლიტიკის წამოწყების ინტერესი.

მონაწილეობითი მოდერნიზაციის მოდელი, ჩვეულებრივ, ეყრდნობა საშუალო კლასის წარმომადგენლების ჩართულობას, თუმცა პროცესების მეტი ლეგიტიმაციის მიზნით რიგ შემთხვევებში ხორციელდება კონკრეტული ქმედებები, რათა პროცესში იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა სოციალური ჯგუფებიც. სამოქალაქო საზოგადოებას გააჩნია მხოლოდ შეზღუდული ავტონომია და სრულებით გამოირიცხება მონაწილეობითი ბიუჯეტირების ძირითადი ფაქტორები - მეოთხე ძალა და თანმხვედრი უფლება.

მონაწილეობითი მოდერნიზაციის მოდელის ძლიერ მხარეს წარმოადგენს მონაწილეობისა და საჯარო მართვას შორის ძლიერი კავშირები და პროცესების განხორციელების სიმარტივე, რომლითაც მიიღწევა მხარეთა შორის პოლიტიკური კონსენსუსი.

მოდელის სუსტი მხარეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ შედარებით ძნელია განხილული იქნეს გლობალური და ძალზედ მწვავე საკითხები (მაგალითად სოციალურ სამართლიანობასთან დაკავშირებული საკითხები), რადგან საკითხების განხილვისას აქტორები არ მიესალმებიან საკითხების მკვეთრად პოლიტიზირებას.

მონაწილეობითი მოდერნიზაციის მოდელის გამოყენება ხდება მეტწილად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და ნაკლებად ჩრდილო ევროპის ქვეყნებში. ამ მოდელის ნაირსახეობას წარმოადგენენ ამ ქვეყნებში დანერგილი მონაწილეობითი ინსტრუმენტები: მომხმარებელთა დებულებები, შეფასების ბარათები, აგრეთვე ცხელი ხაზები. მონაწილეობითი მოდერნიზაციის მოდელის საუკეთესო მაგალითებად მიიჩნევა კაშკაის (Cascais) პორტუგალია, ბაგირა (Bagira) კონგო. ჟეგოუ (Zeguao) ჩინეთი და ქოლოგნი (Cologne) გერმანია.

დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის (Multi-Stakeholder Participation) მოდელი

დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის მოდელის ფარგლებში მოქალაქეებს, ბიზნესს და არასამთავრობო ორგანიზაციებს, აგრეთვე ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებს განიხილავს, როგორც მონაწილეობით ბიუჯეტირების პროცესის ერთ-ერთ და არა ერთადერთ აქტორს. ყველა მათგანს ბიუჯეტირების პროცესის ფარგლებში გააჩნიათ თავის მიზნები, სურვილები და განვითარების საკუთარი ხედვები. მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მონაწილე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა შორის დიალოგის ეფექტური წარმართვა იმ საკითხებზე და თემებზე, რომლებიც აქტუალურია უმეტესობა მათგანისათვის.

დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის მოდელი ორიენტირებულია ადგილობრივ დონეზე უფრო მეტად ეკონომიკური და არა საჯარო პოლიტიკით განსაზღვრულ საკითხების გადაჭრაზე. მონაწილეობითი ბიუჯეტირების სხვა მოდელების განსხვავებით, ამ მოდელში კერძო კომპანიები განიხილება როგორც ადგილობრივ დონეზე განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძალას. თუმცა, გავრცელებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ კერძო კომპანიები

ჩვეულებრივ მაინც ერიდებიან მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში აქტიურ მონაწილეობასა.

დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის მოდელის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის დონე ძალზედ დაბალია და თავის ქმედებებში გააჩნია მცირე ავტონომია იმ შემთხვევებშიც, როდესაც გადაწყვეტილების მიღების პროცედურების მკაფიოდ გაწერილია.

მოდელის მთავრი სიძლიერე მდგომარეობს იმ გარემოებაში, რომ საზოგადოების ორგანიზებულ სტრუქტურებს შორის არსებობს ძლიერი კავშირები, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო პოლიტიკის ზოგიერთ ასპექტების ირგვლივ სოციალური კონსენსუსის მიღწევის შესაძლებლობას.

მოდელის სუსტი მხარეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ საჯარო და კერძო სექტორების მჭიდრო პარტნიორობის შემთხვევაში შესაძლებელია სამოქალაქო საზოგადოების დასუსტება. ამავდროულად მონაწილეობითი პროცესები ხასიათდება ხელისუფლებასთან ასიმეტრიულ კავშირებით და არაორგანიზებული სოციალური ჯგუფები საერთოდ მოწყვეტილი არიან მიმდინარე პროცესიდან. ამასთანავე, გარე აქტორები (დონორები) ხშირად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ პროცესი დაფინანსების საკითხში და მათი გავლენა ძალზე დიდია პროცესის მდგრად განვითარებაზე. დონორების მხრიდან დაფინანსების შეწყვეტისა და ხელისუფლების სუსტი პოლიტიკური ნების შემთხვევაში ხშირად მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესი წყდება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურები და მსოფლიო ბანკი აქტიურად ნერგავს დაინტერესებულ პირთა მონაწილეობის მოდელის. მოდელის დანერგვა ხდება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (მაგალითად: პლოკი, (Płock) პოლონეთი), ანგლო-საქსური სარტყლის ქვეყნებში და აგრეთვე რიგ აფრიკის ქვეყნებში (მადაგასკარი).

ნეო-კორპორატივიზმის (Neo-Corporatism) მოდელი

ნეო-კორპორატივიზმის მოდელის განმასხვავებელ მახასიათებელს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის ფარგლებში კონკრეტულ საკითხების გადაწყვეტაში ჩართული არიან ადგილობრივ დონეზე მოქმედი სამიზნე დაინტერესებულ მხარეები (არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს გაერთიანებები, პროფესიული ასოციაციები და სხვა), სოციალურ ჯგუფებთან (ხანდაზმულები, ახალგაზრდები, ემიგრანტები და სხვა) და სხვადასხვა ადგილობრივ ინსტიტუციებთან/სააგენტოებთან) და ადგილობრივი ხელისუფლება ამ პროცესში თამაშობს წამყვან როლს.

ხელისუფლება ცდილობს რეგულარულად ჩაატაროს ე.წ. „გაფართოებული კონსულტაციები“ რომელზეც იწვევს ყველა დაინტერესებულ მხარეს, ვისაც შეუძლია ანდა ცდილობს წარმოადგინოს სხვადასხვა ორგანიზებული, სოციალური, ეკონომიკური და პროფესიონალური ჯგუფების ინტერესები და უნარი შესწავს ფასეულობებისა და მოთხოვნების მედიაციის გზით ხელი შეუწყოს სოციალური კონსენსუსს, აგრეთვე ცდილობს გახადოს სტრატეგიულ დაგეგმარების პროცესის მონაწილე. მოდელის ფარგლებში ადგილობრივი ხელისუფლების მმართველობითი მიდრეკილებები იცვლება საჯარო მმართველობის მოდერნიზაციის დინამიკასთან ერთად.

ნეო-კორპორატივიზმის მოდელის ძლიერ მხარეს წარმოადგენს ის სინერგია, რაც თავს იჩენს ხელისუფლებას და ყველა ადგილობრივ დონეზე მოქმედი ფორმალიზებული დაინტერესებულ მხარეს შორის დიალოგისას, მიუხედავად იმისა რომ უკანასკნელს არ გააჩნიათ უფლებამოსილება რათა მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება.

მოდელის სუსტი მხარეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მონაწილეობითი მოდერნიზაციის მოდელის ფარგლებში იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამოქალაქო საზოგადოება ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მისი პროცედურული დამოუკიდებლობა საკმაოდ შეზღუდულია და მონაწილეობის წესები თავსმოხვეულია ზემოდან.

მოდელის გავრცელებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საერთაშორისო ორგანიზაციები, თუმცა იგი მსოფლიოს მასშტაბით შეზღუდულად არის დანერგილი. მაგალითად ესპანეთში ამ მოდელის წარმატებულ რეალიზაციად მიიჩნევა ალბასეტეს (Albacete) გამოცდილება

სათემო განვითარების (Community Development) მოდელი

სათემო განვითარების მოდელის ფარგლებში მოქალაქეთა მონაწილეობის პროცესი თავისთავში შეიცავს როგორც პროექტების გეგმარების, ასევე ერთობლივად განხორციელების ფაზებს, რითაც უზრუნველყოფილია მუნიციპალური მართვისა და ძლიერი მონაწილეობითი პროცესების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. თავად პროცესები დინამიურად ფორმირებიდან როგორც “ზემოდან-ქვემოთ“, აგრეთვე ქვემოდან-ზემოთ. პროცესი წარმართვაში მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგეს მოქალაქეებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ხოლო ადგილობრივი ხელისუფლების სურვილი, რათა ჩაერიონ პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში, ჩვეულებრივ, საკმაოდ დაბალია.

სათემო განვითარების მოდელში შერწყმულია პორტო ალეგრის (მონაწილეობითი დემოკრატიის) მოდელისა და მუნიციპალიტეტის ტრადიციულ მმართველობასთან. მოდელის ფარგლებში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული პროცედურული წესები და შედარებით მაღალია დებატების ხარისხი (ეფექტურობა). პროცესის აქტორებიდან ყველაზე მეტად დებატებში და გადაწყვეტილების მიღებაში პროცესებში ჩართული არიან საშუალო ფენის (ცისფერი საყელოები) და მშრომელთა ფენის ზედა ნაწილის (თეთრი საყელოები) წარმომადგენლები, რომლებიც ამავდროულად მონაწილეობენ ადგილობრივ დონეზე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების ამ მოდელის ძლიერ მხარეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მისი ეფექტიანი დანერგვა შესაძლებელი იქ, სადაც ადგილობრივი ხელისუფლება სუსტია, ანდა იქ სადაც სამოქალაქო საზოგადოება არის ძლიერი და რეალურად დამოუკიდებელია რათა მან დამოუკიდებლად მართოს სათემო პროექტები.

სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ მუნიციპალიტეტის ხელისუფლება ცდილობს მოიპოვოს გავლენა სათემო ორგანიზაციებზე, აგრეთვე ამ უკანასკნელის მიდრეკილება რათა გადაიქცენ პარა-სახელმწიფო ორგანოდ და არაფორმალურად ჩაანაცვლონ ადგილობრივი ხელისუფლება.

ჩვეულებრივ, ეს მოდელი დანერგილია ბრიტანული თანამეგობრობის ქვეყნებში, აგრეთვე გავრცელებულია იაპონიასა, ეკვადორში და აშშ-ში.

დანართი 5. მონაწილეობითი მოდელების პროცესებისა და აქტორების მახასიათებლები

მახასიათებლები	მონაწილეობითი დემოკრატიის (Participatory Democracy) მოდელი	სამეზობლო (სიახლოვის) დემოკრატიის (Proximity Democracy) მოდელი	ნეო-კორპორატივიზმის (Neo-Corporatism) მოდელი	მონაწილეობითი მოდერნიზაციის (Participatory Modernization) მოდელი	სათემო განვითარების (Community Development) მოდელი	დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის (Multi-Stakeholder Participation) მოდელი
გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	მოქალაქეთა მიერ არჩეული დელეგატებით დაკომპლექტებული საბჭო	ადგილობრივი ხელისუფლება	ადგილობრივი ხელისუფლება	ადგილობრივი ხელისუფლება	საბჭო, რომელიც შედგენილია ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, საჯარო და წარმომადგენლებისაგან	საბჭო, რომელიც შედგენილია ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, საჯარო წარმომადგენლებისაგან და კერძო პირებისაგან
მონაწილეები	მონაწილეთა შერჩევა					
	თვით წარდგენა	თვით წარდგენა	შემთხვევითი შერჩევა	სამიზნე შერჩევა	სამიზნე შერჩევა	სამიზნე შერჩევა
	მონაწილეობის ფარგლები					
	აქტიური მოქალაქე	აქტიური მოქალაქე	Rრიგითი მოქალაქე		ორგანიზებული მოქალაქეები	ორგანიზებული მოქალაქეები და ბიზნეს სექტორი
	მონაწილეობითი მექანიზმები					
სამეზობლოს დონეზე ღია შეხვედრები, დიალოგი ქალაქის დონეზე	სამეზობლოსა და ქალაქის დონეზე ღია შეხვედრები	ქალაქის დონეზე ღია შეხვედრები ან მოქალაქეთა ფორუმები		სამეზობლო დონეზე სხვადასხვა ტიპის შეხვედრები, დიალოგი ქალაქის დონეზე	ქალაქის დონეზე დახურული შეხვედრები	

მახასიათებლები	მონაწილეობითი დემოკრატიის (Participatory Democracy) მოდელი	სამეზობლო (სიახლოვის) დემოკრატიის (Proximity Democracy) მოდელი	ნეო-კორპორატივიზმის (Neo-Corporatism) მოდელი	მონაწილეობითი მოდერნიზაციის (Participatory Modernization) მოდელი	სათემო განვითარების (Community Development) მოდელი	დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის (Multi-Stakeholder Participation) მოდელი
განხილვები	დისკუსიის აქცენტი					
	საზოგადოებრივი ინვესტიციები	მიკრო-ლოკალური დონის საჯარო ინვესტიციები ან ქალაქის პოლიტიკის წარმართველი პრინციპები (გაიდლაინები)	საერთო ბიუჯეტი ან საჯარო სერვისების შეთავაზება		კონკრეტული სათემო პროექტები	კონკრეტული პროექტები რომლის დაფინანსება ხდება საჯარო / კერძო პარტნიორობით
	კომუნიკაციის მოდელი					
	საჭიროებების გამოვლენა	საჯარო მოსმენები, საჭიროებების გამოვლენა	საჯარო მოსმენები, საჭიროებების გამოვლენა		საუბრები, საჭიროებების გამოვლენა	საუბრები, საჭიროებების გამოვლენა
პროცესების ფორმალიზება						
პროექტების რანჟირება ხდება კეთილდღეობის თანაბარი განაწილების კრიტერიუმების მიხედვით, ფორმალური წესები	არ ხდება სამუშაოებისა და ინვესტიციების რანჟირება, წესები არ არის ფორმალიზებული	არ ხდება სერვისების რანჟირება, შესაძლებელია პრიორიტეტების რანჟირება, საკმაოდ არაფორმალიზებული წესები		ხდება პროექტების რანჟირება, ფორმალური წესები	ხდება პროექტების რანჟირება, ფორმალური წესები	

მახასიათებლები	მონაწილეობითი დემოკრატიის (Participatory Democracy) მოდელი	სამეზობლო (სიახლოვის) დემოკრატიის (Proximity Democracy) მოდელი	ნეო-კორპორატივიზმის (Neo-Corporatism) მოდელი	მონაწილეობითი მოდერნიზაციის (Participatory Modernization) მოდელი	სათემო განვითარების (Community Development) მოდელი	დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის (Multi-Stakeholder Participation) მოდელი
უფლებამოსილება	საბოლოო გადაწყვეტილების მიღება	კონსულტაცია	კონსულტაცია		თანამართველობითი პარტნიორობა	თანამართველობითი პარტნიორობა
კონტროლი და მონიტორინგი		ადგილობრივი ხელისუფლება	ადგილობრივი ხელისუფლება	ადგილობრივი ხელისუფლება	ადგილობრივი ხელისუფლება	ადგილობრივი ხელისუფლება + დონორები

დანართი 6. მონაწილეობითი მოდელების შედარებითი მახასიათებლები

მახასიათებლები	მოდელები					
